



თეიმურაზ გოჩიტაშვილი

ბუნებრივი გაზის მიწოდების
ახალი მარშრუტები და
თანამედროვე ტექნოლოგიები



Teimuraz Gochitashvili

**NG New Supply Chains
and Modern Technologies**



ენერგოეფექტურობის ცენტრი - საქართველო
Energy Efficiency Center Georgia

თბილისი
2004

წინათქმა

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის OPET-ის პროექტის სამეცნიერო კოორდინატორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თეიმურაზ გომიტიშვილის მიერ. მის შედგენაში მონაწილეობდნენ ენერგოეფექტურობის ცენტრის სხვა თანამშრომლებიც: გიორგი აბულაშვილი, მანანა დადიანი, ლიანა ლარიბაშვილი, თენგიზ ივანიძე და ქეთი მირიანაშვილი.

აქტორი დიდ მადლობას უძღვნის NATO-ს ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის „ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოება სატრანზიტო ქვეყნის გავლით“ მონაწილე მეცნიერებსა და სპეციალისტებს, განსაკუთრებით დოქტორ პეტლანდს (ნორვეგია), დოქტორ ნიტცოვს (ბელგია), დოქტორ ფაიერეტს (საფრანგეთი), დოქტორ დალს (ნორვეგია), დოქტორ კრისტენსენს (დანია), დოქტორ რიკოვს (რუსეთი), დოქტორ აბდულაევს (აზერბაიჯანი) რომლებმაც წარმოადგინეს ძალიან საინტერესო მოხსენებები.

ნაშრომის მომზადების დროს უხვად არის გამოყენებული ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ევროგაერთიანების მიერ დაფინანსებული ენერგეტიკული ტექნოლოგიების ხელშეწყობი ორგანიზაციის (OPET) პროექტის „წიაღისეული საწვავის სუფთა ტექნოლოგიები“ ფარგლებში ორგანიზებულ სემინარზე „ბუნებრივი აირის ტექნოლოგიების ხელშეწყობა“ პარტნიორ ორგანიზაციების წარმომადგენელთა, დოქტორ ამარანტოსის (საბერძნეთი), დოქტორ ეინავის (ისრაელი), ქალბატონ სადის-ზადეს (აზერბაიჯანი), დოქტორ შატვორიანის (სომხეთი), ტმდ, პროფ. ბეროშვილის (საქართველო), ტმკ, პროფ. მესტეირიშვილის (საქართველო), ტმკ ხეროდინაშვილის (საქართველო), ინჟინერ ნებიერიძის (საქართველო) მიერ.

გამოყენებულია აგრეთვე ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების ევროპული ცენტრის, TACIS-ის და OPET-ის პროგრამების ფარგლებში მომზადებული. თურქული კომპანიის BOTAS-ი, გლობალური ენერგეტიკული ცენტრის, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მასალებიც.

შინაარსი

შინაგვალი

1. მს(ო)ჯლი(ოს) ენერგეტიკის განვითარების ტანდემცივიბი

- 1.1. ბუნებრივი აირის რესურსები და მოხმარება
- 1.2. ევროპა
 - 1.2.1. მიწოდების პერსპექტივა რუსეთიდან
 - 1.2.2. მიწოდების პერსპექტივა კასპიის ზღვის რეგიონიდან
- 1.3. თურქეთი
- 1.4. მილსადენების ეკონომიკა

2. გაზსაცავების მოწყობის ტექნოლოგიები და ევროპული გამოცდილება

- 2.1. ზოგადი მიმოხილვა
- 2.2. მიწისქვეშა გაზსაცავების სახეობები
- 2.3. მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობის ახალი ტექნოლოგიები
 - 2.3.1. გეოლოგიური კვლევა-ძიება და სეისმური დასეურება
 - 2.3.2. მიწისქვეშა გაზსაცავების მოდელირება
 - 2.3.3. ბუფერული გაზის მართვა
 - 2.3.4. დიდი დიამეტრის და პორიზონტალური ბურღვა
 - 2.3.5. მარილის კავერები
 - 2.3.6. პერსპექტიული ტექნოლოგიები
 - 2.3.7. მიწისქვეშა გაზსაცავების ოპტიმიზაცია

3. გაზის გადაფუჭავების თანამედროვე ტექნოლოგიები

- 3.1. თხევადი გაზის (LNG) წარმოების ტექნოლოგიები
- 3.2. თანამედროვე კრიოგენული ტექნოლოგიები
- 3.3. დიდმასშტაბიანი საწარმოები
- 3.4. მცირე მასშტაბიანი ტექნოლოგიები თხევადი გაზის წარმოებისათვის
- 3.5. გაზის გათხვეადების საწარმოთა ეკონომიკა
- 3.6. ბუნებრივი აირის გათხვეადების მცირე მასშტაბიანი საწარმოები
- 3.7. თხევადი გაზის შენახვის ტექნოლოგიები
- 3.8. თხევადი გაზის ტრანსპორტირების ტექნოლოგიები
- 3.9. დაჭირხნილი ბუნებრივი აირის (CNC) წარმოების პერსპექტივები
- 3.10. გაზისაგან თხევადი საწვავის წარმოების (GTL) ტექნოლოგია

4. გაზის მოხმარების ტექნოლოგიები

- 4.1. საყოფაცხოვრებო სექტორი
- 4.2. კომერციული სექტორი
- 4.3. გაზის მოხმარება მრეწველობაში
- 4.4. ტექნოლოგიები სატრანსპორტო სექტორისათვის

5. პარტნიორი ძველები ბუნებრივი აირის სექტორის მოკლე მიმოხილვა
და 'შესაძლო' განვითარება

5.1. სომხეთი

- 5.1.1. ბუნებრივი აირის სექტორის მოკლე მიმოხილვა
- 5.1.2. ბუნებრივი აირის სექტორის განვითარება
- 5.1.3. ბუნებრივი აირის მოხმარება
- 5.1.4. ბუნებრივი აირის საცავი
- 5.1.5. ბუნებრივი აირის მოხმარების ზოგიერთი პერსპექტიული ტექნოლოგია

5.2. აზერბაიჯანი

- 5.2.1. ბუნებრივი აირის სექტორის მოკლე მიმოხილვა
- 5.2.2. მაღალ წნევიანი სატრანსპორტო მილსადენები
- 5.2.3. ბუნებრივი აირის საცაეები

5.3. საქართველო

- 5.3.1. ენერგომოხმარება: ისტორიული და პერსპექტიული
- 5.3.2. ბუნებრივი აირის მოწოდების წყაროები
- 5.3.2.1. ადგილობრივი რესურსები და წარმოების პერსპექტივა
- 5.3.2.2. გაზის ტრანზიტის საფასურად დაგეგმილი შემოსავლები
- 5.3.3. ენერგოსაფრთხოება
- 5.3.3.1. ძირითადი სატრანსპორტო მილსადენები და მოწოდების უსაფრთხოება
- 5.3.3.2. ბუნებრივი აირის გამოყენების პერსპექტივა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში
- 5.3.3.3. ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული რეზერვები

5.4. საბერძნეთი

- 5.4.1. ბუნებრივი აირის ბაზრის სტრუქტურა და რეგულირება
- 5.4.2. ბუნებრივი აირის მოწოდება
- 5.4.3. ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისა და განაწილების სისტემები
- 5.4.4. თხევადი გაზის ტერმინალი
- 5.4.5. გაზის მოხმარება

6. დასკვნები და რეკომენდაციები

შესავალი

ბუნებრივი აირი (გაზი) ფართოდ იაპრობს საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზაარს, თუმცა მისი ტრანსპორტირების, შენახვისა და მოხმარების თავისებურებების გამო, მნიშვნელოვან პრობლემად წარმოიხდება მომხმარებელთა საიმედო მომარაგება. პრობლემის წარმატებულ გადაწყვეტის ძირითადი გზებია გაზის მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიცირება, მათი შენახვისა და გამოყენების ახალი, აგრეთვე გათხევადების ტექნოლოგიების, ფართო დანერგვა. გარდა ამისა, გაზის ტრანსპორტირების, შენახვისა და განაწილების არსებულ ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლებასაც უნდა დაეთმოს სათანადო ყურადღება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია აღმოსავლეთ ევროპის სოფიურთი და დსთ-ს ქვეყნებისათვის, სადაც ასეთი სამუშაოები წარმოება ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ტარდებოდა.

წინამდებარე ნაშრომის მომსაღებების ძირითადი მიზანია გაზის სექტორში მომუშავე დაინტერესებულ ინსტიტუტებს, ექსპერტებს, გადაწყვეტილების მიმღები პირები, ტექნიკური უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები უსრუდელოდ სათანადო ინფორმაციით გაზის საერთაშორისო ბაზარზე გარანტირებული მიწოდების პრობლემებსა და გაზის ტრანსპორტირების, შენახვისა და მოხმარების თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: გაზის პოტენციური წყაროები საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრისათვის და გაზის შენახვის, გათხევადებისა და უტილიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიები. მის შესადგენად ინფორმაცია ძირითადად მიღებულია აღნიშნული თემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სემინარებსზე: ევროგაერთიანების მიერ დაფინანსებული ენერგეტიკული ტექნოლოგიების ხელშეწყობის ორგანიზაციის (OPET) პროექტის „წიაღისეული საწვავის სუფთა ტექნოლოგიები“ ფარგლებში ორგანიზებული „ბუნებრივი აირის ტექნოლოგიების ხელშეწყობა“ და „ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოება სატრანსპორტ ქვეყნის გავლით“, რომელიც დაფინანსდა ევროატლანტიკური გაერთიანების (NATO) სამეცნიერო პროგრამის მიერ.

1. მსოფლიო ენერჯეტიკის განვითარების ტენდენციები

1.1. გაზის რესურსები და მოხმარება

გაზის მოხმარება ინტენსიურად იზრდება მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში. ევროპული ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, ტრადიციულ მომწოდებლებთან ერთად, საჭირო ხდება მიწოდების ორგანიზება ახალი წყაროებიდან, მათ შორის კასპიის საბადოებიდან, რაც მოსთხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას და ახალი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას.

ევროპული ბაზრის გაზით მომარაგების ახალი წყაროებისა და მარშრუტების ჩამოყალიბება, ეკონომიკური სარგებლის გარდა, დადებით გავლენას მოახდენს როგორც მწარმოებელი, ისე სატრანსპორტო და მომხმარებელი ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე და ზოგადად ხელს შეუწყობს რეგიონული და გლობალური ეკოპოლიტიკური პრობლემების წარმატებულ გადაჭრას.

ენერჯის მოხმარება მსოფლიო მასშტაბით თანდათანობითი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასევე, საგარეუდოა, რომ 2000-2030 წლებში პირველადი ენერგეტიკული რესურსების მოხმარება გაორმაგდება (9 მლრდ ტნე-დან 18 მლრდ ტნე-მდე), ხოლო 2050 წლისათვის გასამმაგდება (დაახლოებით 25-30 მლრდ ტნე-მდე).

უახლოეს მომავალში კიდევ უფრო ინტენსიურად გაიზრდება გაზის მოხმარება. პროგნოზის თანახმად, მომავალ ოცწლეულში გაზის მოხმარების ზრდის ტემპი საშუალოდ 4 % იქნება და 2003 წლის 233 მლრდ ტნე-დან (259.1 მლრდ მ³) 2020 წლისათვის დაახლოებით 4 მლრდ ტნე-მდე გაიზრდება^{2,3}, რაც მნიშვნელოვანი ცვლილებებს შეიტანს პირველადი ენერგეტიკული რესურსების მოხმარების სტრუქტურაშიც. მასში 1970 წლამდე წამყვან როლს თამაშობდა ნახშირი. შემდეგ ნახშირი ჩანაცვლებული იქნა ნავთობპროდუქტებით, ხოლო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გაზი, განახლებად ენერგეტიკულ რესურსებთან ერთად, თანდათანობით წამყვან პოზიციას იკავებს.

აღსანიშნავია, რომ შეფასების თანახმად, წიაღისეული სათბობი კვლავ შეინარჩუნებს მნიშვნელოვან ადგილს ენერგეტიკული რესურსების ბაზარზე მომავალშიც. 2050 წლისათვის ენერჯის მოთხოვნის 2/3 კვლავ წიაღისეული სათბობით იქნება უზრუნველყოფილი, რაც პროცენტულად ნაკლებია დღევანდელ მაჩვენებელზე (85%) თუმცა რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატება მას.

ნახშირი გლობალური ენერგეტიკული რესურსების 60%-ს ავსებს და შედარებით თანაბრად არის გადანაწილებული დედამიწის სფეროზე. მსოფლიოს დაახლოებით 90 ქვეყანა ფლობს ნახშირის მნიშვნელოვან კომერციულ მარაგებს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ენერგეტიკული რესურსების გლობალური მოხმარების დაახ. 70% ნახშირის ხარჯზე იფარებოდა, თუმცა შემდგომში მისი მნიშვნელობა თანდათანობით მცირდებოდა. დღეისათვის წიაღისეული საწვავის გლობალური მოხმარების დაახლოებით 1/4 მყარ საწვავზე მოდის, რომლის ძირითადი ნაწილი (60%) ელექტროენერჯის გენერაციისათვის გამოიყენება.

ტრანსპორტირების სირთულე და მაგნე ემისიების სიუხვე განაპირობებს ნახშირის იმპორტის სიმცირეს საერთაშორისო ბაზარზე (მთლიანი მოხმარების დაახლოებით 10%), მიუხედავად მისი შედარებითი სიიაფისა.

¹ bp statistical review 2003, June 2004

² Pierre-Rece Bauquis, Reappraisal of energy supply-demand in 2050 shows big role for fossil fuels, Oil & Gas Journal, Feb. 17, 2003

³ Pierre-Rece Bauquis, La Revue de l'Energie, # 509, September, 1999

ნახშირის მნიშვნელობის განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციაზე და ახალ ენერგეტიკულ პოლიტიკაზე, რომელიც მიმართულია საბუნების გაზების მეკუთრ შემცირებაზე, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების განვითარების ტემპებზე. ბოლო პერიოდის შეფასებების თანახმად, ნავთობის მოძიებელი მარაგი, რომელიც ძირითადად ახლო აღმოსავლეთისა და მიმდებარე რეგიონებშია კონცენტრირებული, 1973¹, 86 მლრდ ტნე-დან 140 მლრდ ტნე-მდე გაიზარდა².

ნავთობისა და გაზის კონდენსატის ჯამური მარაგი (დაახლოებით 157 მლრდ ტნე - 2003 წელს) უსრუნველყოფს დღევანდელი მოთხოვების დონის შენარჩუნებას დაახლოებით 41 წლის განმავლობაში³.

ნავთობის ძირითადი უპირატესობებია მაღალი ფარდობითი ენერგომეცნიერება (კალორული შიდა - საშუალოდ 42-43 მგჯ/კგ) და ტრანსპორტირებისა და მოხმარების სიმარტივე. წყალბადის ატომების რიცხვის შეყარდება ნახშირბადის ატომების რიცხვთან ნავთობში ნეუტრონებზე 2:1 შეადგენს, რაც ხელს უწყობს წვის პროცესში CO₂-ის ემისიის მნიშვნელოვან შემცირებას ნახშირის წვის პროცესთან შედარებით.

ნავთობი დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსია და აკმაყოფილებს ენერგორესურსების გლობალური მოთხოვნის დაახლოებით 47%-ს (თურქია ნავთობის მოხმარების პიკი - გლობალური მოხმარების 50%. აღინიშნა 1990 წელს).

გაზის მოძიებული მარაგი მსოფლიოში დღეისათვის (2003 წ) დაახლოებით 176 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, რაც თითქმის სამნახევარჯერ აღემატება 1973 წლის მასშტაბებს (52 ტრილიონ კუბური მეტრი). ეს მარაგი საკმარისია გაზის დღევანდელი ჯამური მოხმარების (დაახლოებით 2,6 ტრილიონი კუბური მეტრი - 2003 წ) 67 წლიანი უსრუნველყოფისათვის⁴.

გაზი ყველაზე მაღალი თბოქიმიკული შიდა შიდა ხასიათდება - მისი ხეცვლითი თბოქიმიკული შიდა 50-55 მგჯ/კგ (35-40 მგჯ/მ³) შეადგენს. წყალბადის ატომთა რიცხვის შეყარდება ნახშირბადის ატომთა რიცხვთან ნეუტრონებზე 4:1 ტოლია, რაც უსრუნველყოფს ნახშირბადის ორენივის მინიმალურ ხეცვლით ემისიას - 56 გ CO₂/მგჯ (იხილეთ ნახ. 1.1). შესაბამისად, გაზის გამოყენების შემთხვევაში მეტად და თხევადი წიაღისეული საწვავის ნაკლებად, შეიძლება მიღწეულ იქნეს ნახშირბადის ემისიის მნიშვნელოვანი შემცირება. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ გაზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამედროვე, კომბინირებული კოკლის ტურბინებში ელექტროენერჯის გენერაციისათვის, რომელთა მარჯი ქსელების კოეფიციენტი 58%-ს აღწევს (შედარებისათვის: თანამედროვე ნახშირზე და ნავთობზე მომუშავე თბოსადგურების მქც დაახლოებით 47-48%-ს და 50%-ს შეადგენს შესაბამისად).

ამვე დროს გასათვალისწინებელია გაზის ტრანსპორტირების შედარებით მაღალი ლიბერალიზაცია⁵, რამაც სოფიერო პირობებში შეიძლება განსაზღვროს მისი თხევად გაზად გარდაქმნის, ტრანსპორტირების და მოხმარების ტექნოლოგიების უპირატესობა, აირის მიღსაღერ ტრანსპორტთან შედარებით⁶.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ გაზი, ნავთობისგან განსხვავებით, არ არის უნივერსალური პროდუქტი. განსაზღვრული საერთაშორისო ფასებით, გაზის ფასი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ ბაზარზე მიწოდების შესაძლებლობებზე და მეკუთრ განსხვავდება ლოკალური ან რეგიონული ბაზრის მომწოდებელთან განლაგების სიმორზე და სარტანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობაზე.

სოფიეროდ ტრანსპორტირების ხასიათ და პარამეტრებისაგან დამოკიდებულებით ნახშირწყალბადების მიწოდების ხარჯები შეიძლება მნიშვნელოვან ფარგლებში

¹ Survey of Energy Resources, World Energy Council, 2001

² bp statistical review 2003, June 2004

³ bp statistical review 2003, June 2004

⁴ Natural Gas Information, IEA Statistics, 2001

⁵ Boyko Nitov, Transit countries: What to expect? Presentation at NATO ARW "Security of

Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, May, 2003

⁶ Oil & Gas, World Market Overview, www.tradepartners.gov.uk

იცვლებოდა. როგორც წესი, ნავთობის გადატანა სასდევო ტანკერებით უფრო მისანაწილად, ვიდრე მილსადენებით. ამიტომ ნავთობსადენებს გამოიყენებენ მხოლოდ მოპოვების ადგილიდან უახლოეს სასდევო პორტამდე ან ნავთობგადამამუშავებელ ქარხანამდე წყლი ნავთობის ტრანსპორტირებისათვის.

გაზის ხმელეთზე გადატანისას 3000 კმ-მდე მანძილზე უპირატესობა მილსადენებს ენიჭება, მაშინ, როცა 10000 კმ-ის გადატარების შემთხვევაში თხევადი გაზის წარმოება და ტრანსპორტირება ხდება მისანაწილად. ოფშორული (წყალქვეშა) გაზსადენები გამოიყენება შედარებით მცირე მანძილზე (რამდენიმე ასეული კმ) გაზის ტრანსპორტირებისათვის. სხვა შემთხვევებში გაზის გარდაქმნის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების ტექნოლოგიების შერწყვა ინდივიდუალურად წყდება, კონკრეტულ პირობებში ნატარებელი ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების შედეგების საფუძველზე.

მსოფლიოში ყოველწლიურად ათეულ ათასობით კმ სიგრძის ახალი მილსადენი შენდება. 2000 წელს, მაგალითად, ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის სატრანსპორტო მილსადენების შესწავლის, დაპროექტების და მშენებლობის 225 მნიშვნელოვანი პროექტი მუშავდებოდა. პროექტები მოიცავდა დაახლოებით 52 600 კმ სიგრძის ახალ მილსადენს (მათ შორის დაახლოებით 70% გაზსადენი იყო). მილსადენები განსაკუთრებულ ინტენსიურად ვითარდებოდა აშშ-სა (საერთო რაოდენობის 18%) და კასპია-შავი ზღვის რეგიონში (17%)¹⁰.

ენერჯის მოხმარება და მოწოდების პოტენციალი დაუბალანსებელია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები განიცდიან ორგანული საწვავის დეფიციტს, მაშინ როცა ძირითად ნავთობ- და გაზომომპოვებელ რეგიონებს შესაძლებლობა აქვთ აწარმოონ გაცილებით მეტი სათბობი, ელდრე ისინი მოიხმარებენ და აწვდიან საერთაშორისო ბაზარს. 2001 წ. გაზის ექსპორტმა მსოფლიოში 554.4 მლრდ მ³ შეადგინა (მათ შორის მილსადენებით აირის 411.3 მლრდ მ³). ამ დროისათვის რუსეთის ექსპორტმა ევროპაში 126,9 მლრდ მ³ შეადგინა, კანადის ექსპორტი გაუტოლდა 109,1 მლრდ მ³-ს, ალჟირის – 57,5 მლრდ მ³, ნორვეგიის – 50,5 მლრდ მ³, ნიდერლანდების – 45,2 მლრდ მ³. გაზის გლობალური მოხმარების 23% და ევროპის მოხმარების 35% იმპორტით იყო უზრუნველყოფილი¹¹.

მომავალში მოსალოდნელია რეგიონებს შორის გაზის ექსპორტ-იმპორტის ინტენსივობის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ზრდა, რაც აუცილებელს ხდის მოწოდების ალტერნატიული წყაროების, მარშუტირებისა და ტექნოლოგიების განვითარებას.

1. 2. ევროპა

გაზის მოხმარება ევროპაში ინტენსიურად იზრდება, მაშინ, როცა ადგილობრივი რესურსები მეტად შესწავლულია. შეფასების თანახმად, ევროგაერთიანების ქვეყნების დამოკიდებულება გაზის იმპორტზე 2020 წლისათვის 65-70%-ს მიაღწევს. ევროგაერთიანების „13-ე“ პროგრამის ფარგლებში შესრულებული გამოკვლევების თანახმად, ევროპაში გაზის მოხმარება 2010 წლისათვის დაახლოებით 642 მლრდ მ³, ხოლო 2020 წლისათვის 777 მლრდ მ³-ს მიაღწევს (ნახაზი 1.2)¹².

აღნიშნულის, აგრეთვე ენერჯტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის შესაძლო შედეგების გათვალისწინებით, ევროპაში გაზის დივერსიფიცირებული მიწოდების სტრატეგია¹³ ითვალისწინებს:

¹⁰ Warren R. True, Push US natural gas construction plans. Oil & Gas Journal, Sept. 3, 2001

¹¹ Natural Gas Information, IEA Statistics, 2001

¹² Study of Observatoire Mediterraneen de L'energie (OME) institution

¹³ The weakest links. EU Energy 25, 31 January 2002

დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, გერმანიისა და რუსეთის გასხადენების სისტემების ურთიერთდაკავშირებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სისტემათა ოპერატიულობას და აამაღლებს მომარაგების უსაფრთხოებას;

ახალი მილსადენების მშენებლობას ალჟირის საექსპორტო პორტენციების სრული რეალიზაციისათვის, კერძოდ საფრანგეთსა და ესპანეთში დამატებითი გაზის მისაწოდებლად;

კასპისა და ხზეა მოშორებული რეგიონებიდან გაზის იმპორტის უზრუნველყოფას ახალი სატრანსპორტო საშუალებების მშენებლობის საშუალებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს თურქეთ-საბერძნეთსა და საბერძნეთ-იტალიის დამაკავშირებელი გასხადენების მშენებლობასაც;

თხევადი გაზის (LNG) მიწოდების ახალი ქსელების ჩამოყალიბებას საფრანგეთში, იტალიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში, LNG-ის ახალი ტერმინალების მშენებლობას, მიწოდების წყაროებისა და მიღების პუნქტების დივერსიფიკირების საფუძველზე;

ახალი მიწისქვეშა გასხადენების მოწყობას პორტუგალიასა და საბერძნეთში, და არსებული გასხადენების სიმძლავრეების ზრდას ესპანეთში.

“ოზსერვატორი მედიტერანეენ დე დ'ენერჯი“ (OME) მიერ 2001წ წატარებული გამოკვლევის თანახმად მომავალ 20 წელიწადში ევროპაში საჭირო იქნება დაახლოებით 200 მლრდ ევროს ინვესტირება გაზის ხვეჭტორის გარანტირებული ფუნქციონირებისათვის და საჭირო დამატებითი მოცულობის გაზის მიღებისათვის. სემთ აღნიშნული ხუთი პრობლემატიკული პროექტთან, სამი ევ “დერისი” ან ენერგეტიკული კორიდორის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რომელთა მეშვეობით უნდა მოხდეს გაზის შეუფერხებელი მიწოდება: ა) რუსეთი-გერმანია-ნიდერლანდები-დიდი ბრიტანეთის; ბ) ალჟირ-ესპანეთი-საფრანგეთის და გ) კასპისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მიმართულივით (იხ ნახაზი 1.3).

ევროკომისია მოწოდებს ევროპის გასხადენების ქსელის ოპერატორთა ასოციაციას (GTE) და გაზის სექტორის მარგულირებულ ორგანიზებს, აქტიურად იმუშაონ გაზის მომარაგების არსებული სისტემების კრიტიკული კვანძების გაუმჯობესებისათვის, ფართოდ დანერგონ ბაზრის მონაწილეთა შორის ე. წ. “წაიდე ან დაკარგე” წესი, დანახარჯებზე დაფუძნებული ტარიფი, რომელიც გათვალისწინებს გაზის ურთიერთგაცვლას და შენახვით მიღებულ დანახარჯს და ა. შ. ეს კარგად გამოჩნდა კომისიის ხელმძღვანელობით ორგანიზებულ მადრიდის გაზის ფორუმზე, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტნიორი ქვეყნების მთავრობები, მარგულირებული ორგანიზების ხელმძღვანელები, ევროპის სატრანსპორტო სისტემის ოპერატორები (ETSO) და მომხმარებელთა წარმომადგენლები. რაც შეეხება გრძელვადიან კონტრაქტებს, კომისიამ აღიარა, რომ ინვესტიციების საფუძველად კვლავაც რჩება “წაიდე ან გადაიხადე” პრინციპით შედგენილი გრძელვადიანი კონტრაქტები. თუმცა ამ კონტრაქტებით უნდა გათვალისწინებულ იქნეს ბაზრის მოსალოდნელი ცვლილებებიც. ამავე დროს ეურადელთა უნდა მიექცეს გაუმართლებელი შესუღვდეების მოხსნას, როგორცაა მწარმოებელთა კონტრაქტები გადასიდგაზე, ტერიტორიული შესუღვდეები გაზის გაყიდვაზე ან შესუღვდეები მომხმარებელთა მიერ გაზით ეაჭრობის მეორადი ბაზრის ორგანიზებაზე.

ცხრილში 1.1 მოცემულია ევროპის გაზის მოხმარების პროგნოზი 2005-2020წწ¹⁴. ევროპულ ქვეყნებს კონტრაქტები აქვთ უზრუნველყოფილი საერთაშორისო მოთხოვნით 2010 წლამდე. ამის შემდეგ კი საჭირო გახდება დაახლოებით დამატებითი 100-200 მლრდ მ³ გაზის იმპორტი წლურად (2020 წლისათვის) გაზის მოხმარების ზრდას ხელს შეუწყობს აგრეთვე ბაზრის ლიბერალიზაციაც¹⁵.

¹⁴ T. Gochitashvili, L. Kurdgelashvili, Comparative analyses for Russian and Caspian natural gas export to Europe. Proceedings of 25th IEAA International Conference, Aberdeen, June, 2002, <http://www.iaee.org>
¹⁵ D. Snieckus, Europe steps on the gas. Oil & Gas Journal, September 4, 2000

ცხრილი 1.1 კასპიის რეგიონის გაზის საპროგნოზო მოხმარება, მლრდ მ³/წ

	ვერობა	თურქეთი	საქართველ ო	სომხეთი	სულ
1990	319	3.5	5.3	4.5	323.3
2000	456	14.8	1.0	1.5	473
2005	475-515	23-30	1.5-2.0	1.7	501-548
2010	515-586	32-45	2.5-3.5	2.5	552-637
2015	550-655	40-57	4.0-5.0	4.2	698-721
2020	650-720	50-65	4.5-5.5	5.5	710-798

1. 2. 1. მიწოდების პერსპექტივა რუსეთიდან

ვერობის ძირითადი ექსპორტიორები რუსეთი და ალკირი დაახლოებით საერთო მოხმარების 35%-ს უსრუნველყოფენ (1999-2000წწ). ძირითადი ადგილობრივი მწარმოებლები, რომლებიც მესობელ ქვეყნებში იმპორტსაც ახორციელებენ, არიან დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები და ნორვეგია. (ნახ 1.4)

მოსალოდნელია, რომ გონიერულ თელსაწიერში ვეროპაში წარმოიშეება მოთხოვნა დამატებით გაზზე, მათ შორის კასპიის რეგიონიდან. ამასთან დაკავშირებით კასპიის გაზმა კონკურენცია ვეროპის ბაზრისათვის პირველ რიგში ტრადიციულ მომწოდებლებს უნდა გაუწიოს, პირველ რიგში კი რუსეთიდან მიწოდებულ გაზს.

რუსეთი მსოფლიოს გაზის რეზერვების დაახლოებით ერთი მესამედის მფლობელია. ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, გაზის მოძიებული და საეარაუდო რეზერვები რუსეთში 46.9 ტრილიონ მ³-ს შეადგენს. დასაველთ ციმბირის აუზის მარაგი 37 ტრილიონ მ³-ით ფასდება, რაც ქვეყნის მთლიანი რესურსის 79%-ს შეადგენს. რუსეთის კონტინენტური შეღფის (ძირითადად ბარენცის ზღვაში და სახალინსუ) მარაგი 4 ტრილიონ მ³-ია. რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგია 2020 წლამდე პერიოდისათვის მიუთითებს 127 ტრილიონ მ³-ს მარაგის არსებობის შესახებ¹⁶.

“გაზპრომი” ფლოზს ლიცენზიას დაახლოებით 34 ტრილიონ მ³ გაზის რეზერვების კვლევა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებზე (თეთი “გაზპრომის” სპეციალისტა შეფასებით, ეს მარაგი 29.9 ტრილიონ მ³-ს არ აღემატება, რაც ქვეყნის ჯამური მარაგის 64%-ს შეადგენს.) დამოუკიდებელი, საერთაშორისო აუდიტორების მიერ შეფასებულია “გაზპრომის” სალიცენზიო ველების 84%-მდე და დადასტურებულია 19.4 ტრილიონ მ³ გაზის რეზერვი. ქვეყნის მთლიანი რეზერვის დაახლოებით 30%-ს სხვა კომპანიები ფლობენ.

“გაზპრომის” რეზერვების 60%-მდე განთავსებულია შედარებით პატარა რეზერვუარებში პურტა-სნადიგის რეგიონსა და დასავლეთ ციმბირში. ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციაში მყოფი სამი გიგანტური საბადო: “მედვეევი”, “იამბურტი” და “ურენგოი”, უკვე მიღეკის სტადიაშია. მაგრამ 2002 წლიდან კომპანიამ დაიწყო გაზის მოპოვების სრდა ახალი “ზაპოლარნიუს” და მესობელი საბადოებიდან. მომავალში გათვალისწინებულია გიგანტური “შტოკმანის” და ბარენცის ზღვისა და იამალის ნახევარკუნძულის უსარმაზარი გაზის რეზერვების ამოქმედება.

რუსეთი კვლავ რჩება ვეროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის გაზის ძირითად მიმწოდებლად. უახლოეს ოცწლეულში იგი გეგმავს აფრთვეუ ბაზრის გაფართოებას აზიის (ჩინეთი, იაპონია, კორეა და ა.შ.) და ჩრდილოეთ ამერიკის (აშშ) კონტინენტზე.

ცხრილში 1.2 მოცემულია გაზის წარმოების დინამიკა რუსეთში¹⁷ გაზის მოპოვებამ 2002წ 578.6 მლრდ მ³ შეადგინა, რაც 4.2 %-ით მეტია წინა წელთან შედარებით.

¹⁶ Russian Gas Supply and Some Prospects of Small Scale LNG Units, by Vladimir Feyglia & Yuri Rytkov, NATO ARW “Security of Natural Gas Supply through Transit Countries”, Tbilisi, 2003

¹⁷ Russian Energy Policy, Review 2002, IEA

ცხრილი 12 გაზის მოპოვება რუსეთში (ფაქტიური და საგარეო)

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
რუსეთი, მლრდ მ ³	594,8	601,0	570,5	590,7	590,8	584,2	581,0
	2005	2010	2015		2020		
	580-600	615-655	640-690		660-700		

რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგიის მიხედვით ნაწინასწარმეტყველებაა გაზის წარმოების გაზრდა 2010 წლისათვის 635-665 მლრდ მ³-მდე, ხოლო 2020 წლისათვის 680-730 მლრდ მ³-მდე, თუმცა ეს რამდენადმე უფრო ოპტიმისტურად გამოიყურება, ვიდრე ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს პროგნოზი. ამასთან, მოპოვების ზრდაში აღმოსავლეთ ციმბირის (ძირითადად "კოვიტკას" საბადოს) და შორეული აღმოსავლეთის (ძირითადად სახალინის საბადოების) წილი მხოლოდ 2010 წლის შემდეგ გახდება შედარებით მნიშვნელოვანი. საგარეოდ, რომ ძალიან ძვირი დაჯდება იამალის ნახევარკუნძულის გიგანტური საბადოების ათვისება და ამიტომ IEA-ს ექსპერტთა გარეულით ეს შეიძლება დაიწყოს მხოლოდ 2015 წლის შემდეგ, თუმცა "გაზპრომის" მენეჯმენტის მტკიცებით, ამ საბადოთა ათვისება უკვე 2010 წლისათვის იქნება დამთავრებული.

რუსეთში წარმოებული გაზის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ექსპორტირდება. ცხრილში 1.3 ნაჩვენებია 2000 წ. მონაცემები რუსეთის გაზის ექსპორტის შესახებ¹⁸.

ცხრილი 1.3 გაზის ექსპორტი რუსეთიდან დხო-ს, ბალტიის და ევროპის ქვეყნებში, 2000¹⁸
(მლრდ მ³)

	გაზპრომი	იტერა	ჯამური ექსპორტი
უკრაინა	27.8	31,1 (16,1*)	58,9
ბელარუსია	10,8	5,8	16,6
მოლდოვა	1,8	0,6 (0,4*)	2,4
საქართველო		1,0*	1,0
სომხეთი		1,4*	1,4
აზერბაიჯანი		0,3	0,3
ლიტვა	2,0	0,6	2,6
ლატვია	1,0	0,4	1,4
ესტონეთი	0,6	0,2	0,8
ყაზახეთი		0,7	0,7
სულ ყოფილი სსრკ		42,1	86,1
ყოფილი იუგოსლავია			3,5
რუმინეთი			3,2
ბულგარეთი			3,2
უნგრეთი			6,5
პოლონეთი			6,8
ჩეხეთი			7,5
სლოვაკია			7,9
სულ ცენტრ. და აღმ.			38,6

¹⁸ Russian Gas Supply and Some Prospects of Small Scale LNG Units, by Vladimir Feygin & Yuri Rykov, NATO ARW "Security of Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

ევროპა		
საბერძნეთი		1,6
თურქეთი		10,3
ფინეთი		4,3
ავსტრია		5,1
შვეიცარია		0,4
საფრანგეთი		12,9
იტალია		21,8
გერმანია		34,0
სულ სამხრ. და დას. ევროპა		90,4
სულ ევროპა		129,0

მოსალოდნელია, რომ რუსული გაზის ექსპორტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად არ გაიზარდება 2020 წლამდე პერიოდისათვის. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთი გეგმავს გაზის მიწოდებას ჩინეთში, კორეასა და, შესაძლოა, იაპონიაში (დაახლოებით 20 მლრდ მ³/წ 2030 წლისათვის)¹⁹.

რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგიის მიხედვით²⁰, იგეგმება 14 ცხრილში ნაჩვენები საექსპორტო მოცულობები, სადაც დაახლოებით 160-165 მლრდ მ³/წ 2020 წელს ევროპისათვის არის განკუთვნილი. ცხრილში არ არის გათვალისწინებული ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მიღებული გაზის რექსპორტი.

ცხრილი 1.4 რუსეთიდან გაზის ექსპორტის პროგნოზი, მლრდ მ³

	1995	2000	2005	2010	2015	2020
ექსპორტი	193	194	197-199	217-230	231-242	236-245

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგიის ახალი ვარიანტი რამდენადმე შემცირებულ ექსპორტის მიჩვენებულზე მიუთითებს. ეს ფაქტი ხაზს უსვამს გარკვეულ არასტაბილურობას რუსეთის გაზის ინდუსტრიაში და, შესაბამისად, პროგნოზის დიდ აღბათობასაც²¹. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ განვითარების ძირითადი პერსპექტივები დაკავშირებულია შტოკჰანის, იამალის ნახევარკუნძულის, კოვიტკის და სახალინის საბადოების ათვისების პროექტებზე, რომლებიც განსაკუთრებით დიდი ხვედრით მოცულობით ინვესტიციებსა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას მოითხოვენ. გარდა ამისა, ამჟამად ფუნქციონირებად სისტემებზე მოწყობილობათა ცვეთის ხარისხი 50%-ზე მეტად ფასდება, ხოლო გაზის ეკონომიკურად გაუმართლებელი დაბალი ფასი ადგილობრივ ბაზარზე მეტად ართულებს აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. გარდა ამისა, რუსული გაზის მოპოვებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიური მოწყობილობა მორალურადაც მოსყველებულია და დაბალეფექტურია და მათი ენერგოეფექტურობა მნიშვნელოვნად ნამორწყება დასავლური ანალოგიური მოწყობილობის მაჩვენებლებს. ამას გარდა, რუსეთისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციული ხასიათის ხელისშემშლელი ფაქტორებიც ახდენენ უარყოფით გავლენას რუსეთის ეკონომიკაზე, რომლის ენერგოინტენსივობა, შეფასების თანახმად, 2-3 ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ძირითად ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის ბაზარზე

¹⁹ World Energy Outlook 2002, Chapter 8, IEA

²⁰ Russian Energy Strategy up to 2020, www.ene.gov.ru

²¹ Russian Gas Supply and Some Prospects of Small Scale LNG Units, by Vladimir Feygin & Yuri Rykov, NATO ARW "Security of Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია უცხოური ინვესტიციებისა და გაზის წარმოება-ურთილსაცის თანამედროვე ტექნოლოგიების შეტანას.

ევროპის სოფიერით ქვეყანა მსადაყოფნას აცხადებს რუსეთის გაზის მნიშვნელოვან პროექტებში თანამონაწილეობისათვის. ასე, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი გეგმავს დაახლოებით 6 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციას ჩრდილო-ევროპული გაზსადენის პროექტის განხორციელებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ბარენცის ხევის საბადოებიდან გაზის ევროპაში ექსპორტისათვის ბალტიის ზღვის გავლით.

რუსეთის საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის აუცილებელი იქნება ახალი ველების ინტენსიური ათვისება და ახალი სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა. რუსეთის ენერჯეტიკული პოლიტიკის 2002 წლის რედაქციის თანახმად 2020 წლამდე პერიოდში სამი ძირითადი ობიექტი უნდა აშენდეს:

- მილსადენის სისტემა შტოკმანის საბადოდან;
- მილსადენის სისტემა იამალიდან, მისი შესაძლო დაგრძელებით უსკეი ფუნქციონირებად “ვისყერი ნაკადის” გაზსადენამდე; ჩრდილო-ევროპული გაზსადენის სისტემა.

აღნიშნული სამივე პროექტი საკმაოდ ამბიციური და რთულად განსახორციელებელია, რადგან მშენებლობა იგეგმება ღრმა წყლოვან, რთულ და ეკოლოგიურად მგრამობიარე პრაქტიკული ტუნდრის პირობებში, ხოლო ბალტიის ზღვის ქსელი მოთხოვს წყალქვეშა და სახმელეთო ტექნოლოგიების რთულ ურთიერთშეთავსებას.

საქართველო “ვისყერი ნაკადის” (BS) მილსადენი აშენდა შავი ზღვის რუსეთის სანაპიროდან თურქეთში გაზის მისაწოდებლად სატრანზიტო ქვეყნების გვერდის ავლით. მილსადენით შესაძლებელია რუსული, თურქმენული ან ყაზახეთის გაზის მიწოდება. მიუხედავად მშენებლობის დამთავრებისა, სისტემა უმოქმედოდ იყო დიდი ხნის განმავლობაში, გაზის ფასთან დაკავშირებით თურქეთთან წარმოქმნილი უთანხმოების გამო. პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტებს შორის “გაზპრომი” განიხილავდა ასურბაიჯანის შაჰ-დენის საბადოს შესაძლო დაკავშირებას BS-თან საკუთარი ხარჯებით. ამ პროექტს გულგოდობა შეეხადა როგორც ასურბაიჯანი ისე შაჰ-დენის პროექტში გაურთიანებული პარტნიორი კომპანიებიც, რადგან ამით შეიძლება საბოლოოდ დასამარბულდყო სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის მშენებლობის პერსპექტივა²².

პარალელურად, “გაზპრომი” აწარმოებდა მოლაპარაკებებს საქართველოს მთავრობასთან, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივ ბაზარზე ფუნქციონირებადი მეორე კომპანიის “იტერას” მოქმედების არეალის შესვლას და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან (სგსკ) ერთად მფლობელობის გადანიწილებას საქართველოს ძირითად მაგისტრალურ მილსადენებზე, აგრეთვე ახალი სეგმენტის მშენებლობის თურქეთში გაზის ექსპორტისათვის. ადგილობრივი საზოგადოების საკმაოდ უარყოფითი რეაქციის შემდეგ მოლაპარაკებები დროებით შეწყდა. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ საკუთარი ენერგორესურსების შკაცრი დეფიციტის პირობებში, საქართველოში გაზის ერთადერთ შესაძლო მომწოდებლად 2006 წლამდე ე. ი. სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის ამოქმედებამდე, რუსეთი დარჩება და, შესაბამისად, საქართველო შეიძლება იძულებული გახდეს მეტად არასასურველ დამოკიდებზე წავიდეს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: რუსეთი კვლავ აგრძელებს ბრძოლას რათა შეინარჩუნოს კონტროლი კასპის რეგიონიდან გაზის შესაძლო ექსპორტზე ევროპაში, რასაც ნაწილობრივ ხელს უწყობს უცხოური კომპანიებისა და ინვესტორების გაუმართლებელი თავშეკავებულობაც²³.

²² V. Kristal'ov, Statoil confident on sales. Caspian business News, June 9, 2003
²³ Production of gas: prognosis and scenarios, October, 2001. WWW.NCFERAS.RU

1. 2. 2. გაზის მოწოდების პერსპექტივები კასპიის რეგიონიდან

როგორც ჩანს, რუსეთი, რომელიც გაზის ისედაც მსხვილი ექსპორტიორია, კიდევ უფრო მზარდ ექსპანსიას გეგმავს საერთაშორისო ბაზარზე. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებით მოცულ ტერიტორიასა და აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში რუსეთის პოლიტიკა უსრულველყოფს ბაზრის დე ფაქტო მონომოლისტურ ოპერირებას მოწოდების წყაროებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მთლიანი ან ძირითადი წილის მფლობელების მეშვეობით. ამის დამადასტურებელი მაგალითებია: ეკონომიკურად გაუმართლებელი BS-ს სისტემა, გრძელვადიანი კონტრაქტები ცენტრალური აზიის ქვეყნებშიდან გაზის შესყიდვასე და ა. შ. ასეთ პირობებში კასპიის რეგიონს, სადაც ნახშირწყალბადიანი სათბობი რესურსების საკმაოდ დიდი მარაგებია და სამხრეთ კავკასიას, რომელიც პერსპექტივაში ამ რესურსების საერთაშორისო ბაზარზე მიმწოდებელი სატრანსპორტო მაგისტრალის განთავსების არეალად მოიაზრება, მომავალში მნიშვნელოვანი სტრატეგიული როლის შესრულება შეუძლიათ.

კასპიის საბადოების გაზის საერთო მარაგი დაახლოებით 10 ტრილიონი მ³-ით ფასდება (საიდანაც 8 ტრილიონი მ³ ახერბაიჯანს, ყაზახეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს ეკუთვნის). საერთაშორისო რესურსი დამატებით დაახლოებით 32 ტრილიონი მ³-ს შეადგენს, რომელიც დღევანდელი ევროპის წლიური იმპორტის მოცულობას 75-80 ჯერ ჭარბობს.

საერთოდ, კასპიის საბადოების მარაგი შედარებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების (რუსეთის მარაგი დაახლოებით 47, ირანის 24.3, კატარის 10.9 ტრილიონი მ³-ია). თუმცა კასპიის საბადოთა მარაგი აღემატება ისეთ მსხვილ მწარმოებელთა მარაგს როგორცაა არაბეთის გაერთიანებული ემირატები (6 ტრილიონი მ³), საუდის არაბეთი (5.8 ტრილიონი მ³), აშშ (4.7 ტრილიონი მ³), ალჟირი (4.5 ტრილიონი მ³)²⁴.

რესურსების ძირითადი ნაწილი კასპიის ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ სექტორებსა და მიმდებარე სახმელეთო რესურსებშია თავმოყრილი²⁵.

ახერბაიჯანში გაზის ინდუსტრიის განვითარება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. მთლიანად ახერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებულია დაახლოებით 470 მლრდ მ³ გაზი.

ახერბაიჯანის გაზის მარაგი დაახლოებით 137 ტრილიონი მ³-ს შეადგენს (იხ. ნახ. 1.5), დამატებითი რესურსი კი დაახლოებით 1.9 ტრილიონი მ³-ით ფასდება. “სედიგას” (CEDIGAS) შეფასებით ახერბაიჯანში გაზის ჯამური რესურსი შეიძლება 3-5 ტრილიონი მ³-ით შეეადგეს²⁶.

ახერბაიჯანი იზიდავს დასავლურ კომპანიებს არა მხოლოდ საკუთარი რესურსების სიუხვით, არამედ მომგებიანი განლაგების გამოც, რადგან ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი კასპიის რეგიონის ნახშირწყალბადების ტრანსპორტირებისათვის ევროპულ ბაზარზე სწორედ ამ ქვეყანაზე გადის.

ახერბაიჯანში გაზის ჯამური წლიური წარმოება უკანასკნელ წლებში 4.5-6 მლრდ მ³-ის ფარგლებში მერყეობდა. ოფშორული მილსადენების სიმძლავრეთა სიმცირის გამო, ასოცირებული გაზის დღევანდელი მოპოვების ნახევარზე მეტი ადგილზე იწვეება ან ატმოსფეროში გაიფრქვევა. ამავე დროს ქვეყნის მოთხოვნა გაზზე მნიშვნელოვანწილად კმაყოფილდება იმპორტით რუსეთიდან (დაახლოებით 4-6 მლრდ მ³ წელში).

2010 წლისათვის დაგეგმილია ახერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის მიერ გაზის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. 2005-2006 წლებში ქვეყანა დაიწვეს გაზის მოპოვებას შამდენიხის საბადოდან და უკვე ექსპორტაციაში მყოფი აბური-ჩირალ-გიუნუშლის ველებიდან (განვითარების პირველი ფაზის სრული ამოქმედების შემდეგ).

მომავალში ახერბაიჯანი გეგმავს წარმოების 24-30 მლრდ მ³-მდე ზრდას. ამჟამად უკვე ექსპორტაციაში მყოფი ნავთობის და გაზის რესურსები უზრუნველყოფს ასოცირებული

²⁴ Survey of Energy Resources, World Energy Council, 2001

²⁵ Source: Center for Global Energy Studies, 2002

²⁶ Centre for Global Energy Studies, 2002

და თავისუფალი გაზის 16-20 მლრდ მ³ წლიურ საექსპორტო პოტენციალს, უახლოვს მომავალში საბადოების სრულყოფილი ათვისების შემდეგ.

ვახახოში გაზის მოძიებელი მარაგები დაახლოებით 1.9 ტრლნ მ³-ს უტოლდება, რომლის ძირითადი ნაწილი - 1.3 ტრლნ მ³, განთავსებულია გოგანტურ ყარანაგანაის საბადოსე. ვახახოში წლიურად დაახლოებით 13 მლრდ მ³ გაზს აწარმოებს და დაახლოებით 12.6 მლრდ მ³ მოიხმარს (2003 წ²⁷). იგი აწარმოებს გაზის ექსპორტს თავისი პროდუქციული დასახელებით საბადოებით რუსეთში, მაშინ როდესაც ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებს თურქმენეთიდან და უზბეკეთიდან იმპორტირებული გაზით ამარაგებს.

ვახახოში გეგმავს გაზის მოპოვების მნიშვნელოვან ზრდას უახლოვს მომავალში. კერძოდ, დაგეგმილია 2010 წლისათვის გაზის წარმოება 60 მლრდ მ³-მდე გაიზარდოს, რომლის დიდი ნაწილი - 40 მლრდ მ³, ექსპორტისთვის არის გათვალისწინებული.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა მესობელ უზბეკეთშიც, სადაც გაზის მოძიებული მარაგი 1.85 ტრლნ მ³-ს, წლიური მოპოვება - 53.6 მლრდ მ³-ს, საქაეთში მოიხმარება კი დაახლოებით 47 მლრდ მ³-ს შეადგენს.

გაზული საუკუნის 80-იან წლებში და 90-იანი წლების დასაწყისში თურქმენეთი მსოფლიოში გაზის ყველაზე მსხვილ მწარმოებელთა ოთხეულში შედიოდა რუსეთის ფედერაციას, აშშ-სა და კანადასთან ერთად. ქვეყანა გაზის მნიშვნელოვანი მარაგის (2.9 ტრლნ მ³) საბადოების მფლობელია. მარაგის უდიდესი ნაწილი მსხვილ ყვლებშია კონცენტრირებული, რომელთა შორის არის დოვლათაბადის საბადო, რომელიც წლიურად 40 მლრდ მ³ გაზის წარმოების საშუალებას იძლევა²⁸.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისდა გაზის წარმოების შემცირება დაახლოებით 75%-ით, რაც დაკავშირებული იყო რუსული გაზსადენების გადაკრეტით გაზის ექსპორტისათვის და სხვა ალტერნატიული მარშრუტის არ არსებობით. დღესათვის როცა რუსეთსა და თურქმენეთს შორის რუსეთისათვის მეტად მომგებელია გაზის შესყიდვის მრავალწლიანი ხელშეკრულება ხელმოწერილი, თურქმენეთის გაზის ძირითადი ნაწილი რუსული მიწსადენების გავლით ექსპორტირდება მესამე ქვეყნებში. გაზის მცირე ნაწილი მიეწოდება აგრეთვე თურქეთს ირანზე გაზამდელი მიწსადენის საშუალებით.

ამჟამად (2003 წლის მონაცემებით) თურქმენეთში გაზის მოპოვება ითითქმის 55 მლრდ მ³ შეადგინა. 2010 წლისათვის ქვეყანა გეგმავს 100 მლრდ მ³-მდე გაზის წარმოებას, რაც შეეღვამის 130 მლრდ მ³-მდე გაიზარდება 2020 წლისათვის. წარმოებული გაზის ძირითადი ნაწილი საექსპორტოდ არის გაიზნული, მათ შორის ევროპაშიც, რომელშიც თურქმენეთიდან შეიძლება მიიღოს დაახ. 50 მლრდ მ³ 2010 წელს და 100 მლრდ მ³ 2020 წელს^{29,30}.

ექსპორტთა შეფასების თანახმად, დანახარჯები გაზის მოპოვებაზე თურქმენეთში განსაკუთრებით დაბალია და არ აღემატება 20 აშშ დოლარს 1000 მ³-ზე. 1999 წლიდან რუსული "გაზპრომი" თავისობდა თურქმენეთის მრავალწლიან კონტრაქტს გაზის შესყიდვანგ, რომელიც გარკვეულ პერიოდის განმავლობაში იყო შეთანხმდა ფასების გაიზ³¹. შეთანხმება წლიურად 20 მლრდ მ³ გაზის მიწოდებაზე ფასით 36 აშშ დოლარი/1000 მ³ ძალაში შევიდა 2000 წელს. 2001³² თურქმენეთში ფასის 38 დოლარამდე გაზრდა მოითხოვა. მეორე კომპანია "იტკრა". რომელიც ფაქტურად რუსეთიდან კონტროლდება, იყო აგრეთვე თურქმენული გაზის ძირითადი გადამყიდველი, რომელიც ყოველწლიურად საშუალოდ 10 მლრდ მ³ გაზს ყიდულობდა, მაგრამ შედარებით უფრო ძვირად. საბოლოოდ 25 წლიანი კონტრაქტი დაიდო რუსულ "გაზპრომსა" და თურქმენეთის მთავრობას შორის, რომელიც ითვალისწინებს გაზის მიწოდებას 44 აშშ დოლარი/1000 მ³ ფასად, ამასთან, ღირებულებების 50% გადახდილი იქნება რუსული წარმოების საქონლით ან მომსახურებით (ბარტერი).

კასპიის გაზის ტრანსპორტირების ფასი, რუსეთის კუთვნილი მიწსადენებით, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ფედერალური მარეგულირებელი კომისიის დადგენილების თანახმად, 16 აშშ დოლარი/1000მ³X1000კმ შეადგენს. შესაბამისად, თურქმენული გაზის

²⁷ bp Statistical Review 2003, June, 2004

²⁸ James P. Dorian, Oil, Gas in FSU Central Asia, Northwestern China, Oil & Gas Journal, September, 10.2002

²⁹ Caspian Oil and Gas, The Supply Potential of Central Asia and Trans Caucasus, IEA, 1998

³⁰ Orhan Degermendeli, E! Study of Caspian Arca oil, gas pipelines compares routes, costs, Oil & Gas Journal, X S. 2001

³¹ Platt's Oil gram news, May, 23, 2000

ტრანსპორტირების დაზიანდაცები, მისი ექსპლოატისათვის რუსეთის ტერიტორიის გაგებით 20-40 დოლარის ფარგლებში მერყეობს 1000 მ³-ზე (მარშრუტისაგან დამოკიდებულებით). დაახლოებით 20-38 აშშ დოლარი დამატებით უნდა იქნეს გადახდილი უკრაინის, ბალკანეთის ქვეყნების, სლოვაკიისა და სეხეთისათვის იქნეს თუ გაზის ცენტრალურ ევროპას მიეწოდება. შედეგად, თურქმენული გაზის მიწოდებისას რუსული მილსადენების გაგებით, მისი კონკურენტუნარიანობა ევროპის ბაზარზე მნიშვნელოვნად მცირდება.

თურქმენეთისათვის აუცილებელია რუსეთთან სელმოწვილი გრძელვადიანი კონტრაქტის შესაძლო შედეგების გათვალისწინება. საეკონომიკო, რომელიც რუსეთი და ირანი (თურქმენეთის გაზის მეორე სატრანსპორტ ქვეყანა) შეძლებენ საკუთარ გაზის ინდექსების ეფექტურ ამოქმედებას, არსებულ მისდენების სიმძლავრეები ძირითადად სწორედ საკუთარი გაზით ტრანსპორტირებისათვის იქნება გამოყენებული, რაც მისი მდგომარეობაში ნაყენებს თურქმენეთს. ეს ქვეყანა იძულებული გახდება გაზის მარკეტის სწორედ რუსეთთან და ირანს, მათ მიერ ნაკარნახევი დაბალი ფასით. საეკონომიკო გრძელვადიანი პერსპექტივაში თურქმენეთს ექვლაზე უფრო წამყვანი პოზიციამი მოსდება, რუსეთზე და ირანზე თავისი დამოკიდებულების სრდის ტენდენციის შესაძლო შედეგების გამოა³².

პროგნოზი, რომელიც მომზადებულია "ბრიტიშ პეტროლიუმის" (BP) და გლობალური ენერჯეტიკული კვლევების ცენტრის მიერ "უელ ენდ მაკენსის" მონაცემებზე დაყრდნობით, აჩვენებს რომ კასპიის რეგიონში 2020 წლისათვის საეკონომიკო დაახლოებით 320 მლრდ მ³ გაზის წარმოება, თუმცა სოფიერით შეფასების მიხედვით (ნახ. 1.6) გაზის წარმოების სრდა რეგიონში უფრო კონსერვატიული სცენარით არის გათვალისწინებული³³.

თურქეთი, ხამხრეთ კავკასიის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ითვლებიან კასპიის გაზის ექვლაზე უფრო პერსპექტიულ მომხმარებლებად.

სტატისტიკის მიხედვით, სომხეთის გაზის მოხმარება მთლიანად იმპორტით კმაყოფილებია. საქართველოსა და თურქეთში ეს მნიშვნელოვანი დაახლოებით 95%-ის შეადგენს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაახლოებით 70%-ის. ექვლა ეს ქვეყანა არამედ გაზის რუსული "გაზპრომიდან" ან მისი შეიღობილი კომპანიებიდან იღებს.

ნახაზზე 1. 7 ნაჩვენებია კასპიის გაზის მიწოდების არსებული ინფრასტრუქტურა და მისი შესაძლო განვითარების პერსპექტივები, გაზის ექსპლოატისათვის დსო-ს ქვეყნებში, ევროპაში, ჩინეთსა და აკოსტანში (აღიანეთის გაგებით).


ნახაზზე 1. 8 ნაჩვენებია რუსეთიდან და ცენტრალური აზიიდან ჩინეთის დასავლეთ პროვინციებში და აღმოსავლეთ ციმბირიდან შუა მონღოლეთის პროვინციის გაგებით ჩინეთის აღმოსავლეთ, ინდეუსტრულიად განვითარებულ პროვინციებში გაზის მიწოდების პერსპექტიული მარშრუტები³⁴.

კასპიის გაზის ჩინეთში მიწოდების შესაძლო ვარიანტები შემდეგია³⁵:


- არსებული სისტემის ბუხარა-ტაშკენტი-ბიშკეკი-ალმა-ატა დაგროძლება ტალდი კურგანამდე და შემდეგ სასახლერო ქალაქ დრუეზამდე;
- ახალი მავისტრალური მილსადენის მშენებლობა იშიმი (რუსეთი) – პეტროპავლოვსკი – კოქეტაევი – ასტანა – ყარაგანდა – ბალხაში – დრუეზა;
- მავისტრალური მილსადენების ახალი სექმენტის: ყელკარი – კისილ-ორდა – ნომკინტი მშენებლობა და მისი მიერთება არსებულ სისტემასთან: ბუხარა – ტაშკენტი – ბიშკეკი – ალმა-ატა, შემდეგში დაგროძლებით ტალდი კურგანისა და დრუეზას მიმართულებით.

კასპიის გაზის ევროპაში მიწოდების შესაძლო მარშრუტების კონკურენტუნარიანობა, მისი ტრანსპორტირების სხვა ვარიანტებთან შედარებით განსახლერავს კასპიის საბალთა განვითარებისა და დასავლეთით მიმართული მილსადენების მშენებლობის პერსპექტივებს.

³² M.Foss, G.Gulen, B Shenoy, Caspian Pipeline prospects hinge on transparent. Oil & Gas Journal, August 21, 2000
³³ T.Gochitashvili, Natural Gas to Europe XXI Century through Georgia. Center for Strategic Research and Development of Georgia, Bulletin # 13, 2000
³⁴ Liu Xiaoli, Gas Demand-Supply Outlook in China. Materials of International Workshop on Development Strategy and Technical Utilization of Natural Gas Sector, February 2004, Guangzhou, China
³⁵ Caspian Gas/Strategies for Development, Materials of International Conference, Brussels, November, 2003




ნახ. 1.2. გაზის წარმოების, იმპორტისა და მოთხოვნის პროგნოზი ევროპაში
 Figure 1.1. Emissions by combustion of various fuels




ნახ. 1.2. გაზის წარმოების, იმპორტისა და მოთხოვნის პროგნოზი ევროპაში
 Figure 1.2. European gas production, import and demand forecasts




ნახ. 1.3. ევროპაში გაზის მიწოდების პრიორიტეტული ტურქები
 Figure 1.3. New gas priority axes (Source: The weakest links, EU Energy 28, 31 January 2002)




ნახ. 1.4. გაზის ძირითადი მიმწოდებლები ევროპის ბაზარზე
 Figure 1.4. Main suppliers of European countries




ნახ. 1.5. აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის რეზერვი და რესურსი
 Figure 1.5. Azerbaijani Oil and Gas Reserves and Resources




ნახ. 1.6. კასპის გაზის წარმოების პერსპექტივები
 Figure 1.6. Caspian gas prospects




ნახ. 1.7. კენტრალური აზიის ძირითადი მავიკრალური გაზსადენები
 Figure 1.7. Central Asian Natural Gas Main Export Pipelines




ნახ. 1.8. გაზის მიწოდების უსაძლო მარშრუტები ჩინეთში
 Figure 1.8. Key Streams of NG in China




ნახ. 1.9. კასპიის გაზის ზღვრული ფასები სხვადასხვა მარშრუტის გამოყენების დროს
 Figure 1.9. Marginal prices for Caspian gas by transportation through different Pipelines



ნახ. 1.10. გაზის ევროპაში მიწოდების ფასები
Figure 1.10. Supply cost for gas delivery to Europe



ნახ. 1.11. გაზის ფასი საქართველოში
Figure 1.11. Georgia. Natural gas prices



ნახ. 1.12. ენერგეტიკული რესურსების ფასების შედარება. საქართველო, 2002 წ.
Figure 1.12. Comparative prices of energy resources in Georgia 2002

1. 3. თურქეთი

კასპიის რესურსებთან სიახლოვის გამო, თურქეთი მიმსიღველ ბაზრად არის მინიჭული. ტრადიციულად, იგი გასით რუხეთიდან მარაგდებოდა უკრაინისა და ბალკანეთის გაელით.

თურქეთში სწრაფად იზრდება ბუნებრივი გასის მოხმარება. თუ 1987 წელს თურქეთის გასის მოხმარება მხოლოდ 0.5 მლრდ მ³-ს შეადგენდა, 2003 წელს მოხმარებამ 21 მლრდ მ³ შეადგინა. მოხმარების არსებით ზრდას განაპირობებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: თურქეთის დინამიური ეკონომიკა მრეწველობისა და ურბანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი პროექტების გათვალისწინებით. ასევე მნიშვნელოვანია ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციისა და ახალი მავისტრალური მილსადენების ინტენსიური მშენებლობის პოლიტიკა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 4700 კილომეტრს შეადგენს და უახლოეს ხანებში 8000 კილომეტრამდე გაიზრდება³⁶.

ხანგრძლივადიანი კონტრაქტები უკვე ხელმოწერილი იქნა რუსეთსა და თურქეთის მილსადენის კომპანია „ბოტასს“ შორის არსებული მილსადენების გამოყენებით რუხეთიდან 6 მლრდ მ³-ისა და დამატებით კომპანია „ტურგუუსგაზის“ მიერ 8 მლრდ მ³-ის მოწოდების შესახებ. კონტრაქტის თანახმად 16 მლრდ მ³ იქნება მოწოდებული რუხეთიდან ცისფერი ნაკადის მილსადენით მომდევნო 23-25 წლის განმავლობაში. ამას გარდა, თურქეთი მიიღებს 4 მლრდ მ³ თხევად გასს (LNG) ალჟირიდან (2014 წლამდე) და 12 მლრდ მ³ თხევად გასს ნიგერიიდან (2021 წლამდე). თურქეთს აგრეთვე ხელმოწერილი აქვს კონტრაქტები რაც უსრუენეკლეოფის 554 მლრდ მ³ გასის მიღებას 2010 წლისათვის და 613 მლრდ მ³-ის მიღებას 2020 წლისათვის (ირანიდან 10 მლრდ მ³/წ 2026 წლამდე, თურქმენეთიდან 16 მლრდ მ³/წ 2006-2036 წლები და აზერბაიჯანიდან 66 მლრდ მ³/წ 2006-2020 წლები). ამასთანავე, გათვალისწინებულია 10 მლრდ მ³/წ გასის მიღება ერაყიდან რომლის მოძიებულ მარაგი დაახლოებით 3.1 მლრდ მ³-ს შეადგენს.

არებული შეფასებების თანახმად, რომელიც გაკეთდა „ბოტასის“ მიერ, თურქეთის მოთხოვნა გასზე შეადგენს დაახლოებით 55 მლრდ მ³ 2010 წელს და 80 მლრდ მ³ 2020 წლისათვის. კომპანია, როგორც ჩანს, საქმოდ ოპტიმისტურ პროგნოზს ყყრდნობა. რეალურად, უკვე არსებული კონტრაქტებით უსრუენეკლეოფილი გასის რაოდენობა აჭარბებს იმ დონეს, რომელსაც ქვეყანა სინამდვილეში მოიხმარს. საქმე ისაა, რომ პროგნოზი ბუნებრივ გასზე ითვალისწინებს ელექტროენერჯის გამომუშავების დაგეგმილი ზრდის ტემპებს. მაშინ, როდესაც ელექტროენერჯის გამომუშავების პროექტები გეგმიურთან შედარებით ძალიან ნამორჩენილია. მეტიც, თურქეთში, დამატებით ახალი ელექტროენერჯის წარმოების ნაკვალად, უკანასკნელ პერიოდში ყყრადღება გამახვილებულია რუხეთიდან და სამხრეთ კავკასიიდან იაფი ელექტროენერჯის იმპორტის შესაძლებლობებზე. როგორც ნახევაბია 1.1 ცხრილში, თურქეთი გასის ბაზრის გრინერული განვითარების ტემპების გათვალისწინებით, 2020 წლისათვის მოთხოვნა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ეს „ბოტასის“ კონტრაქტებითაა გათვალისწინებული. იმაედროულად, არსებითი ცვლილებებია გათვალისწინებული მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციისათვის, რადგან დაგეგმილი პროექტების რეალიზაციას შეიძლება გარკვეულ დაბრკოლებები შეექმნას, თუ მაგალითად:

- კასპიისპირა მესობელი ქვეყნები ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას კასპიის ზღვის აუზის გადანაწილების შესახებ;

³⁶ Cenik Pala, BOTAS, Oil and gas transportation – recent developments and future potential. Materials of Interactional Conference GIOGIE 2003. Tbilisi, March, 2003

- პრობლემები შეიქმნება თურქმენული გაზის მისაწოდებლად რუსეთის გაზსადენების სისტემის გაყვით; აგრეთვე, აზერბაიჯანის, ურალისა და ირანის გაზთან მაღალი კონტრაქტის გამო, ევრგატეკული ბაზრის დერეფელირების პირობებში;
- თურქმენ-რუსეთის გრძელვადიანი კონტრაქტი გაზის მიწოდების შესახებ საეკვოს გახდის თურქმენეთის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს თურქეთის გაზის ბაზრის განაწილებაში, რასაც შეაფერხებს აგრეთვე დაგეგმილი რუსული პროექტების განხორციელება და გაზის მიწოდება არსებული ცისფერი ნაკადის მილსადენებით, აგრეთვე, შაჰ-დენისის, ირანისა და ურალის საბადოებიდან უფრო იაფი გაზის მიღება.

1. 4. მილსადენების ეკონომიკა

ევროპასა და თურქეთში დამატებითი ბუნებრივი გაზის მიწოდება კასპიის რეგიონიდან შემდეგი მარშრუტებით არის გათვალისწინებული:

- რუსეთის კუთვნილი მილსადენები დასავლეთ ევროპის ან ბალკანეთის სახელმწიფოების გაყვით, რომელთა საპროექტო სიმძლავრე 14 მლრდ მ³/წ შეადგენს;
- ცისფერი ნაკადის (BS) შავი ზღვის წყალქვეშა მილსადენი საპროექტო სიმძლავრით 16 მლრდ მ³/წ;
- ჩრდილოეთ კავკასია-სამხრეთ (NSCP) კავკასიის ბუნებრივი გაზის მაგისტრალური სისტემა რუსეთიდან თურქეთისაკენ საქართველოს გაყვით, რაც მითხოვს არსებული მილსადენის რეაბილიტაციას, მოდერნიზაციასა და გაყვართობას საქართველოდან თურქეთის ქალაქბაზელ - ხოფა ან ერზურუმი, და შემდეგ ევროპაში. პროექტის მაქსიმალური საექსპორტო სიმძლავრე 14 მლრდ მ³/წ-ია, ხოლო შეფასებული ინვესტიციები საქართველოს ნაწილის აღსავლენად დაახლოებით 450 მილიონ დოლარს შეადგენს;
- სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემა (SCP) ბაქოდან თბილისამდე და ერზურუმამდე. "ბრიტის პეტროლეუმის" ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული კონსორციუმი ხელმძღვანელობს სისტემის მშენებლობას გაზის მისაწოდებლად კასპიის ზღვის შაჰ-დენისის საბადოდან საქართველოს გაყვით თურქეთში და მოგვიანებით ევროპაში. მოსალოდნელია, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ანატოლიისა და შავი ზღვის პირა რეგიონებში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 31 პროცენტი ბინადრობს, გაზის მიმსიდეკლი ბაზარი ჩამოყალიბდება. ამასთან, შემდგომში მილსადენი უნდა დაგრძელდეს ცენტრალურ და დასავლეთ თურქეთში და ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც მასზე მოთხოვნა ძალზე მაღალია. აგრეთვე შეფასებები აჩვენებს, რომ შაჰ-დენისის განვითარების მთლიანი პროექტის ღირებულება არ აღემატება 2850 მილიონ დოლარს, რომლიდანაც გამოყოფილია 1250 მილიონი დოლარი 685 კილომეტრი სიგრძის 1050 მმ დიამეტრის მილსადენის მშენებლობისათვის (750 მლნ აშშ დოლარი აზერბაიჯანის და 500 მლნ აშშ დოლარი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობისათვის). სისტემის საპროექტო სიმძლავრე 18-24 მლრდ მ³/წ-ია. სისტემა მაქსიმალური დაგეგმილი სიმძლავრე შეადგენს 30 მლრდ მ³/წ-ს;

- ირან-თურქეთის მილსადენი (ITP) სისტემა, რომლითაც შესაძლოა თურქმენეთის გაზით შეივსოს. სისტემის საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 10 მლრდ მ³/წ-ს;

- ტრანს-კასპიური ბუნებრივი გაზის მილსადენი, რომლითაც გაზი თურქმენეთიდან და კასპიის სხვა სახელმწიფოებიდან შეიძლება მიეწოდოს ევროპის ბაზარს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გაყვით. პროექტის მაქსიმალური სიმძლავრეა 30 მლრდ მ³/წ. ინვესტიციები შეფასებულია 24000 მლნ აშშ დოლარით.

განხილული მილსადენების მარშრუტების კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნაწილად იქნება დამოკიდებული ტრანსპორტირების დანახარჯებზე და ტრანსპორტის გადასახადებზე. გამოცდილება აჩვენებს, რომ ლიბერალური საბაზრო

ურთიერთობების პირობებში ეკონომიკა კონკურენტუნარიანობის ძირითად კრიტერიუმად იქცევა, გრძელვადიანი კონტრაქტები კი უფრო ნაკლებ მიმსიდველად განხედება.

საპროგნოზო დანახარჯების განსაზღვრის მიზნით დეტალურად იქნა გაანალიზებული თითოეული მარშრუტი, რისთვისაც შესწავლილ იქნა: მოსოვნებისა და შესყიდვის ფასები, მიღსადენების სპეციფიკა, ტრანსპორტირების დანახარჯები და ტრანსპორტის გადასახადები. გამოთვლის დროს გამოყენებული მონაცემები აღებულია სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან ან ეყრდნობა მიღსადენის ექსპლუატაციის საერთაშორისო გამოცდილებას. გათვალისწინებული იქნა თითოეული წყაროდან მიღებული გაზის ფაქტორული თბოუნარიანობა.

გათვლებისათვის აღებულია შემდეგი საწვისი მონაცემები:

- თურქმენეთის გაზის ფასი \$42-44/1000მ³;
- აზერბაიჯანის გაზის ფასი \$55/1000მ³ (შემოთავაზებული ფასი საქართველოს სასღიაროთან 2006 წლისათვის);
- რუსეთის გაზის ფასი: \$52/1000მ³, \$75/1000მ³ და \$56/1000 მ³ შესაბამისად ვოლგა-ურალის რეგიონიდან და დასავლეთ ციმბირიდან მიღებული გაზისათვის (ითვალისწინებს რუსეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ღირებულებასაც) და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის მისაწოდებლად განკუთვნილი გაზისათვის (ითვალისწინებს საქართველოს სასღიაროზე 2001 წელს დაფიქსირებულ ღირებულებას);
- ირანის გაზი (სამხრეთის საზღვრები) \$70-100/1000 მ³.

სატრანსპორტო ხარჯები მერყეობს \$10-20\$/1000მ³ ფარგლებში 1000 კმ მანძილზე, მიღსადენის სიმძლავრის, ტიპის (სანაპირო/ოფშორული) და ტრანსპორტირების მანძილის მიხედვით. ტრანსპორტზე გადასახადი შეადგენს ტრანსპორტირებული გაზის ფასის 5-10%-ს და იკვლავა საერთაშორისო პრაქტიკისა და სხვადასხვა ქვეყნებში ამჟამად მოქმედი ფასების შესაბამისად. გათვალისწინებულია აგრეთვე BS სისტემის გადასახადებისაგან გათავისუფლება რუსეთისა და თურქეთის ტერიტორიაზე.

19 ნახაზე ნაივენებია შედარებითი ეკონომიკური შეფასების შედეგები, თითოეული მიღსადენის მარშრუტის კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის.

როგორც ჩანს, ყველაზე კონკურენტუნარიანი სამხრეთ კავკასიური მიღსადენების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს კასპის ბუნებრივი გაზის ყველაზე უფრო იაფ მიწოდებას სამხრეთ კავკასიაში, თურქეთსა და ევროპაში. ამასთან, ცისფერი ნაკადის მიღსადენი და ჩრდილოეთ კავკასია - სამხრეთ კავკასიის მიღსადენი ყველაზე ნაკლებ მომგებიანად გამოიყურება.

„ბოტას“-ის მიერ მიღებული მონაცემები (ნახაზი 1.10) ევროპაში გაზის მიწოდების სავარაუდო ფასების შესახებ საკმაოდ ადეკვატურად ასახავს მოყვანილი ანალიზის შედეგებს^{37,38}.

გარდა ამისა, იმავე მიღსადენებისათვის გათვლილია აგრეთვე შესაძლო ყოველწლიური დანახარჯები ევროპის, თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ბოლო მომხმარებლებისათვის³⁹. როგორც ჩანს, თურქეთმა შეიძლება მიიღოს მაღალი შემოსავლები სამხრეთ კავკასიის მიღსადენების სისტემის რეალიზაციისათვის, ისევე, როგორც ტრანსკასპიური მიღსადენისა და ირანის მიღსადენის პროექტებიდან. თურქეთისათვის შემოსავლის დამატებითი წყარო შეიძლება გახდეს ევროპაში აზერბაიჯანული და თურქმენული გაზის მიწოდება (ტრანსპორტი ან რეექსპორტი).

აზერბაიჯანული გაზის მიწოდებისათვის სამხრეთ კავკასიური მიღსადენის სისტემის შედარებისას თურქმენეთის გაზის მისაწოდებლად ცისფერი ნაკადისა და ჩრდილოეთ კავკასია-სამხრეთ კავკასიის მიღსადენთან დასტურდება, რომ საუკეთესო ეკონომიკური

³⁷ Cenk Pala. BOTAS. Oil and gas transportation – recent developments and future potential. Materials of International Conference GIOGIE 2003, Tbilisi, March, 2003
³⁸ Study of Observatoire Mediterranee de L'energie (OMIE) institution
³⁹ T.Gochitashvili, L.Kurdgelashvili, Comparative analyses for Russian and Caspian natural gas export to Europe, Proceedings of 25th IEA International Conference, Aberdeen, June, 2002, <http://www.iaec.org>

შედეგი თურქეთის მომხმარებელთათვის მიიღწევა SCP სისტემის გამოყენებისას. ეკონომიკურად აგრეთვე საკმაოდ გამართლებულია ყველაზე უფრო იაფად მოპოვებული თურქმენული გაზის მიწოდება თურქეთსა და ევროპაში ტრანსკასპიური ან თურქმენეთი-ირანი-თურქეთის მილსადენების გამოყენებით, მაგრამ აშშ-ს მიერ გამოცხადებული ირანის პოლიტიკური იზოლაცია და შეთანხმება თურქმენეთის გაზის რუსეთში გატანის შესახებ უკვევე აყენებს ამ პროექტების შემდგომი განვითარების პერსპექტივას. ორი პროექტის – სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემისა და ტრანსკასპიური მილსადენების შესაძლო გაერთიანების შემთხვევაში თურქეთსა და ევროპაში აზერბაიჯანისა და საქართველოს გაელთ, კასპიის გაზის კონსოლიდირებული მიწოდებისათვის ყველაზე უფრო მიმსიდველად გამოიყურება. ასეთ შემთხვევაში, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე ახალი მილსადენის მოწყობის ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს სამხრეთ კავკასიური მილსადენების სისტემის შესაძლებლობები (შესაძლო მაქსიმალური გამტარუნარიანობა 30 მლრდ მ³/წ). ამ ვარიანტის რეალიზაცია საშუალებას იძლევა დაიზოგოს დაახლოებით 1000 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიციები.

ანალიზი გეინვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკისათვის მაქსიმუმი სარგებელი შეიძლება მიიღწეულ იქნეს სამხრეთ კავკასიის მილსადენების სისტემის განვითარებით. სრული პირდაპირი შემოსავალი (ნახაზი 1.11), ამ შემთხვევაში, შედგენილია სატრანსიტო გადასახადის სახით (რომელიც ტრანსპორტირებული გაზის 5%-ს შეადგენს) საქართველოსათვის სპეციალურად შეთანხმებული ფასით (\$55/1000მ³.ზე) მიღებული გაზის კაპიტალიზაციით ადგილობრივ ბაზარზე წინასწარ პროგნოზირებული ფასების გათვალისწინებით საკვლევ პერიოდში (2020 წლამდე).

პირდაპირი შემოსავლის გარდა, ამ პროექტის ამოქმედებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოება. გაზის გარანტირებული მიწოდება განაპირობებს ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის გააქტიურებასაც. ანალიზი გეინვენებს, რომ დაამტებითი შემოსავლები საქართველოს ეკონომიკაში შეიძლება მიიღწეულ იქნას ენერჯის სხვა წყაროების ბუნებრივი გაზით შეცვლითა და შედეგად სოფიერთი სექტორის შემოსავლების მოსალოდნელი ზრდით 250%-ით 2010 წლისათვის, და 360%-ით 2020 წლისათვის 2000 წელთან შედარებით.

თუკი ყველა განხილული მილსადენი აშენდა, შეიქმნება წინაპირობები რეგიონული ბაზრის ჭარბი გაზით გაჯერებისათვის, განსაკუთრებით 2006-2010 წლებში. თუმცა, სამხრეთ კავკასიური და ტრანსკასპიური მილსადენების სისტემების ერთობლივი განვითარების პროექტი აშკარა ფავორიტი იქნება ევროპის ბაზარზე კასპიის გაზის მიწოდებისათვის განაღებული კონკურენციის პროცესში.

2. გახსანვაშემდგომი მოწყობის ტექნოლოგიები და ევროპული გამოცდილება

2.1. ზოგადი მიმოხილვა

ზოგიერთი ქვეყნის ენერგეტიკული სექტორი და მოდერნიზაციაში მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ბუნებრივი აირის (გაზის) იმპორტზე, რაც სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უსრუენედელო ფინანსათვის. ამასთან გაზის მოწოდებები მავარებლები გახსნადენების ქსელის გაფართოება, რაც განპირობებულია ძირითად მომხმარებლებთან ახლოს განლაგებული საბადოების მარაგის ამოწურვით და მოპოვების გადანიკელებით ახალ, ინდუსტრიული ცენტრებიდან დაშორებულ საბადოებზე, მრავალ ტექნიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს წარმოქმნის. ეს ძირითადად განპირობებულია გაზის მოხმარების უსაზღვრობით - გათბობისა და სხვა ენერგეტიკული მიხებისათვის მისი მოხმარება საბითრის განმსაღობაში მნიშვნელოვნად გარბობს საშუალო წლიურ მოთხოვნას (იხ. ნახაშები 2.1 და 2.2)¹⁰, მაშინ როცა საბადოთა დამუშავების რაციონალიზაციის მიხით სასურველია მოპოვებისა და მოწოდების არაქტიკულად მუდმივი დონის შენარჩუნება. აღნიშნული ფაქტორი მოწოდება-მოხმარების დისბალანსის გამომწვევი მიხეხი ხდება (იხ. ნახაში 2.3) და განპირობებს გაზის შესანახი ინფრასტრუქტურის მომსაღების აუცილებლობას.

გაზის გათბავებაში მოწიქვეშა გახსნაცავებში მუდარებით თანამედროვე ტექნოლოგიად ითვლება მოთხოვნა-მოწოდების დისბალანსის უარყოფითი ფაქტორის შერბილებისათვის. მოწიქვეშა გახსნაცავები უსანახიქულ ხანის ინტენსიურად ვითარდება და დღეისათვის საერთაშორისო და შიდა გახსნამარაგების სისტემების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მოქმედი, მსხვილი მოწიქვეშა გახსნაცავების რაოდენობამ მსოფლიოში 600-სს გადააჭარბა.

საერთაშორისო, რომ გაზის საერთაშორისო ბაზრის მიმდინარე დიბერადიზაცია გახსნაცავების უფრო ინტენსიური მშენებლობის ხელშეწყობი ფაქტორი გახდება უახლოეს მომავალში. აღსანიშნავია აგრეთვე რომ ევროპის იმპორტისო ქვეყნების კრიტიკული სიტუაციის მართვის სტრატეგია ითვალისწინებს წიადისეული ენერგეტიკული რესურსების ნორმალური მოხმარების 90 დღიანი მარაგის დარეკერების აუცილებლობას.

მსოფლიოს მოქმედი გახსნაცავების 90 % მოწიქვეშა ფორიან სტრუქტურებშია მოწყობილი და მათი ჯამური მოცულობა დაახლოებით 310 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს (ნახაში 2.4). სხვა, აღტერნატული ტიპის გახსნაცავები შედარებით შესლდული მოცულობისაა - იკური ტიპის გახსნაცავების საერთო რაოდენობა მსოფლიოში 80-ს აღწეხს და მათი აქტიური ჯამური მოცულობა 2-3 მლრდ კუბურ მეტრს არ აღემატება, ხოლო სახეკადი გაზის მიმღებ-შესანახი 35-მდე ტერმინალის ჯამური მოცულობა დაახლოებით 7-8 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს.

დასავლეთ ევროპაში ფუნქციონირებს დაახლოებით 78 მოწიქვეშა გახსნაცავი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალურ აზიაში - 67. მათი აქტიური მოცულობა და გახსნაცავების ნორმა შესაბამისად შეადგენს 55 და 131 მლრდ კუბურ მეტრს და დაახლოებით 1.1 და 1.0 მლრდ მ³-ს დღეში¹¹.

ევროპის ენერგეტიკული ასოციაციის (IEA) მონაცემების მიხედვით ფასების სესონური ცვალებადობა გერმანიისა და აშშ-ში 1999-დან 2000 წლამდე 10-13 %-ის ფარგლებში

¹⁰ T. Gochitashvili. Prospects of the Caspian hydrocarbon resources export to Europe & probable impact on the energy sector of transit country. NATO ARW "Security of NG Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

¹¹ Source: 21st World Gas Conference, report of working committee 1, Nice, France, 2000.

მერყობდა. უფრო მნიშვნელოვანი იყო ფასების ცვალებადობა 60 დღიანი დროის ინტერვალისათვის - 35+125 ევროს ფარგლებში ყოველ 1000 კუბურ მეტრზე⁴².

გაზის გამანაწილებელი კომპანიები დასავლეთში მნიშვნელოვან ინვესტიციებს აბანდებენ გაზსაცავების მშენებლობაში, რათა თავიდან აიცილონ მონოპოლისტ მომწოდებელთა შესაძლო უარყოფითი სეგაელენა და მინიმუმამდე დაიყვანონ გაზის მოხმარების სესონური ფლუქტუაციის შედეგად გამოწვეული დამატებითი ხარჯები.

მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობა ნახშირწყალბადების გამოფიტულ ველეებში ყველაზე ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს (ნახ. 2.5). მაგალითად ხვედრითი დანახარჯები გამოფიტულ ველეში მოწყობილი მიწისქვეშა გაზსაცავის ერთეულ მოცულობაზე 3.5-ჯერ უფრო ნაკლებია ვიდრე მარილის კავერებში და 18-ჯერ ნაკლებია ვიდრე თხევადი გაზის საცავის მოწყობის ხვედრითი დანახარჯები⁴³.

გაზსაცავების მოცულობა წლიური მოხმარების 16.5 - 38 %- ის ფარგლებში ცვალებადობს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (დანია, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, სლოვაკეთი, ჩეხეთი, უნგრეთი), და შეადგენს წლიური მოხმარების 17 და 19 %-ს აშშ-ისა და კანადაში შესაბამისად (ნახ. 2.6).

როგორც უკანასკნელი გამოკვლევები ადასტურებს, მოთხოვნილება ახალ საცავ მოცულობებზე ევროპაში შეიძლება მხოლოდ 2007 წლის შემდეგ წარმოიშვას (ნახ. 2.7)⁴⁴. თუმცა, მაშინაც, საბოლოო გადაწყვეტილება მათი მშენებლობის მიზანშეწონილობის შესახებ მიღებულ იქნება მხოლოდ საბაზრო სიტუაციისა და დაწერილებითი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის ჩატარების შემდეგ.

2. 2. მიწისქვეშა გაზსაცავების სახესხვაობანი

სხვადასხვა ტიპის მიწისქვეშა გაზსაცავების ან თხევადი გაზის საცავების ძირითადი დანიშნულებაა სათბობის სტრატეგიული მარაგის შექმნა ე. წ. ფორსმაჟორულ სიტუაციებში გამოყენებისათვის, აგრეთვე გაზის მაქსიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილება ექსტრემალურ, მაგრამ შედარებით მოკლევადიან პირობებში (მაგალითად ზამთრის ცივი სესონის ან მოწოდების გაუთვალისწინებელი შეფერხების დროს). მიწისქვეშა გაზსაცავები ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ყველაზე მოხერხებული და იაფი საშუალებაა.

მიწისქვეშა გაზსაცავები შეიძლება მოეწყოს ნეთობის ან გაზის გამოფიტულ საბადოში, წალაშემცველ ფენებში, მარილის კავერებში, ლიკვიდირებულ (ან დაკონსერვებულ) მიწისქვეშა მადარობებში ან მაგარი ქანების ხაზოვან სიცარიელებებში (ნახაზი 2.8).

პირველად საცდელი გაზის ჩაჭირხნა მიწისქვეშა რეზერვუარში 1915 წელს კანადის ონტარიოს პროვინციაში განხორციელდა. 1916 წელს კი უკვე აშშ-ში, ნიუ-იორკის შტატში მსოფლიოში პირველი გაზის მიწისქვეშა საცავი მოეწყო ნეთობის გამოფიტული საბადოს ბაზაზე. წყალშემცველი ქანი, მარილის კავერნა, ლიკვიდირებული მადარო და მაგარი ქანის სიცარიელე მიწისქვეშა გაზსაცავის მოსაწყობად პირველად შესაბამისად 1946 წელს კენტუკში (აშშ), 1961 წელს მინიგანში (აშშ), 1963 წელს კოლორადოში (აშშ) და 2002 წელს სკაღენში (შვეიცია) გამოიყენეს.

გაზის ან ნეთობის გამოფიტული რეზერვუარების გადაკეთება საცავად მარტივად ხერხდება, რადგან ისინი ბუნებრივად აკმაყოფილებენ ფორიანობისა და შეღწევადობის პირობებს. მიუხედავად ამისა, გაზსაცავის მშენებლობის დაწყებამდე, როგორც წესი,

⁴² Graham Weale. The 2002 European Gas Storage Study highlights, surplus supply capacity. Prepared by The DRI-WEFA Global Energy Practice

⁴³Abien Favret. Up-To-Date Researches and Future Trends in UGS Facilities. NATO ARW "Security of NG Supply through Transit Countries", T.Milist, 2003

⁴⁴ Graham Weale. The 2002 European Gas Storage Study highlights, surplus supply capacity. Prepared by The DRI-WEFA Global Energy Practice

აუცილებლად მოწმდება, უსრუნველყოფს თუ არა მოთხოვნილ მაღალ გაცემისუნარიანობას (300-დან 500 მლნ კუბურ მეტრამდე სამთრის პერიოდში) და მფარავი ქანების საიმედო გაუმტარობას.

წყალშემცველ ფენაში გაზსაცავის მოწყობის პრინციპი ითვალისწინებს ხელოვნური გაზის საბადოს შექმნას ფენის სიციარიდელებში. ამისათვის აუცილებელია ანტიკლინის არსებობა იზოლირებული, ფროვანი და შედარებით რესურვებით და მაღალი დონის გაუმტარი მფარავი ქანებით.

მიწისქვეშა გაზსაცავის მოსაწყობად მარილის ქავერნაში თავდაპირველად ახდენენ მარილის გახსნას წყალში და მარილხსნარის ზედაპირზე ამოტუმბვას ჰაბურდილის საშუალებით, რომელსაც შემდგომში გაზის ჩაჭირხნისა და საექსპლუატაციო გაზსაცემისათვის გამოიყენებენ. ასეთი რესურვურები შედარებით მცირე მოცულობის (50-დან 500 მლნ კუბურ მეტრამდე) გაზის საცავებად გამოიყენება. მარილის ქავერნებში მოწყობილი საცავები გამოირჩევა მაღალი გაცემის უნარიანობით. შეესებოსათვის საჭირო მცირე პერიოდით, ბუყურული გაზის მინიმალური წილით და მისი სრული დაბრუნების შესაძლებლობით საცავის გაუქმების შემთხვევაში.

2. 3. მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობის თანამედროვე ტექნოლოგიები

2. 3. 1. გეოლოგიური ძებნა-ძიება და სეისმური მონიტორინგი

გაზსაცავის მოსაწყობად სტრუქტურის დასვერვითი სამუშაოები განსხვავებული და უფრო რთულია ნავთობის ან გაზის საბადოს სტრუქტურის მოძიების სამუშაოებთან შედარებით. მხოლოდ რესურვურის გამოძიება არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად. საჭიროა აგრეთვე დადასტურება, რომ ნაჭირხნილი გაზი არ გაჟონავს მფარავი ქანების არასაკმარისი სისქისა და შედარებით დაბალი გაცემის გამო.

დეტალური სეისმური მონიტორინგის თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს მცირე ზომის სტრუქტურები და მცირე მასშტაბის რღვევები და ნახსლეტები უმნიშვნელო დაცურებით, და გაზისა და სითხის ურთიერთკონტაქტის ზედაპირები და ფაქტების მეორადი ვარიაციებიც კი. 3 განსომილებიანი და განმეორებითი 3 განსომილებიანი (რომელსაც 4 განსომილებიანსაც უწოდებენ) სეისმური მონიტორინგის სამუშაოები სტრუქტურათა ძებნა-ძიების ყველაზე უფრო პერსპექტიულ მეთოდებად ითვლება⁴⁵. მონიტორინგის 4 განსომილებიანი სისტემა ეფუძნება სეისმური გადაძვლების განთავსებას მუდმივი ინტერვალებით (ან მუდმივად) ზედაპირზე ან ჰაბურდილებში⁴⁶. გაუმჯობესებული მრავალჯერადი გადაფარვის სეისმიკა AVO (ამპლიტუდა წინაცვლების სინაცვლოდ) საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა რესურვურის პეტროფიზიკური თვისებების დასადგენად.

სეისმური დასვერვა საშუალებას იძლევა: მინიმუმამდე დავიდეს გაურკვევლობა განვითარების ადრეულ ეტაპზე, შემცირდეს საძიებო და საექსპლუატაციო ჰაბურდილების რაოდენობა, რაციონალურად შეირჩეს საცავისათვის საჭირო მოცულობები რესურვურში.

⁴⁵ Seismic Monitoring for Optimising the Operation of Underground Storage Facilities, F. Verdier & F. Huguet, Gaz de France, 20th World Gas Conference, Copenhagen, 10 - 13 June 1997

⁴⁶ Performances survey of aquifer UGS facilities, F. Favret & F. Huguet Gaz de France, ARTEP (French Research Association on Oil Operating Technics), France, September 1997

2. 3. 2. მიწისქვეშა გაზსაცავების მოდელირება

სეისმური მონიტორინგის შედეგები გამოიყენება რესურსების მოდელირებისა და გაზის ართმეის პროგნოზის დასუსტებისათვის. მოდელირების გამოყენება აუცილებელია ჭაბურღილების განლაგებისა და გაზის ართმეის პროცესის ოპტიმიზაციისათვისაც.

სითხის (გაზის) ნაკადის რიცხობრივი მოდელირების მეთოდების შეჯერება გეოსტრატეგიული მოდელირების მეთოდებთან რესურსების მახასიათებლების (ფორიანობა, შეღწევადობა, შეჭიდულობა) გათვალისწინებით საშუალებას იძლევა უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი რესურსების ექსპლუატაციის საკითხები, მათ შორის მისი რაოდენობრივი მახასიათებლები.

სითხის ნაკადის მოდელირება საშუალებას იძლევა, განისაზღვროს გაზის განაწილება რესურსებში. დროის ნებისმიერ ინტერვალსა და ნებისმიერი თვისებების მქონე ქანებში. შესაბამისად, შესაძლებელია იქმნება წინასწარ შეფასდეს გაზსაცავის რეალური აქტიური (მუშა) მოცულობა, პიკური გაცემის ხარისხი, საჭირო ჭაბურღილების რაოდენობა და განლაგება და ბუფერული გაზის მინიმალური მოცულობა, რომელიც აუცილებელია ნაიჭირხნოს საცავში⁴⁷.

დღეისათვის შემუშავებულია რესურსების მოდელირების ახალი, გამარტივებული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით მოხდეს ძირითადი პროცესების მოდელირება და საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრა⁴⁸.

2. 3. 3. ბუფერული გაზის მართვა

მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის დროს, საწყისი ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი (როგორც წესი მთლიანი დანახარჯების 30-40%) ხიზარდება ბუფერულ გაზსე-ბუნებრივი აირის ჩანაცვლება, სხვა ალტერნატიული ბუფერული გაზით მნიშვნელოვანად ამცირებს ამ დანახარჯებს, თუმცა მოითხოვს სპეციალური მეთოდების ცოდნასა და სუსტ დაცვას. ფრანგული "გაზ-დე-ფრანსის" (Gaz de France) მიერ გამოცდილია 7 მიწისქვეშა გაზსაცავი და დაგროვილია მდიდარი გამოცდილება ბუნებრივი აირის ინერტული აირით ან ნარევი გაზით ჩანაცვლების საკითხში^{49,50}. ჩანაცვლების პროცესის მონიტორინგი და განსაკუთრებული ღონისძიებების სწორი დაცვა უსრუნველყოფს ბუფერულ გაზსე დანახარჯების დაახლოებით 20%-ით შემცირებას.

2. 3. 4. დიდი დიამეტრის და პორიზონტალური ჭაბურღილები


დიდი დიამეტრის ჭაბურღილები გამოიყენება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანად გაიზარდოს მიწისქვეშა გაზსაცავის გაზგაცემის უნარიანობა. ეს მეთოდი, ტრადიციულად გამოიყენება ისეთ შემთხვევებში როდესაც არ მიმდინარეობს აირადი და თხევადი კომპონენტების თანადროული (თანმდევი) მოპოვება. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პერიოდში მიღგაყვანილობის გასწვრივ წნევის ვარდნის შემცირების მიზნით, ხშირად იყენებენ მუდმივი

⁴⁷ Masanori Kurihara, Jialing Liang and others. Development and Application of Underground Gas Storage Simulator. SPE Asia Pacific Conference on Integrated Modelling for Asset Management, Yokohama, Japan, April 2000


⁴⁸ A. Gillez, F. Pech. Underground gas storage: planning and modeling with simsim, a new reservoir engineering software tool. NATO ARW "Security of NG Supply through Transi Countries", Tbilisi, 2003

⁴⁹ Cushman Gas Alternatives, IGU Committee A Report. Study leader: V. Onderka, PhD. Geogas a.s., 20th World Gas Conference. Copenhagen, 10 - 13 June 1997


⁵⁰ Ustlag Inert Gas: Almost Twenty Years of Experience. G. Meunier & F. Labaune. Gaz de France. 20th World Gas Conference. Copenhagen, 10 - 13 June 1997




ნახ. 2.1. გაზის მოხმარების უთანაბრობა თვეების მიხედვით. საქართველო, 2002 წ.
 Figure 2.1. Georgia 2002, monthly fluctuations in gas consumption



ნახ. 2.2. გაზის მოხმარების სეზონური უთანაბრობა
 Figure 2.2. Seasonal Fluctuations in gas consumption




ნახ. 2.3. მიწოდება-მოხმარების დისბალანსის პროგნოზი
 Figure 2.3. Forecasts for Demand-Supply misbalance, Georgia 2005-2010




ნახ. 2.4. მიწისქვეშა ვახსაცავების განვითარების ღონაძიკა მსოფლიოში (გაზის მსოფლიო 21-კონფერენციის მასალებიდან)

Figure 2.4. Worldwide Development of UGS (Materials of 21st world gas conference).




ნახ. 2.5. დანახარჯების შეფასება

Figure 2.5. Comparison of costs for gas storages




ნახ. 2.6. მიწისქვეშა ვახსაცავების ხედვითი მოცულობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

Figure 2.6. Underground gas storages in Europe and world wide




ნახ. 2.7. მოთხოვნა მიწისქვეშა გაზსაცავების მოცულობაზე ევროპაში
 Figure 2.7. Demand for Underground Gas Storages in Europe




ნახ. 2.8. სხვადასხვა ტიპის მიწისქვეშა გაზსაცავები
 A-მარილის კავერნები; B- ლიკვიდირებული მღარაო;
 C- წყალუმცველი ფენა; D - გამოფიტული რესერვუარი;
 E- სიცირობულ მღარ კანში

Figure 2.8. Different types of underground gas storages



ნახ. 2.9. ოთხგანზომილებიანი სეისმური დაზვერვის შედეგები
 Figure 2.9. Sample of 4D Seismic measures (from KBB)



ნახ. 2.10. რეზერვუარის მოდელირების მაგალითი
 Figure 2.10. Example of the reservoir modelling

დიაგრამის სამაგრ მიღეს, რათა შემცირდეს გაზის ნაკადის ტურბულიზაცია (ეს მეოთხედი ცნობილია, როგორც „მონო“ ჭაბურღილის მეთოდი)³¹.

გაზგაცემის უნარიანობის გაუმჯობესებას ემსახურება აგრეთვე პორისორტალური ბურღვის გამოყენება. პორისორტალური ბურღვა განსაკუთრებით ეფექტურია ექსპლუატაციის იმ პერიოდში როდესაც რესურსების ქანები ნაკლებ შელწვევადი ხდება და მნიშვნელოვნად მცირდება გაზგაცემის უნარი. პორისორტალური ბურღვა საშუალოდ 1.5-ჯერ სრდის რესურსების გააცემას, რესურსების ხარისხსა და პორისორტალური დრენირების სიგრძისაგან დამოკიდებულებით.

სოციალურ შემთხვევაში, მაგალითად, კარბონატურ ქანებში, მიწისქვეშა გაზსაცავის მოსაწყობად, პორისორტალური ბურღვის გამოყენება გარდაუვალია, თუმცა ეს მეოთხედი სასარგებლოა სხვა, მცირე შელწვევადობის მქონე გამოფიტული საბადოების ბაზაზე საცავის მოწყობის შემთხვევებშიც.

2. 3. 5. მარილის კავერნები

მარილის კავერნაში მოწყობილი გაზსაცავი ხელოვნურ, მარილხსნარის ამოტუმბვის შედეგად მიღებულ სიკარილეში თავსდება, განსხვავებით ბუნებრივ ფოროვან ქანებში განლაგებული საცავისა.

ძირითად ტექნოლოგიური სიახლეები, რომელთა გამოყენება უსრუველყოფს გაზსაცავის მოსაწყობის ინვესტიციების მნიშვნელოვან შემცირებას, შემდეგია:

- საცავის დიდი სასარგებლო მოცულობა შედარებით შესწავლულ სიერცემში;
- მინიმალური საექსპლუატაციო წნევა;
- შესაძლებლობა, მაქსიმალურად გაიზარდოს საექსპლუატაციო წნევა;
- ხსნარის მოშალდებისა და ამოტუმბვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა.

პირველი გაზსაცავები მარილის კავერნებში მოწყობილი მერსიდეში (აშშ, 1961 წ.), მედიდში (კანადა, 1964 წ.), აბოვიანში (სომხეთი, 1964 წ.), ტერსანეში (საფრანგეთი, 1968 წ.) და კილში (გერმანია, 1969 წ.). ეს საცავები შედარებით მცირე მოცულობისაა (30-100 ათასი მ³-ის ფარგლებში). თანამედროვე მეცნიერებისა და საინჟინრო ცოდნის ბაზაზე აშენებული საცავების მოცულობები 600 ათას მ³-ს აღწევს. მოცულობის შესწავლა დაკავშირებულია ჭაბურღილებში წნევის დანაკარგების შემცირებისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების პირობების მოთხოვნების გამო.

მინიმალური საექსპლუატაციო წნევის შემცირება საშუალებას იძლევა, გაიზარდოს აქტიური გაზის მოცულობა და შემცირდეს ინვესტიცია ბუფერული გაზისათვის. მინიმალური საექსპლუატაციო წნევის შემცირება 10 ბარით ინვესტიციების დაახლოებით 10-15%-ით შემცირებას იწვევს.

კავერნის მაქსიმალური მოცულობა პროპორციულად იზრდება მაქსიმალური საექსპლუატაციო წნევის მატებით. ამ წნევის 10%-ით გაზრდა დაახლოებით 15%-ით სრდის აქტიური გაზის მოცულობას. სოვალად მაქსიმალური საექსპლუატაციო წნევა შესწავლულია ქვამარილის შელწვევადობით ნახშირწყალბადების მიმართ, როცა წნევა რჩება უფრო ნაკლები ვიდრე დაძაბულობები. ეს უკანასკნელი კი მფარავი ქანების წონის ტოლია და დაახლოებით 2-2.3 ბარს შეადგენს ყოველ მეტრ ნაღრმეებაზე³².

დანახარჯები კავერნიდან მარილის მოპოვებაზე (ამოღებაზე) ჯამური ინვესტიციების 25-35%-ს შეადგენს. მარილხსნარის მოშალდებისა და ამოტუმბვის ცნობილი ტექნოლოგიების გამოყენება დიდი მოცულობის კავერნების მოშალდებისას გრძელვადიანი პროცესია და მოითხოვს 7-9 მ³ წყალს ყოველ კუბურ მეტრ მარილზე. მიღებული დაახლოებით 300 კგ/მ³

³¹ O. Inanc T. Hulya Karaalioglu, A. Sattman, Effect of the Wellbore Conditions on the Performance of Underground Gas-Storage Reservoirs, Istanbul Technical, SPE/CERI Gas Technology Symposium, Calgary, Alberta Canada, 3-5 April 2000

³² Increasing Maximum pressure in Salt Caverns, P. Desgrée & M. Fauveu, Gaz de France, 20th World Gas Conference, Copenhagen, 10 - 13 June 1997.

მასური კონცენტრაციის მარილხსნარი კი, როგორც წესი, გამოყენება ქლორისა და სოდის წარმოებაში, ზოგჯერ კი წიაღში ან ზღვაში გადაიტუმება.

მარილხსნარის მომზადებისა და მოპოვების ტექნოლოგია ითვალისწინებს 2 კონცენტრული მილის გამოყენებას, წყლის ინექციურებისა და მარილხსნარის ამოტუმბვისათვის. ამასთან, სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა სიცარიელის გეოტექნოლოგიური ზომები დაგეგმილ ფარგლებში იქნეს შენარჩუნებული. სამაგრი მილის ქუსლი თანდათანობით უნდა დაიძიროს და პარალელურად გამოყენებულ იქნეს თხევადი გაზი, დიზელის საწვავი, აზოტი ანდა ბუნებრივი აირი რესურსების მფარავი ქანების საფარად. საცავის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი, ჭაბურღილი უნდა გადაკეთდეს მიღებული სიცარიელის გაუწყლოებისა და გაზის მიწოდებისათვის. გაზი ჩაიჭირხნება გაუწყლოებისა და მოპოვებელ მილებს შორის წარმოქმნილი წრიული დრეჟოს მეშვეობით, მარილხსნარი კი გაუწყლოების მილით ამოტუმბება. საცავის მოწყობის ასეთ ტექნოლოგია, როგორც წესი 1,5-დან რამდენიმე წლამდე პერიოდს მოითხოვს.

განსხვავებული ე.წ. SMUG (ხსნარის მომზადება გაზის თანხლებით) ტექნოლოგიის გამოყენება საშუალებას იძლევა შედარებით უფრო სწრაფად და იაფად მოეწყოს მიწისქვეშა გაზსაცავი³³. SMUG-ის ტექნოლოგია წარმოებით იქნა გამოყენებული აშშ-ში "მოსს ბლადფის" (ტეხასი) და, "უგანის" (ლუიზიანა) მარილის კავერნებში საცავის მოსაწყობად. ეს ტექნოლოგია ითვალისწინებს საცავის ექსპლუატაციაში შესვლას თანდათანობით. მარილხსნარის მომზადებისათვის ამ შემთხვევაში, ტრადიციული ტექნოლოგია გამოიყენება, მაგრამ, პირველ რიგში, საპროექტო დიამეტრის მქონე სიცარიელე მზადდება კავერნის ზედა ნაწილში, შეესება გაზით, მაშინ, როცა კავერნის ქვედა ნაწილში ისევ მიმდინარეობს გამოტუმბვის პროცესი. კავერნის ზედა ნაწილში დაცული გაზი ამ დროს ასრულებს საფარის მოვალეობასაც. ამ ტექნოლოგიის გამოყენების დროს ძალიან მნიშვნელოვანია გაზისა და მარილხსნარის ურთიერთშეხების სელაპირის რაციონალური მართვა.

შემდგომში, როცა კავერნის ქვედა ნაწილის დიამეტრიც გაიზარდება საპროექტო სიდიდემდე, მოხდება მისი შეესება გაზით, თუმცა სიცარიელის ქვედა ნაწილში კვლავ შენარჩუნდება მარილხსნარის გარკვეული, კონტროლირებადი მოცულობა.

2. 3. 6. პერსპექტიული ტექნოლოგიები

ცნობილია მრავალი საკლექ-სამეცნიერო სამუშაოები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა არსებული მიწისქვეშა გაზსაცავების ოპტიმიზაცია^{34,35}.

ჩვეულებრივად გაზსაცავის მოსაწყობად განკუთვნილი მარილის ფენის სისქე 150-400მ-ის ფარგლებში ცვალებადობს, თუმცა ზოგჯერ ამისათვის უფრო თხელი, 60-100მ სისქის ფენებიც გამოიყენება. მაგრამ არსებობს ფენები, სისქით 60-მდე, რომლებიც არ იძლევა საცავების მოწყობის ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. მომზადების ძირითადი სირთულეები ასეთ ფენებში დაკავშირებულია სხვა ქანების ჩანართების არსებობასთან და მარილხსნარის მომზადების პროცესის მართვასთან. გარდა ამისა, ტრადიციული, დიდი ზომის სიცარიელეებისაგან განსხვავებით, ასეთ პირობებში მნიშვნელოვანს კარგავს რავიტაციის ბაგელნაც.

გეომექანიკური კვლევებისა და ჰ-განზომილებიანი მოდელირების შედეგებს დაყრდნობით, "გაზ-დე-ფრანსის" სპეციალისტთა მიერ შესწავლილ იქნა გვირაბის ფორმის, პირობითად პორიზონტალური, დაახლოებით 1000-3000 მ² კვეთის სიცარიელეში 100 ათასიდან 1 მლნ მ³-მდე მოცულობის გაზსაცავების მოწყობის შესაძლებლობები. ორი საცდელი

³³ Soudou Mining and Storing Natural Gas Simultaneously – Operational Experience, Jack W. Gatewood, Market Hub Partners. Michel Dussaud, Charles Chabannes, Jérôme Jacquemont, Sofregaz US Inc., L. Cherouvrier, Sofregaz, SMRI Spring 1997 Meeting, May 11-14, Cracow, Poland.

³⁴ Fabien Favret, Up-To-Date Researches and Future Trends in UGS Facilities. NATO ARW "Security of NG Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

³⁵ Underground Gas Storage, Technological Innovations for an Increased Efficiency, Marie Françoise Chabreille, Michel Dussaud Sofregaz US. Daniel Bourjas and Bruno Hugout Gaz de France, 17th Congress of the World Energy Council 1998

სი(ცარიელე (აღლასის მახლობლად საფრანგეთში) იქნა შეყვასებული სი(ცავის მოსაწყოზად. მიუხედავად იმისა, რომ სი(ცავრო ინვესტიციები ამ შემთხვევაში 15-20%-ით უფრო მიაღლი იქნება, ვიდრე ტრადიციულ კაერნებში გასსი(ცავის მოწყოზისას, ეს ტექნოლოგია სულ უფრო მიმსიდეველი ხდება ეეროპისა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

მაგარი ქანების სი(ცარიელეებში ამონავიანი გასსი(ცავების მოწყოზის (LRC) ტექნოლოგია გამოიყენება ისეთ შემთხვევაში თუ ქვეყანაში არ აღმონრდება შესაფერისი გეოლოგიური ფორმაციი სხეა რომელიმე ტიპის სი(ცავის მოსაწყოზად³⁶. ამ შემთხვევაში ძაღლიან მინიშნელოვანია მიაღლი, 150-250 ბარი წნევის შენარსუნების აუცილებლობა მაგარი ქანების ამოგებულ სი(ცარიელეებში, რომლებიც სუდაპირთან შედარებით ახლოს (100-200 მ-ის სიდრმესუ) არიან განლაგებულნი. მიაღლი წნევის შესიანარსუნებლად გამოიყენება სი(ცარიელეების ფოღადის ამონავი. ეს ამონავი და(კულია გარკვან ბეტონის ფენით, რომლის დანიშნულეება გაღდას(კეს წნევა ამონავებიდან ძირითად ქანებს, რომლებიც, თავის მხრივ, დაძაბულობათა განტეირთვის ძირითადი საშუალებაა.

LRC-ს ტექნოლოგია წარმატებით იქნა გამოცდილი 130 მ კამერაში 50 მ სიდრმესუ შეეციაში, ქალაქ გრანგესბერგის მახლობლად. 1997 წელს სკალენში (შეეცია) დაიწყო სადემონსტრაციო დანიადგარის მშენებლობა მისი მოცულობაა 40 000 მ³-ს შედგენს და კომერციული სი(ცარიელის ნახეგარს უტოლდება. ეს სი(ცავი ამჟამად წინასიექსლუატიაციო გამოცდების გაღის.

LRC-ს ტექნოლოგიით გასსი(ცავის მოწყოზის ღირებულებაა 2-4 ჯერ აღემატება ტრადიციულ ტექნოლოგიების დანიასარჯებს, მაგრამ გაცილებით დაბალია ვიდრე თხეველი გასის პიკური ტიპის გასსი(ცავების ღირებულება. გარდა ამისა, LRC ტიპის სი(ცავები, საშუალებას იძლევა წყლიწადში მრავალჯერადი შეესებისა და დაცილისათვის, ხოლო მომსახურების სიმარტივის გამო მათი ექსლუატიაცია გაცილებით იაფი იქნება.

2. 3. 7. მიწისქვეშა გასსი(ცავების ოპტიმისიაცია

შემუშაებულაია მრავალი მეთოდი მოქმედი გასსი(ცავების ექსლუატიაციის პროცესის რაციონალური მართვისათვის. მათ შორის შემდეგი ძირითადი ღონისძიებები ითვლება ეეველასუ მინიშნელოვანად:

- სუეციადლური ფილტრის მოწყოზა, რათა მინიმუმამდე შემციორდეს ქეიშის წატი(ცება გასის ნიკადის მიერ სი(ცავის არაბმულ ქანებში მშენებლობის დროს³⁷;
- მათემატიკური და პროგრამული უსრუნველეყო (მათ შორის რესურეუარის მრაველგანსომიღებიანი მოდელირებისა და ქანების თვისებების დასადგენად) გასსი(ცავის დაპროექტების, მოწყოზისა და ექსლუატიაციის პროცესების ოპტიმისიაციისათვის;
- ექსლუატიაციის პროცესის კონტროლისა და რეგულირებისათვის მაგნიტური რესონანსის, სამგანსომიღებიანი სეისმიკის, მრავალფასოვანი ნიკადის და ქეიშის დამტატიორების გამოიყენება³⁸;
- სი(ცავის შიგნით მოწყოზილი გადამწოდებისა და ოპტიკური გამტარების მეშეეობით უწეეეტი ინფორმაციის მიღება რესურეუარის ცვალებადობის პროცესების შესახებ და მათსუ დაერდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაეეეგება და განხორციელდება.

აღნიშნულის გარდა, შეთავისებულაია მრავალი ახალი ტექნოლოგია, რათა წარმატებით იქნეს გადარწეეეტილი სი(ცავების მოწყოზისა და ექსლუატიაციის ოპტიმისიაციის

³⁶ The Potential Market for. Lined Rock Cavern Storage of Natural Gas, Per Tengborg, Sydkraft, Muriel Rosé, 20th World Gas Conference. Copenhagen, 10 - 13 June 1997

³⁷ A Successful Polymer Treatment For Water Coning Abatement in Gas Storage Reservoir", A. Zaitoun, Institut Français du Pétrole, T. Pichery, Gaz de France, SPE Annual Technical Conference and Exhibition held in New Orleans, Louisiana, 30 September-3 October 2001

³⁸ Monitoring The Solids In Well Streams of Underground Gas Storage Facilities", M. Mezger, Geoinform Ltd., T. Állóds, MOL Hungarian Oil and Gas Co. J. Segesdi, Geoinform Ltd., Z. Tóth, Elcom Ltd., SPE International Symposium on Formation Damage Control held in Lafayette, Louisiana, 23-24 February 2000

სხვადასხვა ტექნიკური და ეკონომიკური საკითხი^{59,60,61}. თანამედროვე ეტაპზე კი მკვლევართა და სპეციალისტთა ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობისა და ექსპლუატაციის ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორცაა:

- გარდამავალი პროცესების გახილვა ერთობლივად, საცავისა და გაზის ქსელის გამარტივებულ მოდელზე;

- ყოველდღიური კონტროლისა და მენეჯმენტის დანერგვა;

- რეალური ეკონომიკური მონაცემების გათვალისწინება, კერძოდ, საცავეში მოთავსებული და მიღსადენით მოწოდებული გაზის მიმდინარე ღირებულებათა შეფარდება, ტრანსპორტირების დანახარჯები, იმპორტული გაზის ფასის ცვალებადობა და ა. შ.

ნატარებელი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკენათ, რომ გაზის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნებისათვის აუცილებელია სტრატეგიული და/ან კომერციული მარაგის შესაქმნელი გაზსაცავის მოწყობის მიზანშეწონილობის საკითხის დეტალური განხილვა და შესაძლო ალტერნატიული ვარიანტების შემთხვევაში სავარაუდო ტექნიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების შეფასება.

⁵⁹ "Optimising Your Natural Gas Assets" F. Favret Sofregaz, EnergyWise UGS workshop, Amsterdam, Netherlands, April 2003

⁶⁰ "Optimal use of the GDF's set of underground gas storage" F. Favret, E. Rouyer, D. Bayen & B Corgler, Gaz de France, 21st World Gas Congress, Nice, France, June 2000

⁶¹ "Increase of working gas capacity in existing Gaz de France storage facilities", F. Favret, E. Rouyer & Y. Muller, Gaz de France, French Gas Conference, Toulouse, France, July 1997

3. გაზის ბარდაქმნის თანამედროვე ტექნოლოგიები

3.1. თხევადი გაზის (LNG) წარმოების ტექნოლოგიები⁶²

შესავალი

თხევადი გაზის გამოყენება დაახლოებით ორმოცდაათ წლიან ისტორიას ითვლის. იგი განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და საფრანგეთში, უკანასკნელ პერიოდში კი ინტენსიურად იპყრობს მთლიანი ევროპის მხარე ენერგეტიკულ ბაზარსაც. ამჟამად თხევადი გაზით ეაჭრობას უკავია საერთაშორისო გაზის ბაზრის დაახლოებით 22%-იანი სეგმენტი. 2010 წლისათვის მოსალოდნელია მისი მოხმარების გარემიზება დაახლოებით 220-დან 270 მილრდ მ³/წ-მდე, რასაც ხელს უწყობს თხევადი გაზისა და ბუნებრივი აირის მიღსადენებით მიწოდების ფასების გათანაბრების ტენდენციაც⁶³ (ნახაზი 3.1).

თხევადი გაზი უფერული, არატოქსიკური და არაკანცეროგენური ნივთიერებაა. რადგან თხევად გაზს არ ემეცება არანაირი ართმატული ნაერთი (ოქსიდანტი). გაჟონების გასაგებად საჭიროა სპეციალური აპარატურის გამოყენება. თხევადი გაზის ხევედრითი წონა წყლის ხევედრითი წონის 45%-ს შეადგენს. აირად მდგომარეობაში ჰაერთან შერევისას თხევადი გაზი შეიძლება აფეთქდეს მსოფლოდ იმ შემთხვევაში თუკი გაზისებრი მეთანის კონცენტრაცია არის 5-15%-ის დიაპაზონში. არც თხევადი გაზი და არც მისი ორთქლი არ აფეთქდება დია ხიერცეში⁶⁴.

გათხვეადების დროს ხდება მოცულობის 600-ჯერ შემცირება. ეს კი ნიშნავს რომ თხევადი გაზის ხევედრითი სიმკრივე 600-ჯერ უფრო მაღალია ბუნებრივ გაზთან შედარებით ატმოსფერულ მდგომარეობაში.

გაზის გათხვეადების ტექნოლოგიების განვითარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს თხევადი გაზის წარმოების დეცენტრალიზაციის კონკურენტუნარიანი პროექტების ფართო დანერგვას. რაც უდავო წელიდს შეიტანს მიღსადენებით დაუფარავი რეგიონებისათვის ენერჯის მიწოდების უსაფრთხოების ამადლების საქმეში.

გაზის თხვეად საწვეად გარდაქმნის თანამედროვე ტექნოლოგიები, მიწვეულია როგორც კონკურენტუნარიანი ალტერნატივა გაზის ექსპორტისათვის საერთაშორისო ბაზარზე შორეული ადგილებიდან. მოთხოვნილების ზრდა თხვეად გაზსე უპირატესად ფასების მნიშვნელოვანი კლებით არის განპირობებული თხვეადი გაზის უტილიზაციის მილიან ჯაჭვში – წარმოების, ტრანსპორტირებისა და შენახვის პროცესების ნათვლით. მოთხოვნილების ზრდის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ენერგოუსაფრთხოება, რამდენადაც თხვეადი გაზის სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ მისი მიწოდება მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მოსახლეობის დიდი რაოდენობისათვის სპეციალური ინფრასტრუქტურის არსებობის მიუხედავად. განსხვეავებით ბუნებრივი გაზისა, რომლის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელია ძვირადღირებული მიღსადენების სისტემის არსებობა.

თხვეადი გაზი კომპაქტური ენერჯიაშემცველია, რომელიც მიიღება ბუნებრივი გაზის დაბალ ტემპერატურამდე გაცივებით გათხვეადების სტადიამდე. ატმოსფერული წნევის

⁶² Jens Heland (OPET Arctic, SINTEF – Norway). Text is edited by author of Report

⁶³ Natural gas Information. International Energy Agency, 2002, Part I and Part III

⁶⁴ Answers LNG FAQs. Frequently Asked LNG Questions. Northstar Industries, Methuen, MA, USA. <http://northstar.com/ingfaqs.html>. 2003-

პირობებში თხევადი გაზი მიიღება მიწუს 162 °C დროს – რაც მეთანის დუღილის ტემპერატურეს წარმოადგენს. ცხრილი 3.1 აჩვენებს, რომ თხევადი გაზის ენერგოტექნოლოგია (ფარდობითი მოცულობითი ენერგეტიკული სიმკვრივე – მგჯ/ლ) უფრო მაღალია, ნებისმიერ ალტერნატიული საწვავი გაზის ენერგოტექნოლოგიასთან შედარებით, მაგალითად, 2.5-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე დაწნეხილი ბუნებრივი გაზის (CNG) ენერგოტექნოლოგია.

ცხრილი 3.1 სხვადასხვა საწვავის ხვედრითი ენერგოტექნოლოგია⁶⁵

საწვავი	მგჯ/ლ	მგჯ/ლ
ბენზინი	42.5	32.7
დიზელის საწვავი	42.5	37.7
თხევადი ნავთობის გაზი (LPG)	48.0	24.4
მეთანი	50.0	0.035
დაწნეხილი (248 ბარი) მეთანი (CNG)	50.0	8.7
თხევადი გაზი (მეთანი) -162°C-ზე (LNG)	50.0	21.6
დაწნეხილი წყალბადი (248 ბარი)	120.0	2.5
წყალბადი -250°C-ზე	120.0	8.5

თხევადი გაზი ადვილად რე-გაზიფიცირდება აირულ სახით საბოლოო მომხმარებლისათვის მისაწოდებლად. ბუნებრივი გაზისაგან განსხვავებით, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ დაახლოებით 90% მეთანს, აგრეთვე ეთანს, პროპანსა და სხვა უწევდ მინარევებსაც შეიცავს, გათხევადების პროცესში გაზის წინასწარ გადამუშავების დროს, საწვავს მოსცილდება ზედმეტი უანგბადი, ნახშირორჟანგი, გოგირდის ნაერთები, წყალი და ნავთობის გაზის ატომები მაღალი ნახშირბადის რიცხვით. ასოტის შემცველობა თხევად გაზში ჩვეულებრივ 1%-ს არ აღემატება (ცხრილი 3.2).

ცხრილი 3.2. თხევადი გაზის შემცველობა⁶⁶

ნარევი	ლიმიტი	შენიშვნა
CO ₂	50-100 ppm	A
H ₂ O	0.1-1 ppm	A
Hg	<10 გრ/მ ³	A
HgCH ₃		A
Aromatics	< 2 ppm	A
C ₆ H ₁₄	<250 ppm	A
C ₇ H ₁₆	<90 ppm	A
C ₈ H ₁₈	<0.6 ppm	A
H ₂ S	3.5 მგ/მ ³ (4 ppm)	B
COS		B
CS ₂		B
მერკაპტანი		B
გოგირდი	10-50 მგ/მ ³	B
N ₂	0.5-1.5 მოლი%	B
A: ხსნადობის ლიმიტი B: პროდუქტის სპეციფიკაცია		

⁶⁵ Emmer C.: 'LNG – not just another fuel', Vehicle Fuel, LNG Journal, p. 17-19

⁶⁶ Melaaen, I.S.: 'Pretreatment in LNG plants. Accepted Processes and Possible Future Developments', Public lecture for the degree of Doktor Ingeniør, The Norwegian University of Science and Technology, Trondheim, 1993

3. 2. თანამედროვე კრიოგენური ტექნოლოგიები

მთავარი პირობა, რომელიც თანამედროვე კრიოგენურ ტექნოლოგიას მოეთხოვება, ძირითადად დაბალტემპერატურიანი პროცესის და შესაფერისი გამაცივებლის (რეფრეჟერანტი) გამოჩინებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ გამაცივებელ ნივთიერებათა ნაერთები უკვე მეცხრამეტე საუკუნეში იყო შემოთავაზებული, მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე მრავალკომპონენტური გამაცივებლები საერთოდ არ გამოყენებულა. მოგვიანებით, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ასეთი გამაცივებლები ფართოდ გამოიყენება ბენკბრიყუ გაზის გათხევადების მრეწველობაში.

თხევადი გაზის პირველი საბაზისო საწარმოები ექსპლუატაციაში შევიდა არსევსა (აღჭირი) და კენაში (აღიასკა, აშშ), შესაბამისად 1963 და 1969 წლებში. ისინი ნეულებრივი კასკადური ტიპის საწარმოები იყო და გამაცივებლად პროპანს, ეთილენსა და მეთანს გამოიყენებდნენ.⁶⁷ დღეს თხევადი გაზის საწარმოები მსოფლიოში უდიდეს გამაცივებელ ქარხნებს წარმოადგენენ.

თხევადი გაზის წარმოების თანამედროვე საბაზისო ქარხნები აღჭურვილია სამი ძირითადი ტექნოლოგიური ხაზით:

- აირადი პროდუქტების და ქიმიური ნაერთების კორპორაციის (APCI, აშშ) "C3/MR" კონცეფცია პროპანის წინარე გაგრილებითა და კომბინირებული შედგენლობის გამაცივებლის გამოყენებით. მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე მსხვილ მასშტაბიან (3-დან 5 მლნ ტ/წ მწარმოებლურობით) 8 საამშენებლო პროექტიდან 6 სწორედ ამ კონცეფციასე არის დაფუძნებული;
- ფილიპსის (აშშ) კასკადური კონცეფცია, რომელიც გამოიყენებს პროპანის, ეთილენის და მეთანის კომბინირებულ გამაცივებელ სისტემას. დღესდღეობით ერთ ქარხანას გაფორმებული აქვს კონტრაქტი ფილიპსთან მისი კასკადური კონცეფციის რეალიზაციისათვის (3.3 მლნ ტ/წ მწარმოებლურობით);
- სტარტოლ/ლინდეს (ნორვეგია/გერმანია) MFCCP კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს კასკადურ პროცესს თხევადი კომბინირებული ნარევის გამოყენებით გაცივებისათვის. ამჟამად ამ კონცეფციის მიხედვით ხორციელდება ერთი მსხვილი პროექტი (4.2 მლნ ტ/წ მწარმოებლურობით).

3. 3. დიდმასშტაბიანი საწარმოები

თხევადი გაზის საბაზისო საწარმოების სიმძლავრე დღეისათვის წელიწადში 5 მგტ-ს აღწევს, რაც დღე-ღამეში დაახლოებით 15000 ტონა თხევად გაზის ექვივალენტურია. ნეულებრივი ასეთი საწარმოები ბუნებრივ გაზს იღებენ ჭაბურღილებიდან ანდა მიღსაღნიდან და მიაწვდიან თხევად გაზს შესავსები რეზერვუარებით, უპირატესად ტანკერებით. ნეულებრივი, ყველა საბაზისო საწარმო ექსპლუატაციის უწყობი რეჟიმში მუშაობს მოთელი წლის განმავლობაში. ტექნოლოგიური მოწყობილობა კი სხვადასხვა საწარმოებზე განსხვავებულია და დამოკიდებულია გაზის შემადგენლობასა და სისუფოთავეზე.

დსდი მასშტაბის თხევადი გაზის საწარმოთა მაღალი ეფექტურობის მისაღწევად გამოყენებულია კომპლექსური გამაცივებლები და სპეციალური, მაღალეფექტური მოწყობილობა. მიუხედავად მაღალი საინვესტიციო დანახარჯებისა, დიდი წარმადობის გამო ხედვრით დანახარჯები თხევადი გაზის საწარმოებლად ასეთ ქარხნებში საკმაოდ დაბალია.

⁶⁷ Brendeng, E.: 'Multicomponent Refrigerants - a Grand Success for an Old Idea', Refrigeration, Energy and Environment, International Symposium on the 40th anniversary of NTH Refrigeration Engineering, June 22-24, Trondheim (Norway), 1992

მისხვილმასშტაბიანი საბაზისო ქარხნის ტიპობრივი ელემენტები ჯგუფდება მათი დანიშნულებების მიხედვით⁶⁶:

- მიღება
- მტუტეს მოშორება,
- CO₂-ის გაწმენდა,
- დეჰიდრა(ც)ია,
- ფრაქციებად დაშლა,
- გათხევადება,
- თხევადი გაზის შენახვა,
- ჩატვირთვა სატრანსპორტო რეზერვუარებში.

უკანასკნელ დრომდე თხევადი გაზის წარმოების 88%-ს და საწარმოთა 78 %-ს APCI აკონტროლებდა, რომლის ტექნოლოგია ემყარება პროპანის წინაურ გაგრილებასა და კომბინირებული გამაცივების გამოყენებას. ყველაზე დიდი ასეთი საწარმოს სიმძლავრე 5 მლნ ტონა წელიწადში. ქარხნის მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 2004 წლისათვის.

თბომცველი მისხვილმასშტაბიანი თხევადი გაზის საწარმოს ყველაზე ძვირადღირებული ნაწილია და მისი სრული კაპიტალდაბანდების 50%-ს შეადგენს⁶⁷ (ნახაზი 3.2). სპირალური ტიპის თბომცველი ყველაზე გავრცელებული სახეა თხევადი გაზის თანამართლვე საბაზისო ქარხნებში.

ნორვეგიაში სნოჰვიტის საბადოს ბაზაზე თხევადი გაზის წარმოების პროექტი ერთერთი უდიდესია მსოფლიოში, რომლის ექსპლუატაციაში გაშვება გათვალისწინებულია 2006 წლისათვის. საბადო შეიცავს გაზის სამ ოფშორულ ველს: სნოჰვიტს, ალბატროსსა და ასკელადს ბარენცის ზღვაში და სანაპიროზე განლაგებულ თხევად გაზის წარმოების ქარხანას. ოფშორული ველები შეიცავს 193 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს და 113 მილიონ ბარელ კონდენსატს. "სტატოილი" კონსორციუმის (პეტროო, ტოტალფინანსელფ, გაზ დე ფრანს, ნორსკ პიდრო, ამერადა პესს, რეე დეა და სვენსკა პეტროლეუმ) სახელით ხელმძღვანელობს პროექტის განვითარების სამუშაოებს. კერძოპროექტში გათვალისწინებულია წლიურად 5.75 მლრდ მ³ თხევადი გაზის, 747 ათასი ტ კონდენსატის და 247 ათასი ტ გათხევადებული ასოცირებული გაზის (LPG) ექსპორტი. გრძელვადიანი კონტრაქტები ხელმოწერილი იყო იბერდოლასთან ესპანეთში და ელ პაკოსთან აშშ-ში პროდუქციის მიწოდებას⁶⁸.

თხევადი კომბინირებული ნარევის გამოყენებაზე დაფუძნებული კასკადური პროცესი (MFCP) დააბატენტებულია სტატოილ/ლინდეს მიერ. ეს არის პირველი თხევადი გაზის ქარხანა, რომელიც ითვალისწინებს CO₂-ის დაგროვებასა და რეინექციას წიაღში. ამ საწარმოში აგრეთვე პირველად იქნება გამოყენებული ელექტრული ამარაგები კომპრესორებისათვის. გარდა ამისა, დაგეგმილია, რომ ქარხანა თხევადი გაზის წარმოების ყველაზე ვეებტურ საწარმოდ ჩამოყალიბდება, რომელშიც თხევადი გაზის მხოლოდ 5% იქნება გამოყენებული საკუთარი მოხმარებისათვის. სნოჰვიტი იქნება პირველი მისხვილი პროექტი ნორვეგიის კონტინენტურ შეღფზე რომლის გამართული ფუნქციონირება უსრუნველყოფილი იქნება სანაოსნო საშუალებების მხარდაჭერის გარეშე.

ტექნოლოგია ითვალისწინებს ჭაბურღილიდან მიღებული გაზის დაუმუშავებელი ნაკადის გაცივებას დუღილის ტემპერატურაზე დაბლა (-162 °C) თხევადი გაზის მისაღებად. ეს პროცესი წარმართება დიდი ზომის (40MX15MX17M) გამაცივებულ მისწობილობაში. ჭაბურღილიდან მიღებული გაზის სისუფთავე მნიშვნელოვანი ფაქტორია თხევადი გაზის საწარმოს პროექტის შედგენისათვის. სნოჰვიტის გაზი შეიცავს 5-8% ნახშირორჟანგს.

⁶⁶ Litzke, W.-L.; Wegrzyn, J.: 'Natural gas as a Future Fuel for Heavy-Duty Vehicles', The Engineering Society For Advancing Mobility Land Sea Air and Space International, Government/Industry Meeting Washington, D.C. May 14-16, 2001. SAE Technical Paper Series 2001-01-2067

⁶⁷ Owen, G.; Moger, J.; Nemas, B.O.: Plant-specific information on LNG plants and storage provided by Statoil, 29 April 2003

⁶⁸ Snohvit Gas Field, Barents Sea, Norway, the website for the offshore O&G industry, <http://www.offshore-technology.com/projects/snohvit>

რომელიც უნდა განმხოლოდდეს და ისევე წიადში ნაიჭირნოს დამოკიდებული მილსადენის საშუალებით ზღვის ფსკერზე მოწყობილი გაბურღილების სიახლოვეს.

მთლიანი ინვესტიციები უნდა შეიცავს დაახლოებით 4.4 მლრდ ევროს ოფშორული საბადოს განვითარებისა და ჩმელეთსე განლაგებული გადაამამუშავებელი ქარხნის შეწყობისათვის. დამატებით 700 მლნ ევრო გაიხარჯება თხევადი გაზის ტანკერების ფლავტის წამოყალიბებისათვის, რომელიც შედგენილი იქნება 4 გემისაგან. თითოეული 140-145 ათასი მ³ მოცულობით. გადაამამუშავებელი ქარხნის სასაწყობო შეურწყობა შეიცავს ორ 125 000 კუბურ მეტრი ტყვადობის თხევად გაზის, ერთ 45 000 კუბური მეტრი ტყვადობის თხევადი ასოცირებული გაზისა და ერთ 75 000 კუბური მეტრი ტყვადობის კონდენსატის რესერვუარებს.

თბომცვლელი, რომელიც შექმნილია სტატიოლ/ლინდეს კონცეფციის მიხედვით სპეციალურად სნოპეიტის პროექტისათვის, დაგეგმილია აგრეთვე შედის მიერ აესტრალიაში ახალი - კარნათას პროექტში გამოსაყენებლადაც⁷¹.

3. 4. მცირემასშტაბიანი ტექნოლოგიები თხევადი გაზის წარმოებისათვის

33-ე ნახასზე გამოსახული კონცეპტუალური სქემა აჩვენებს სხვადასხვა ტექნოლოგიით მიღებული ენერჯის რესურსების კონკურენტუნარიანობის არეაღს წარმოების (მოპოვების) ადგილიდან საბოლოო მომხმარებელამდე მანძილისა და წლიური წარმადობისგან დამოკიდებულებით⁷². გამოიკვეთილია საბაზრო ნიშა დაჭირხნილი (კომპრესირებული) ბუნებრივი გაზისა (CNG) და მცირემასშტაბიანი თხევადი გაზის წარმოების ტექნოლოგიების დანერგვისათვის, კერძოდ, იმ რეგიონებში, რომლებიც ინფრასტრუქტურისა და გამანაწილებელი მილსადენების ნაკლებობას განიცდიან. სოკიერთ შემთხვევაში თხევადი გაზი შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს როგორც მიწოდების არსებული ჯაჭვის (მილსადენების) დაგრძელების საშუალება, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუკი გამოყენებული იქნება, იმისათვის, რომ შენარუნდეს საჭირო წნევა გამანაწილებელ სისტემაში აიკური დატვირთვების დროს.

მცირემასშტაბიანი ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული თხევადი გაზი ტრანსპორტირებისას, როგორც ნანს, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია დაახლოებით 500 კმ მანძილზე არაუმეტეს 2.5 მლნ მ³/დღ-ში ბუნებრივი გაზის ან წლიურად 600-700 კილოტონა თხევადი გაზის მიწოდებისას. მცირე მასშტაბიანი თხევადი გაზის ტექნოლოგიით წარმოებული საწვავის მიწოდება უფრო მიმსიდველი იქნება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ტერიტორიის გეოგრაფიული სიორთულით გამოირსევიან. ასეთ შემთხვევაში თხევადი გაზი შეიძლება შეიწოდოს მდინარეებით სპეციალურ რესერვუარების გამოყენებით, ან ავტომობილებით და ცხენებითაც კი. თხევადი გაზის მაღალი ენერგეტიკული სიმკვრივე განაიხორბებს მცირემასშტაბიანი წარმოების ტექნოლოგიების პროექტების სიცოცხლისუნარიანობას რთულ გეოგრაფიულ პირობებში.

ეს ტექნოლოგია განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი გაზის რესურსები, მაგრამ ფლობენ სატრანსიტო მილსადენებს. სატრანსიტო ქვეყნები (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი და სხვ), როგორც წესი, მომსახურების საფასურად იღებენ საკუთარ ტერიტორიაზე გატარებული გაზის მოცულობის პროპორციულ წილს, ნატურის სახით. მისი გათხვევადება სატრანსპორტო მილსადენში არსებული გაზის მაღალი ენერგიის გამოყენების ხარჯზე და შემდგომი მიწოდება რთულ გეოგრაფიულ ან არამჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, სადაც

⁷¹ Owen, G.; Moger, J.; Neraas, B.O.: Plant-specific information on LNG plants and storage provided by Statoil, 29 April 2003
⁷² Einar Brenden, Jens Heiland. On the relevance of integrating LNG with the energy supply systems of transit countries. Proceedings of NATO ARW "Security of Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

მილსადენის აშენება ძვირი ჯდება ან ეკონომიურად გაუმართლებელია, შეიძლება აღმოჩნდეს ახალი მილსადენების მშენებლობის მეტად ეფექტური ალტერნატივა⁷³.

ხმელეთზე განლაგებული მცირემასშტაბიანი თხევადი გაზის ქარხნები პირსობითაღორ მთავარ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

- დატყორთვის სიკის შემარბილებულ საწარმოები,
- მცირემასშტაბიანი ქარხნები თხევადი გაზის წარმოების დეცენტრალიზაციისათვის.

დატყორთვის მაქსიმუმის შემარბილებელი საწარმოები დიდი სამარაგო მოცულობებით, გამოიყენება ზამთრის სეზონში პიკური დატყორთვის პერიოდში გაზის მისაწოდებლად სისტემის ფუნქციონირების ნორმალური რეჟიმის შესანარუნებლად. თხევადი გაზის გამოყენებისათვის სატრანსპორტო საშუალებებისათვის არსებითად მსგავსი ტიპის საშუალებები გამოიყენება, თუმცა, საჭირო ხდება თხევადი გაზის გაცდლებით მცირე მოცულობების დამარაგება და სატრანსპორტო საშუალებებშიც თხევადი გაზი იტვირთება. ნაცვლად აირადისა.

ამ ტიპის ქარხნების წარმადობა შეიძლება მერყეობდეს 10-დან 50 ტონამდე დღეში (იხილე ცხრილი 3.3).

ცხრილი 3.3. თხევადი ბუნებრივი გაზის ქარხნის მახასიათებლები

საწარმოს მახასიათებლები	პიკის შემარბილებელი	სატრანსპორტო საწვეკი
მწარმოებლობა ტ/დღ	100-500	10-400
მუშაობის პერიოდი, დღ/წ	150-200	365
სამარაგო მოცულობა, მ ³	50,000 – 100,000	5, 000 – 10,00
მიწოდება მოხმარებისათვის	აირის სახით	თხევადი გაზი
ტრანსპორტირების სახე	მილსადენით	სატყორთო მანქანებით ან რკინიგზით

თხევადი გაზის მცირე ქარხნების ძირითადი მწარმოებლები და მიმწოდებლები საერთაშორისო ბაზარზე არიან: აირის პროდუქტების და ქიმიკატების კორპორაცია (აშშ), ბლაკ ენდ ვინ პრინარდი (აშშ), ჩარტ ინდასტრიზ ინკორპორეიშნ (აშშ), სი ეინ-IV კრაიოჯენიქს (აშშ), შიკაგო ბრიჯ ენდ აირონ კომპანი (აშშ), ჩარტი (აშშ), კრაიოჯენიქს (აშშ), ჰემფროსი ეი ე ს (ნორვეგია), კრაიოპაკ ინკორპორეიშნ (აშშ) და ლინდე (გერმანია).


ნახაზეც 3.4 წარმოდგენილია პიკური დატყორთვის ტიპის ქარხნის მუშაობის პრინციპი, გაზის მილსადენით მიღებითა და სატყორთო მანქანით ან სარკინიგზო ტრანსპორტით განტყორთვით⁷⁴.

ცხრილში 3.4 წარმოდგენილია შეფასებები თხევადი გაზის სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა ევრსიებისათვის⁷⁵.


⁷³ Vladimir Feygin & Yuri Rykov, Russian Gas Supply and Some Prospects of Small Scale LNG units. Proceedings of NATO ARW "Security of Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

⁷⁴ უფრო დეტალური ინფორმაცია თანამედროვე დღმასშტაბიანი და მცირემასშტაბიანი თხევადი გაზის წარმოების ტექნოლოგიების შესახებ მოცემულია სტატიაში "State of the art in liquefaction technologies for natural gas", by Einar Brending and Jens Heitland (SINTEF Energy Research, Trondheim, NORWAY), NATO ARW "Security of Natural Gas Supply Through Transit Countries" Proceedings, Tbilisi 2003


⁷⁵ Finn, A.J.; Johanson, G.L.; Tomlinson, T.R.: 'Developments in natural gas liquefaction'. Hydrocarbon Processing, April 1999, Vol. 78, No. 4




ნახ. 3.1. ბუნებრივი აირისა და თხევადი გაზის ხვედრითი ფასების შედარება
 Figure 3.1. Prices ratio (Source: IEA, Natural gas information 2002)



ნახ. 3.2. დანახარების ხვედრითი წილები თხევადი გაზის წარმოებისას
 Figure 3.2. Cost breakdown of a modern base-load LNG plant




ნახ. 3.3. ენერგორესურსების ტრანსპორტირების ტექნოლოგიების შედარება
 Figure 3.3. Concept map of energy transport technologies




ნახ. 3.4. პიკური დატვირთვისთვის რეგულირებისთვის განკუთვნილი სამაშობის ფუნქციონირების პრინციპი

Figure 3.4. Principle for peak shaving plant.




ნახ. 3.5. დანახარები გაზის გათხევადებაზე

Figure 3.5. LNG liquefaction plant cost




ნახ. 3.6. გაზის გათხევადების ხედვითი ხარჯები

Figure 3.6. The relative LNG plant cost



ნახ. 3.7. თხევადი გაზის ტრანსპორტირების ეტაპები
 Figure 3.7. LNG transportation chain



ნახ. 3.8. სტაციონარული ტიპის ვერტიკალური, ვაკუუმური
 საცავი თხევადი გაზისათვის
 Figure 3.8. The principle of stationary vacuum-insulated vertical LNG-storage tank



ნახ. 3.9. დანნეხილ გაზზე მომუშავე ავტობუსი
Figure 3.9. CNG fuelled bus

ცხრილი 3.4. თხევადი გაზის წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიების ექვექტურობის შედარება

ტექნოლოგია	ენერჯის ხეცდრითი მოხმარება
კასკადური (ციკლი, სამი საფეხური თითოეული გამაცხეებელისათვის)	1.0
ერთსაფეხურიანი (ციკლი კომბინირებული გამაგრებლებით (Prico))	1.25
MRC (ციკლი პროპანის წინარე გაცივებით)	1.15
მრავალსაფეხურიანი MRC (ციკლი)	1.05
ერთჯერადი გაფართოების (ციკლი)	2.0
ერთჯერადი გაფართოების (ციკლი პროპანის წინარე გაცივებით)	1.7
გაფართოების ორმაგი (ციკლი)	1.7

3. 5. გაზის გათხვევადების საწარმოთა ეკონომიკა⁷⁶

ტურბინულ ამპრავიანი გაზის გამოთხვევადებელი ქარხნები საშუალოდ 2-4 მილიონი ევრო ღირს, რაც უფრო მეტია, ვიდრე ელექტრული ამრავებით მომუშავე იგივე სიმძლავრის ქარხნები. შესაბამისად, ამპრავის ტიპის შერჩევა გაველენას ახდენს ქარხნის ღირებულებაზე, ამასთან მწარმოებელურობის უკუპროპორციულად, როგორც ეს ნაჩვენებია 3.5 ნახაზზე. ინვესტიციებში შეიძლება აისახოს აგრეთვე მრავალი სხვა მოთხოვნა გათხვევადების პროცესისათვის და დამატებითი მხარდაჭერის საშუალებებისათვის, როგორც ნაჩვენებია 3.6-ე ნახაზზე წარმოების ფარდობითი ღირებულება იზრდება საწარმოს სიმძლავრის შემცირებასთან ერთად.

თხევადი გაზის ქარხნები პიკური დატვირთვისთვისაა განკუთვნილი და სატრანსპორტო საწვავის წარმოებისათვის სოციალად ერთსა და იმავე ტექნოლოგიებზე - წინარე დამუშავებასა და გათხვევადებაზე არიან დაფუძნებული. თუმცა, ეს ქარხნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან პროდუქციის შენახვისა და სატრანსპორტო მომსახურების საშუალებების მიხედვით, როგორც ეს ნაჩვენებია 3.5 ცხრილში.

ცხრილი 3.5. პროექტის შედარებითი ღირებულება

ქარხნის დანიშნულება	პიკის შემარბილებელი		სატრანსპორტო საწვავის	
	ელმრავი	ტურბინა	ელმრავი	ტურბინა
მწარმოებელურობა	300 ტონა/დღე	300 ტონა/დღე	300 ტონა/დღე	
შენახვა	100,000 მ ³		7,000 მ ³	
კაპიტალთვა	4000 ტონა/დღე		600 ტონა/დღე	
მუშაობის ხანგრძლივობა	200 დღე/წელი		350 დღე/წელი	
ამპრავის ტიპი				
ენერჯია (ცენტ/კვტსო)	3	5	3	5
საწვავი, \$/10 ³ ჯოული	3	2	3	2
ინვესტიცია, მლნ \$	39	43	23	27
საოპერაციო დანახარჯები, \$/20 კგ	0,47	0,39	0,47	0,39
ხეცდრითი ინვესტიცია, \$/20 კგ	1,56	1,72	0,51	0,60
თხევადი გაზი რეჟერუარში, \$/20 კგ	2,03	2,11	0,98	0,99

⁷⁶ Price, B.C.: 'Small-scale LNG facility development'. Hydrocarbon Processing, January 2003

3. 6. ბუნებრივი აირის გათხევადების მცირემასშტაბიანი საწარმოები

მცირემასშტაბიანი ბუნებრივი გაზის გათხევადებელი საწარმოები ფართოდ არის გავრცელებული და ძირითადად სატრანსპორტო თხევადი გაზის ბაზარს ემსახურებიან. ამ საწარმოების სიმძლავრე შეიძლება ძალიან დაბალი იყოს, მაგალითად 75-225 კგ/სთ.

აშშ-ს გაზის ტექნოლოგიის ინსტიტუტი მუშაობს ერთჯერადი ნარევი გამაცივებელი სისტემის შემუშავებაზე ჩვეულებრივი, ზეთით ნაპოხი ხრახნიანი კომპრესორითა და ფირფიტისებური თბომცველი აპარატით. პროექტის შთავარი მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული მასშტაბური ევექტის უარყოფითი ზეგავლენა და თხევადი გაზის ისეთი ღირებულების მიღწევა, რომელიც კონტრენტუნარიანი იქნება ბაზარზე⁷¹.

ნორვეგიის ენერგეტიკის კვლევითმა ინსტიტუტმა “სინტეფ” იგივე კურსი აირჩია და მიზნად დაისახა თხევადი გაზის 400 კგ/სთ სიმძლავრის საწარმოო მოწყობილობის შექმნა. დამზადებული და გამოცდილია 50 კგ/სთ სიმძლავრის ექსპერიმენტული დანადგარი ზეთით ნაპოხი ჩვეულებრივი ხრახნიანი კომპრესორისა და ფირფიტისებური თბომცველი აპარატის გამოყენებით⁷².

თხევადი გაზის მცირემასშტაბიანი წარმოებისათვის ბუნებრივი გაზის წინარე გადამუშავების ანუ გამოწოვებისა და CO₂-ის მოშორების ღირებულებმა შეიძლება საერთო ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინოს. კრიოგენური ტექნოლოგიით CO₂-ის მოშორება გამოყენებულია პიკური ტიპის ქარხნებში ჩიკაგო ბრიჯისა და აირონ ინკორპორეიშენის მიერ. ეს სიახლე ასევე გამოყენებულია მცირემასშტაბიანი თხევადი გაზის აიღაო ნეიშენალ ენჯინიერინგისა და ინვირემენტალ ლებორატორის კონცეპტუალურ პროექტებში⁷³.

თხევადი გაზის წარმოების განსხვავებული, მიკრო-სელური მეთოდი არის გამოყენებული კურტინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში⁷⁴. დანადგარის სიმძლავრე 1200 ლიტრი თხევადი გაზის დღეში (25 კგ/სთ), მარამ ის შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 10-ჯერ. თხევადი გაზის მინი მოდულში გამოყენებული პროცესი ემყარება ჩვეულებრივი აზოტისა და კომპრესიის ციკლების კომბინაციას. სისტემა იყენებს სამი სხვადასხვა ტიპის გამაცივებლის ნარეულ, რომელთაც მიიღწევა უწყვეტი გაცივება -80-დან -110 გრადუს ცელსიუსამდე, შემდეგ კი -161 გრადუს ცელსიუსამდე გაცივებისათვის გამოიყენება თხევადი აზოტი. აზოტი გათხევადდება კონტროლირებადი წნევის მეშვეობით და შემდეგ აღდგება ბუნებრივი გაზის თბომცველის გაელისას. თხევადი აზოტი აგრძელებს ბრუნვას კომპრესორის ციკლსა და თხევადი გაზის კამერას შორის წარმოების მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევისათვის. ბუნებრივ გაზში შემავალი CO₂ იყინება და მყარი ჩანართის სახით გამოცალკევდება ციკლონის მეშვეობით.

3. 7. თხევადი გაზის შენახვის ტექნოლოგიები

თხევადი გაზი შეიძლება შენახულ იქნეს კრიოგენურ რეჟერეუარში და განაწილდეს სპეციალური სატრანსპორტო, სარკინიგზო ან სასდვაო კონტეინერების საშუალებით. ქვემოთ მოცემულია თხევადი გაზის ტიპური რეჟერეუარების მოკლე დახასიათება.

1. მსხვილმასშტაბიანი თხევადი გაზის რეჟერეუარები, ჩვეულებრივ, მოწყობილია როგორც ყინვაგამიღე, მემბრანული ან მიწისქვეშა რეჟერეუარები.

⁷¹ Warm, J.; Kounz, K.K.; Liss, W.E.: ‘Small-Scale Natural Gas Liquefier Development’, IIR Cryogenics 2002, Prague, April 23-26, 2002

⁷² Flytendgjøring av naturgass’, Norwegian Patent PCT/NO01/00048

⁷³ Wilding, B.: ‘Sacramento Small Scale Liquefier Plant’, NGVTF Technical Committee Meeting January 28-29, 2003

⁷⁴ ‘Small Scale LNG Unit, Large Scale Potential’. Australian Energy News, Issue 22, December 2001

ყინვაგამძლე რესურსები დაბალტემპერატურული ბრტყელძირიანი, ევრტიკალური, ცილინდრული ტიპის რესურსები^{81,82}.

ძირითადად გაერვცლებულია სამი სახის რესურსები:

- ა) ერთ ავსიანი,
- ბ) ორ ავსიანი,
- გ) სრული მოცულობის.

ამ მოწყობილობათა ძირითადი თავისებურებანია: ავტონომიური შიდა რესურსი, 9% ნიკელის შემცველი ფოლადის ფსკერით და ალუმინის დაკიდებული ჯავშნით, ყველა შესასვლელი სახურავიდან. საქანავე ტუბი მოწყობილია რესურსის ფსკერში (ა და ბ ტიპის რესურსებში) ან სახურავში (გ ტიპის რესურსებში). საიზოლაციო მასალად გამოყენებულია პერლიტი.

ერთავსიანი რესურსი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- ნახშირბადიანი ფოლადის გარე საიზოლაციო კონტეინერი;
- ნახშირბადიანი ფოლადის გუმბათისებრი სახურავი გარეა დატბორვის სიტყმით;
- მეორადი რესურსი ალკურული კომპოსიტური ქიშის გულით და ხრქმის სლქლით რესურსის 110%-იანი მოცულობის შენახვის შესაძლებლობით.

ორ ავსიანი რესურსის შემადგენელი ნაწილებია:

- ნახშირბადიანი ფოლადის გარე საიზოლაციო კონტეინერი;
- ნახშირბადიანი ფოლადის გარე საიზოლაციო კონტეინერი;
- მეორადი რესურსი მოწყობილი წინასწარ დასაბული ბეტონის გარე საყრდენი კედლით რესურსის 110%-იანი მოცულობის შენახვის შესაძლებლობით.

სრული მოცულობის რესურსის მახასიათებელი პარამეტრებია:

წინასწარ დასაბული ბეტონის გარე რესურსი ფოლადის ჩანართით, ბეტონით დაფარული ფოლადის სახურავი; სითხის დაღერის შემსლქველი ბეტონის გარეა კედელი; ნორმალური საოპერაციო წნევა 250 მბარამღ

საბაისის სამარაგო რესურსების დიამეტრი ნეულებრივ არის 65-85 მეტრი, გუმბათის სიმაღლე - 48 მეტრამღ და კორპუსის სიმაღლე - 37-38 მეტრი. მსოფლიოს მსოლოდ რამდენიმე კომპანიაა ჩართული მსხვილმასშტაბიანი რესურსების მშენებლობაში.

სნოპტიტის მსგავსი, სრული მოცულობის რესურსის ფასი რესურსების ხედრით ფასი დაახლოებით 750 ევროა კუბურ მეტრსე მთლიანი სარესურსო სისტემებისათვის და დაახლოებით 525 ევრო კუბურ მეტრსე მსოლოდ თავად რესურსისათვის. ერთ- და ორ ავსიანი მოცულობების ფასი, ბუნებრივია, გაცილებით ნაკლებია^{83,84}.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, 180000 კუბური მეტრი მოცულობის მიწისზედა თხევადი გახის რესურსი სენოკუში (იაპონია) აშენდა 2000 წელს. 2000 წელს დასრულდა აგრეთვე უდიდესი ოპიშიმას მიწისქვეშა რესურსი იოკოამის (იაპონია) ტერმინალში 200000 კუბური მეტრი თხევადი გახის ტევალობით. რესურსი აშენდა ბეტონზე, ფოლადის მემბრანით, რომელიც შეიცავს 36% ნიკელს. იაპონიაში, სადაც მიწის ფასი განსაკუთრებით მაღალია, დიდი მოცულობის რესურსების მოწყობით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ინვესტიციების დასოგვა. საერთოდ, იაპონიის

⁸¹ Aspelund, A.; Brendeog, E.; Elnang, P.-M.; Meck-Hansen, B.; Molavik, M.J.; Neeraas, B.O.; Vlat, S.; 'LNG - Technology Evaluation', SINTEF Report, 2003

⁸² 'Flat-bottomed, vertical, cylindrical storage tanks for low-temperature service', BSI, BS 7777 Part 1, 1993

⁸³ 'Shoehit Gas Field, Barents Sea, Norway', the website for the offshore oil & gas industry, <http://www.offshore-technology.com/projects/shoehit>

⁸⁴ Owrea, G.; Moger, J.; Neeraas, B.O.; Plant-specific information on LNG plants and storage provided by Statoil 29 April 2003

საიმპორტო ტერმინალებში აშენებულია თხევადი გაზის სამარაგო 100-მდე მიწისხედა და შედარებით უფრო მეტი მიწისქვეშა რეზერვუარი.

2. ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტაციონარული რესერვუარები ჩვეულებრივად დაპროექტებულია 60-დან 500 კუბურ მეტრამდე ტევადობით და 24 ბარამდე მაქსიმალური სამუშაო წნევით და განაკუთვნილია თხევადი გაზის ხანგრძლივი ვადით შენახვისათვის⁸⁵. საიზოლაციოდ გამოყენებულია ძირითადად ვაკუუმური პერლიტი მოლექულური გაცხიდივის აღსობრებით, რაც უსრუნველყოფს პროდუქტის მინიმალურ დანაკარგს. რესერვუარები შეიძლება დამატებით აღიჭურვოს აორთქლების მოწყობილობით, ვაკუუმურ იზოლაციან მილსადენებით და/ან სხვა კრიოგენური აპარატურით, რომლებიც აუცილებელია შენახვის პროცესის სრული კომლექსის შესაქმნელად.

რესერვუარის შიდა ჭურჭელი და მილსადენი დამზადებულია მტკიცე, უჩანგავი ფოლადისაგან. კომბინირებული ვარვ საფარის საყრდენი და სამონტაჟო კვანძი მოხერხებულია გადიაღვლებით, აწვეისა და მონტაჟისათვის.

წვეის რეგულატორი შეიცავს მრავალფუნქციურ კონტროლერს, ეკონომისერსა და თბური დამცავ სარქველს.

რესერვუარის ხვედრითი ღირებულება სატრანსპორტო და სამონტაჟო ხარჯების გათვალისწინებით შეადგენს 1000-3000 ევრო/მ³, შესაბამისად 500 მ³ და 50 მ³ ტევადობის რესერვუარებისთვის

3. 8. თხევადი გაზის ტრანსპორტირების ტექნოლოგიები

თხევადი გაზის ტრანსპორტირების ციკლი მოიცავს: თხევადი გაზის ჩატვირთვას სამარაგო ან გადასატვირთო რესერვუარებში, მიწოდებას მიმღებ რესერვუარებში სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით (1 ბარი წნევისა და -160 გრადუსი ცელსიუსით ტემპერატურეს პირობებში) და რეგასიფიკაციას (ნახაზი 3.7).

1. თხევადი გაზის საავტომობილო ცისტერნები ჩვეულებრივად თერმოსის მისგავის ორკედლიანი ვაკუუმით იზოლირებული რესერვუარებია. თხევადი გაზი ასეთ ჭურჭლებში შეიძლება შენახულ იქნეს სამ დღემდე ყოველგვარი დანაკარგის გარეშე⁸⁶. შიდა რესერვუარი და დამაკავშირებელი მილსადენი მტკიცე, უჩანგავი ფოლადისაგანაა დამზადებული სითბოს მინიმალური შთანთქმის სუპერიზოლაციით ღრმა ვაკუუმის გამოყენებით. ცისტერნები გათვლილია შესაძლო ავარიულ შემთხვევებზე ტრანსპორტირების დროს კატასტროფული შედეგების თავიდან ასაცილებლად. სატრანსპორტო ცისტერნების ტიპური მოცულობა 50 კუბური მეტრია. გაზის ჩატვირთვისათვის ჩვეულებრივ კრიოგენური ტუმბო გამოიყენება.

თხევადი გაზის საავტომობილო ცისტერნის (კომპლექსის) ფასი დაახლოებით 230 000 ევროს შეადგენს.

2. თხევადი გაზის სარკინიგზო ცისტერნა, ჩვეულებრივ, 120 კუბური მეტრი მოცულობის, ორკედლიანი ვაკუუმით იზოლირებული რესერვუარია. მისი ღირებულება დაახლოებით 500 000 ევროა.

3. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) კონტეინერები 18 კუბური მეტრი კუბის მოცულობის, ვაკუუმით იზოლირებული რესერვუარებია და გათვლილია სხდასხვა (10-დან 22 ბარამდე) წნევაზე. თხევადი გაზის შენახვის დრო არ აღემატება 100 დღეს. საბოლოო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 150 000 ევროს.

⁸⁵ Zeman, J.: 'Liquefied Natural Gas – an attractive alternative for gas-based utility system. Ferox, an Active Participant', Podnikatel, November 2002

⁸⁶ 'Answers LNG FAQS. Frequently Asked LNG Questions'. Northstar Industries, Methuen, MA, USA. <http://northstarinc.com/lngfaq.html>. 2003-04-15

4. ავტომობილების თხევადი გაზის ავსები, ჩვეულებრივ, ორკედლიანი, განმხოლოებული კონტეინერებია, მაქსიმალური მუშა წნევით 16 ბარი. ჩვეულებრივ ავტომობილის ძრავს გაზი მიეწოდება 4-დან 9 ბარამდე წნევით, რომლის მიღება შესაძლებელია საწვავის ტუმბოს ან სპეციალური ტექნოლოგიით შემსაღების მეშვეობით. საწვავის მომსახურების უკანასკნელი მეთოდი უფრო მარტივი და საიმედოა, თუქცა მისი გამოყენების დროს შეუძლებელი ხდება ავსის მთლიანი მოცულობის ეფექტური ამოყენება.⁸⁷

5. თხევადი გაზის საწვავი სატრანსპორტო საშუალებებში სფეროული ან მებრანული ტიპის რესურსებებია. ისინი (იხევე, როგორც თხევადი გაზის სხვა სატრანსპორტო საშუალებები) აღჭურვილია გაზის გააუნვისა და ცეცხლის აღმოჩენის სისტემებით, აგრეთვე მათი აღმოფხვრის სისტემებით, რომელთა გააქტიურება იწყება წინასწარ დადგენილი კრიტიკული პარამეტრების დაფიქსირებისას. ამას გარდა, თხევადი გაზის სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილია რადარითა და ძიების სისტემებით, რომლებიც შეუძლებლობის სიგნალს გადასცემენ მომსახურე პერსონალს ტრანსპორტის პოტენციურად საშიშ ადგილებში მოძრაობის შემთხვევაში⁸⁸.

3. 9. დაჭირხნილი ბუნებრივი აირის (CNG) წარმოების პერსპექტივები

პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა ბუნებრივ გაზსე მომუშავე ავტომობილებისათვის (NGV) საექსპლუატაციო დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებული მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც დაჭირხნილ (კომპრესირებულ) ბუნებრივ გაზს (CNG) მოიხმარენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საბურთალოსში, საქართველოსა და სომხეთშიც არიან გაეროცემული. ბუნებრივი გაზის მოხმარება ავტომობილებში აძვირებს დანახარჯებს საწვავზე მისი მოხმარების 20-25%-ით ზრდის მიუხედავად. ამასთან მაკენ ემისიების რაოდენობა 80-90%-ით, ხოლო ხმაურის დონე 10-14%-ით მცირდება. 15-20%-ით იზრდება საწვავის ღირებულება ავტომობილის აღჭურვისათვის სპეციალური მოწყობილობით, მაგრამ დაახლოებით 10 %-ით მცირდება ექსპლუატაციის ღირებულება (დასაყუთი ევროპის პირობებში).

როგორც წესი, ბუნებრივი გაზი კომპრესიისათვის მარაგდება მაღალი წნევის ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო მილსადენებიდან ან გაზსაცავებიდან. კომპრესორში შესვლამდე ის გაივლის ფილტრებს და გამაშრობლებს. კომპრესორიდან გამოსული დაჭირხნილი გაზი მიაღწევს წყვიან საცავ ცილინდრებში შეინახება. სატრანსპორტო საშუალებები მარაგდება მილსადენის სისტემის საშუალებით.

ქართული კომპანია ექსპრტია ბაზარს სთავაზობს ბუნებრივი გაზის კომპრესიის ორიგინალურ ტექნოლოგიას. დანახარჯები კომპრესირებული ბუნებრივი გაზის წარმოებაზე ამ ტექნოლოგიის გამოყენებით 40-50%-ით დაბალაა, ვიდრე ტრადიციული ევროპული ტექნოლოგიების გამოყენების დროს, პარალელურად სისტემის ფუნქციონირების საიმედოობის ამაღლებასთან ერთად⁸⁹.

ბუნებრივი გაზის გამოყენება დიდი ქალაქების საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ეკონომიკური, და რაც მთავარია ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება შეიძლება გახდეს.

ფოტოსურათზე (3.9) ნაჩვენებია ევროპის ერთ-ერთ ქალაქში დაჭირხნილ გაზსე მომუშავე ავტობუსი.

⁸⁷ Litzke, W.-L.; Wegrzyn, J.: "Natural Gas as a Future Fuel for Heavy-Duty Vehicles", The Engineering Society For Advancing Mobility Land Sea Air and Space International, Government/Industry Meeting Washington, D.C. May 14-16, 2001, SAE Technical Paper Series 2001-01-2067
⁸⁸ "LNG frequently asked questions", Energy for Wales. <http://www.energyforwales.co.uk/faq.html>
⁸⁹ A. Berashvili, Perspectives of introduction of compressed gas production technologies, Materials of OPET Clean Fossil Fuel Project Workshop "Development Perspectives of Clean Fossil Fuel Technologies", Tbilisi, March, 2004

საბურთალოს რაიონის დედაქალაქი ათენი ევროპის კონტინენტზე გასვლას მომუშავე საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების ყველაზე დიდი პარკის მფლობელია, რომელიც შედგება 300 ავტობუსისაგან. ამასთან 2004 წელს დაგეგმილია დამატებით 100 ახალი ერთეულის შესყიდვა: CNG-ის საწვავზე მომუშავე ავტობუსების რიცხვი მსოფლიოს ზოგიერთ ქალაქში შემდეგია: ბორდო – 115, ნიცა – 90, ლილი – 100, ფლორენცია – 70, ტურინი – 100, ნეაპოლი – 60, პალერმო – 60, მალმე – 125, სიდნეი – 400, ადელაიდა – 210, ლოს ანჯელესი – 1,700, ნიუ იორკი 600, ტორონტო 125, ჰამილტონი 91.

3. 10. გაზისაგან თხევადი საწვავის წარმოების (GTL) ტექნოლოგია

GTL-ის ტექნოლოგია ითვალისწინებს ბუნებრივი გაზის გარდაქმნას თხევად ნახშირწყალბადოვან ნაერთებად. კაპიტალური დანახარჯებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის ზომების შემცირების მიზნით შემუშავებულია გაზისაგან თხევადი საწვავის წარმოების შედარებით გამარტივებული პროცესი⁹⁰. ეს პროცესი ეკონომიურად ეფუძნება 300 ტ/დღ და უფრო მაღალი წარმადობის დროს. GTL ტექნოლოგიის გამოყენებით სინთეზირდება თხევადი საწვავი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პირდაპირ, ისე უფრო დაბალი ხარისხის ნედლეული ნავთობთან შერევის და გადამუშავების შემდეგ უფრო მაღალი ხარისხის საწვავის მისაღებად.

ამ პერსპექტივის მიუხედავად, პროცესი შეიძლება პრაქტიკულად მომგებიანი იყოს მხოლოდ ნავთობის შორეული საბადოებისათვის, სადაც ჩვეულებრივად ასოცირებული გაზის დანვა ან რეინექცია არის გამოყენებული⁹¹. GTL ტექნოლოგიის გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი აღმოჩნდეს ასურბაიჯანის ნავთობის ასური-ჩირად-გოუნეშლის ოფშორულ საბადოზე, რომელიც არაა დაკავშირებული სანაპირო გაზგადამამუშავებელ ქარხანასთან და ატმოსფეროში აფრქვევს ნავთობთან ასოცირებულ გაზს. აქ წარმოებული თხევადი საწვავი შემდგომში შეიძლება ტრანსპორტირდეს არსებულ ნავთობსადენებით.

თუ GTL ტექნოლოგიით წარმოებული იქნება ბუნებრივი ნავთობპროდუქტების კონკურენტული პროდუქცია სატრანსპორტო სექტორისათვის, მაშინ სავარაუდოა რომ გაზიდან სინთეზირებული თხევადი საწვავი გამოყენებული იქნება ბენზინთან შესარეველ, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს მანვე ემისიები.

⁹⁰ New Combustion Technology Facilitates Smaller Capacity GTL Plants. Syntroleum Corporation Press Release, September 16, 1998

⁹¹ Fueling the future. Natural gas and new technologies for a cleaner 21st century, Technical Report, WPA Inc., February 2000, Washington DC

4. ბაზის მოხმარების ტექნოლოგიები

4. 1. საყოფაცხოვრებო სექტორი

გაზი სუფთა საწვავია ნათობთან და ნახშირთან შედარებით და არც ისეთი პოლემიკის საბაზს იძლევა, რაც ატომური ენერჯის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. იგი გამოსაყენებლად მარტივია და საბოლოო მომხმარებლისათვის მოხერხებული. გაზის წვის პირდაპირი სისტემური საყოფაცხოვრებო, კომერციული, სამრეწველო, სატრანსპორტო და ელექტრო ენერჯეტიკულ სექტორებში, უადრესად მაღალი ეფექტურობით გამოიხრნევა.

მაღალი საწყისი ღირებულება და გაზსე მომუშავე ელექტრული მოწყობილობის აღჭურვის სირთულე ის ძირითადი პრობლემებია, რომლებსაც ბუნებრივი გაზის მოხმარება შეიძლება წააწყდეს საყოფაცხოვრებო სექტორში. ეს სირთულეები ჯამში შეიძლება დაძლეულ იქნეს მაღალი ეფექტურობითა და შედარებით დაბალი საოპერაციო და მომსახურების დანახარჯებით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რეალურად მომხმარებელი, მინც უპირატესობას აძლევს მცირე საწყისი ღირებულების მოწყობილობას. შესაბამისად, აუცილებელია რომ შემცირებულ იქნეს საყოფაცხოვრებო სექტორისათვის განკუთვნილი, გაზსე მომუშავე მოწყობილობის შესყიდვის ღირებულება²².

გაზსე სექტორები საცხოვრებელი სახლების გათბობის თაქმის უალტერნატიუო საშუალებაა. ელექტრონული გათბობების გამოყენება პრობლემტური ხდება მრავალი მომხმარებლისათვის ელექტროენერჯიასე შედარებით მაღალი გადასახადის გამო. სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ დასაელეთის ქვეყნებში ბინის გათბობა ბუნებრივი გაზით 30%-ით უფრო იაფია, ვიდრე ელექტროენერჯით გათბობა (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეს სხვაობა ბევრად უფრო შთაბეჭდავია, საშუალოდ 200-400 %-ს შეადგენს და განპირობებულია გაზის შედარებით დაბალი ფასებით). თანამედროვე გაზსე სექტორების ენერჯო ეფექტურობა 90%-ს აღწევს (შედარებით უფრო პატარა მოწყობილობების 78%-ს) და სოგადად უფრო მაღალია ვიდრე საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს.

სიერცის გაზით გათბობისათვის შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- ⇒ ცენტრალური გათბობის სისტემა შეიცავს გაზის წვასე მომუშავე ბოილერის (ნახასი 4.1) და ცხელი წყლის ბინებში განაწილებულ სისტემას;
- ⇒ მცირე სიმძლავრის ინდივიდუალური გათბობების გამოყენება, რომლებიც ოჯახის ცხელი წყლითაც ამარაგებენ. 27 კვტ სიმძლავრის ასეთი დანადგარი უსრუენელოფის 9 წუთის განმავლობაში 100 ლ წყლის გაცხელებას 45 °C-მდე. მისი ეფექტურობა კი 83-84 %-ია;
- ⇒ ოთახის გათბობების რომლებიც გარე კერამეტრის კედლსე მონტაჟდება და მოხმარს დასა სიერცისადასე შეწყველდ ატმოსფერულ პაერს, სითბოს კი ენტილატორის საშუალებით ანაწილებს საცხოვრებელ ფართსე. 4.6 კვტ სიმძლავრის ასეთი გათბობბული საკამარისისა კომფორტული პირობების შესაქმნელად 50 კვადრატული მეტრი ფართის მქონე ოთახში. სამხრეთ კაეკასიის რეგიონში ფართოდ არის გავრცელებული ნახსური, აგრეთვე ადვალობრივი (მაგ. თბილისის საავიაციო ქარხნის) წარმოების ოთახის გათბობბული, რომლებიც მაღალ ეკოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხეობით გამოირჩევიან სხვა, მატე-ირანული წარმოების ანალოგიურ მოწყობილობებთან შედარებით.

პაერის კონდიციონება გაზის ენერჯის გამოყენებით ფართოდაა დანერჯილი კომერციულ სექტორში, თუმცა ეს პროცესი მნიშენელონად არის შეფერხებული საყოფაცხოვრებო სექტორში. ელექტრული კონდიციონერების საწყისი ფასები გაცილებით დაბალია, მაგრამ

²² Fueling the Future. Natural gas and new technologies for a cleaner 21st Century, Technical report prepared by Washington Policy and Analysis, Inc., February 2000, Washington, DC

ისინი შეუდარებლად ძვირადღირებულ ენერჯიას მოხმარებენ. პაყრის კონდიციონება ბინებში გაზის გამორეგებით 30 %-ით ნაკლები ენერჯიის დანახარჯს განაპირობებს, ხოლო მათი ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 20 წლით განისაზღვრება.

წყლის გაზით გამაცხელებლებს აქვთ უპირატესობა წყლის ელექტრულ გამათბობლებთან შედარებით. მათ შეუძლიათ წყლის უფრო სწრაფი გათბობა და ელექტრულ წყლის გამათბობლებზე უფრო ეფექტურები არიან. წყლის გათბობის ღირებულება მაღალეფექტური გაზის გამათბობელით 2-ჯერ იაფია ვიდრე მაღალეფექტური ელექტრონული გამათბობელით. გაზის გამათბობელი უფრო მცირე ზომისაა. ისინი აღჭურვილია ატმოსფერული საინთურით, სიმძლავრით 5-16 ლ/წთ 40-56 °C ტემპერატურის წყალი. გაზე მომუშავე წყლის გამათბობლებს შეიძლება ქონდეთ ცხელი წყლის შენახვის შესაძლებლობაც (ინველტორიე 220 ლიტრი წყლის 90%-იანი ეფექტურობით)³³.

ერთ-ერთი ექვლავ უფრო იზოვიციური ნაკეთობათაგანი, რომელიც ბაზარზე ხელ ცოტად ხინის წინ შეიჭრა, ესაა სიერციის გათბობისა და ცხელი წყლის ერთი და იმავე წყაროდან მომარაგების კომბინირებული სისტემა. მისი დამონტაჟება მეტად მარტივია - ერთი გაზის მილისა და შესასვლელის საშუალებით. კომბინირებული სისტემა იდეალურია შედარებით მცირე ზომის სახლებისათვის.

ბოლო წლებში მსარდაი მოთხოვნა აღინიშნება გაზის ბუხრებზე, რამდენადაც მომხმარებლები სახლებში სითბოსთან ერთად და სიმყურთოვესაც აძლევენ უპირატესობას, რაც ტრადიციულად შეშის ბუხრებთან ასოცირდება, თუმცა ეს უკანასკნელი გარკვეულ დასაცომფორტს ქმნის შეშის წვისა და შენახვის სირთულის გამო თანამედროვე საცხოვრებლებში. ამის ნაცვლად გაზის ბუხარი ადვილად შეიძლება ჩაირთოს (აინთოს) და გამოირთოს. მაღალი ტემპერატურა და შესუღვლული ემისია გაზის ბუხარს კიდევ უფრო ეფექტური ხდის შეშის ბუხართან შედარებით.

გაზით საჭმლის მომზადება ძალზე გაერცხვლებუბო პირობებში. აშშ-ში მისი ღირებულება დაახლოებით 2-ჯერ იაფია დენით საჭმლის მომზადებასთან შედარებით (საქართველოში ამ სხვაობამ შეიძლება 3-4-ს მიაღწიოს). გაზით საჭმლის მომზადება კიდევ ერთი უპირატესობით ხასიათდება: ესაა ტემპერატურის გაცვლებით მოხერხებული კონტროლი და შესაბამისად საჭმლის მომზადების სასურველი ტემპერატურული რეჟიმის დაცვის შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, გემრიელი კერძების მომზადებას უზრუნველყოფს.

უმჯობესდება გაზით გაშრობის ტექნოლოგია და იგი უკვე კონკურენტუნარიანი ხდება ელექტროგამაშრობლებთან შედარებით. სტატისტიკის თანახმად, გაზის საშრობში ტანსაცმლის გაშრობა ორჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ელექტროსაშრობებში.

ბუნებრივი გაზის ტექნოლოგიების გამოყენება საცხოვრებელ სექტორში მომხმარებლისათვის იაფიცაა და მარტივიც. ახალი პროდუქციის - გოფირებული უზანგავი ფორლასი მილების გამოყენება კიდევ უფრო აიოლებს ბუნებრივი გაზის სისტემის მონტაჟის ღირებულებას საცხოვრებელ ბინებში.

4. 2. განვითარებადი ტექნოლოგიები საყოფაცხოვრებო სექტორისათვის

ამჟამად დამუშავებაში მყოფი გაზზე მომუშავე მოწყობილობები - თბოთი ელემენტები და მიკროტურბინები მსადაა ბაზარზე დამკვიდრებისა და მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად ელექტროენერჯიის განაწილებული გენერაციის სექტორის განვითარებაში. ეს ტექნოლოგიები ხელს შეუწყობენ ემისიის მნიშვნელოვან შემცირებას, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, ასევე გადაჭრან დაშრობებული ან მითან რეგიონების, აგრეთვე სასაზღვრო პოსტების ელექტრომომარაგების პრობლემას.

საყოფაცხოვრებო სექტორის ზოგიერთი მოთხოვნა, როგორცაა განათება, კომპიუტერის, ტელევიზორის და ვიდეო-აუდიო აპარატურის ენერგომომარაგება მხოლოდ გაზს არ შეუძლია დააკმაყოფილოს. თუმცა, დიდ, ცენტრალურ თბოელექტროსადგურებში

³³ Esergia Report

გამომუშავებული ენერჯია წვეულებრივად სამაჯურ მეტი პიროვნებად ენერჯის დანახარჯს მითხოვენ საბოლოო მომხმარებლის მიერ უშუალოდ გამოყენებულ ენერჯიასთან შედარებით. საერთო გენერირებული ელექტროენერჯის კიდევ 8-10 პროცენტი იკარგება თბოსადგურიდან მომხმარებელამდე ელენერჯის გადაცემისათვის. შესაბამისად, ელენერჯის გენერაციის ეფაისის გადატანა ბოლო მოხმარებლის სიახლოვეს მნიშვნელოვნად ამცირებს საერთო დანაკარგებს.

მცირემაშტაბიანი თბური ელემენტების გამოყენება საშუალებას იძლევა დაისოვოს მნიშვნელოვანი ენერჯია მისი ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

სხვადასხვა ზომის, ტექნოლოგიისა და საწვავის სახეობის თბური ელემენტები ფართოდ რეკლამირდება როგორც ენერგეტიკული პრობლემების (მწოდების საიმყოფო და ეკოლოგია) გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. უსრუხეკლყოფენ ელექტროენერჯის, სითბოსა და ცხელი წყლის გამომუშაებას ატომსფეროს მინიმალური დაბინძურებით. (სიმძლავრე - P = 3 კვტ + 3 მგეტ; ინვესტიცია - C₁ = 1600-3000 €/კვტ, საოპერაციო და მომსახურების დანახარჯები - C₂ = 0,004-0,01 €/კვტსმ). თბური ელემენტი არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც ძალიან წააგავს აკუმულატორულ ბატარეას, რომელიც საწვავის (როგორცაა მეთანი ან მეთანოლი) ქიმიურ ენერჯიას ელექტროენერჯიად გარდაქმნის. მას აკუმულატორის მსგავსი დეტალები აქვს; დადებითი და უარყოფითი ელექტროდები და ელექტროლიტი. თუმცა, აკუმულატორისაგან განსხვავებით, რომლებსაც ელექტროობით მომარაგება შეუძლიათ მხოლოდ შესაღწეული დროით და მოთხოვენ ხელახლა დატვირთვას ან გამოცვლას, თბურ ელემენტს შეუძლია ელექტროენერჯის უწყვეტ გამომუშაება, საწვავითა და პერით უსრუხეკლყოფის შემთხვევაში.

თბური ელემენტი ძალიან მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა (η = 40-70 %). როდესაც ის გამოყენებულია კომენტაციის სისტემაში, ანუ როდესაც გამოყენებულია როგორც გამომუშავებული ელექტროობა ისე სითბო, სასარგებლოდ გამოიყენება საწვავში აკუმულირებული საწვავის ენერჯის 80%-მდე. ატომსფეროს მინიმალური დაბინძურების პირობებში⁹⁴, დღესდღეობით კომერციულად ხელმისაწვდომი თბური ელემენტები ელექტროენერჯის გამომუშაების დროს 40%-ს ეფექტურობის დონის აღწევენ⁹⁵. მომავლის თბური ელემენტები ელექტრდება 60-70 პროცენტი ეფექტურობით⁹⁶.

მიკროტურბინები. რომლებსაც სთავაზობენ მცირე მწარმეებსა და ან საყოფაცხოვრებო სექტორს, ელექტროენერჯის გამომუშაების საშუალებას იძლევა უშუალოდ მოხმარების ადგილზე რამდენადაც ენერგეტიკული ბაზრებზე ბოლო წლებში სულ უფრო კონკურენტული გარემო ყალიბდება, მიკროტურბინები უფრო პოპულარული გახდება არა მხოლოდ როგორც ენერჯის წვეულებრივი წყარო, არამედ როგორც ალტერნატივა ძვირადღირებულ მიკრო ენერჯისათვის.

მიკროტურბინები გამოიყენებენ პროპანს, დიზელის საწვავს, ბენზინს, ბუნებრივ გაზს ან სხვა წიაღისეული ენერჯორესურსს; მარტივია მათი მოდერნიზება სხვადასხვა მანქანების ამარაგად გამოყენებისათვის. მიკროტურბინები ასევე უადრესად საიმედოა ექსპლუატაციის დროს, რადგან მხოლოდ ერთი მოძრავი ნაწილი განინათ. რადგანაც მექანიზმი აეროსტატიკური საკისრებია გამოყენებული, მას პრაქტიკულად არ სჭირდება შესუთვა. მიკროტურბინებს არ ჰქონდათ ელექტროენერჯია ამუშაების ან მუშაობის პროცესში, ამიტომ მათი მუშაობის რეჟიმზე არაერთარ გავლენას არ ახდენს ელექტროენერჯის ავარიული გათიშვა. პირაქით, ეს თვისება მიკროტურბინებს საშუალებას აძლევს განსაკუთრებულ შემთხვევებში ელექტროენერჯია მიაწოდოს ქსელს.

მიკროტურბინები არის პატარა, მაღალსიმქარიანი ელექტროსადგურები, ალტურეილი ელემენტარული მართვის მოწყობილობით. თითოეული მიკროტურბინა შედგება მცირე როტორიანი საერთო ღერძზე დამონტაჟებული გენერატორის, კომპრესორისა და

⁹⁴ Gas Industry Online: Gas Technology Summer 1999
⁹⁵ The Natural Gas Fuel Cell™, www.naturalgas.org/FUELCCELL17M1, downloaded on 30 November 1999
⁹⁶ Ibid

ტურბინისაგან. მიკროტურბინების შეიძლება ჩაირთოს საერთო გამაწვლელ კსელში ან იმუშაოს დამოუკიდებლად. მათი ძირითადი უპირატესობებია: მაღალი საიმედოობა, მცირე ზომები, დაბალი ემისია და მცირე ინვესტიციები ($C_1=500-750$ €/კვტ) და საექსპლუატაციო დანახარჯები ($C_2=0,0025-0,0085$ €/კვტსთ), საკმაოდ ზომიერი ეფექტურობა ($\eta=20-30$ %), 25-დან 400 კილოვატამდე ენერჯის გამომუშავების შესაძლებლობით. ამჟამად მიკროტურბინები გამოცვლას გადაინ და ზოგჯერ კომერციულ დონეზეც გამოიყენებიან. ექსპერტების პროგნოზის თანახმად მიკრო ტურბინები ფართოდ დაინერგება საყოფაცხოვრებო სექტორში 2005 წლისათვის⁹⁷.

4. 3. კომერციული სექტორი

ბუნებრივი გაზი ფართოდ გამოიყენება კომერციულ სექტორში, კერძოდ სასტუმროებში, საავადმყოფოებში, რესტორნებში, საცხოვრებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში, სამრეცხაოებში, კომერციულ მაღაზიებში და ა.შ. გაზზე მომუშავე მოწყობილობები ძირითადად გამოიყენება საოფისე ფართობის გასათბობად, წყლის გასაცხელებლად, საჭმლის მოსამზადებლად, ტანსაცმლის გასარეცხად და გასაშრობად, ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად. სათბურებისათვის გაზი გამოიყენება არა მარტო როგორც სათბობი, არამედ როგორც ნახშირორჟანგის შემცველობის რეგულატორი მათში. ერთი მ³ გაზის წვის დროს გამოიყოფა ერთი მ³ ან ორი კგ CO₂. სასაბურვე გაზის ხელსაწყოები აღჭურვილია CO₂-ის გამაზომი და რეგობატურ რეჟიმში მარეგულირებელ ხელსაწყოებს⁹⁸.

გაზი კვების ინდუსტრიაში

საკვები პროდუქტების ინდუსტრია გაზის ძირითადი მომხმარებელია კომერციულ სექტორში. საჭმლის მომზადებისათვის ბუნებრივი გაზით სარგებლობს აშშ-ის კომერციული სექტორის მომხმარებელთა 55 პროცენტი, ხოლო პროდუქტების შესანახი დაბალი ტემპერატურის წარმოებისათვის მომხმარებელთა 54 პროცენტი. გამოიყენების თანახმად, თბილისში მომხმარებელთა 97-98% საჭმლის მოსამზადებლად ბუნებრივ ან თხევად გაზს იყენებს. გარდა ამისა, ბუნებრივ გაზს მოიხმარს ქაღაქის მცირე საცხოვრებელი დიდი უმრავლესობა. დამატებით, გრძელდება მოთხოვნები სრლად არაპროფესიონალი, მეთჯახე ქალბატონების მიერ მომზადებულ საკვებზე, რომელიც ორინენტრებულია მომხმარებლების (კვლავლად გამოვებასა და მოთხოვნაზე და საოჯახო შემოსაყვლების დამატებით წყაროსაც წარმოადგენს.

უკანასკნელ წლებში მრეწველობამ აითვისა მრავალგვარი გაზქურების, ბოილერების, მავლების (გრძობების) და წყლის გამაცხელებლების წარმოება, რომლებიც ეხმარება რესტორნებს მეკეთრად გააუმჯობესონ ენერგოეფექტურობა, გასარდონ მწარმოებლობა, მომხმარებელს შეთავაზონ მრავალფეროვანი მენიუ და გაუმჯობესებული ხარისხის საჭმელი. გასქურებისა და გრილების ზოგიერთი უკანასკნელი მოდელი შედგენილია

კვების ინდუსტრიაში მომავალში გაიზრდება მოთხოვნა კომპაქტურ, მრავალფუნქციურ მოწყობილობებსზე, თანამედროვე საენტილაციო სისტემებით, რომელთა ფუნქციონირება შესაძლებელი იქნება არატრადიციულ ადგილებში შესუდული გარემოს პირობებში (მაგალითად აუროპორტების მოსაცდლები, მუსეუმები, საავადმყოფოები და საავტოო ცენტრები). ტრადიციულად ასეთ პირობებში რეალური მონოპოლია უპყრია ელექტრულ მოწყობილობებს და მათი შეცვლა გაზის ხელსაწყოებით მნიშვნელოვანი კომერციული ეფექტის მიღების საშუალებას წარმოაშობს.


მეცნიერთა და დიზაინერთა ძალისხმევა დღეისათვის მიმართულია გაზის საშუალებით საჭმლის მომზადების მოწყობილობათა განვითარებისათვის, კერძოდ, ტექნოლოგიური

⁹⁷ "Generating Interest: Micro turbines Tout Cheaper, More Reliable Power", *Crain's Chicago Business*, 13 April 1998


⁹⁸ *Feeling the Future. Natural gas and new technologies for a cleaner 21st Century*, Technical report prepared by Washington Policy and Analysis, Inc., February 2000, Washington, DC




ნახ. 4.1. ბუნებრივი აირის მონუმზე გამოძობის ქვაბი
Figure 4.1. Natural Gas central heating boiler




ნახ. 4.2. თბური ელემენტი
Figure 4.2. Fuel cell




ნახ. 4.3. მიკრო ტურბინა
Figure 4.3. Micro-turbine




ნახ. 4.4. შიგა წვის კოგენერაციული სისტემის ბლოკ-სქემა
Figure 4.4. Internal Combustion Cogeneration Flow Diagram




ნახ. 4.5. ტურბინული კოგენერაციული სისტემის ბლოკ-სქემა
Figure 4.5. Turbine Cogeneration Flow Diagram



ნახ. 4.6. ელექტრომომარაგების სისტემა ცენტრალიზებული გენერაციით
Figure 4.6. Power supply system with centralized generation



ნახ. 4.7. ელექტრომომარაგების სისტემა დეცენტრალიზებული გენერაციით
Figure 4.7. Planned system of energy supply with decentralized generation units



ნახ. 4.8. წინსვლით-უაქცევიითი მოქმედების ამძრავი
Figure 4.8. Reciprocating engine

მიწოდების სრული სექტორის შესაქმნელად დახლის კომპაქტური მოდელებიდან სრული შორის მოდლებამდე კომერციული სექტორის ნებისმიერი მომხმარებლის, მათ შორის არატრადიციული რესტორნების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

თემცა გაზი ტრადიციულად დომინირებდა კომერციული სექტორის გათბობისა და წყლის გაცხელების სისტემებში, მაგრამ უახლესი ათწლეულებში მოთხოვნების მიწიშენელოვანი ზრდა არის მოსალოდნელი გაზსე მომუშავე სფეროს გამაგრებულზე სექცი-კომერციულ სექტორში გამოყენების შემთხვევაში გაზით გაგრილების სისტემები უსურველყოფენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს და ოპერატიულობას.

დღეისათვის სამი განსხვავებული ტექნოლოგიით მომუშავე გაზის გამაგრებულები მიწოდება სამომხმარებელ ბაზარს

⇒ გაზის ამორავიანი კომპრესორებით მომუშავე მაცივრები, რომლებიც თანაბრობულად წარმოშობილ სითბოს ცხელი წყლის ან ორთქლის საწარმოებლად გამოიყენება;

⇒ აბსორბციული მაცივარი სისტემები, რომლებიც გამაცივებელი აგენტის (მაგ. ამიაკის) ობიექტებით წარმოქმნიან გამაგრებულ ეფექტს. ამ პრინციპზე გამაცივებელი სისტემები სწორად გამოიყენება ღლი კომერციული შენობების კონდიციონირებისათვის;

⇒ გაზის ბაზაზე შექმნილი ტენშანმოქმი (დესიკანტური) დეჰიდრაციის სისტემები ადვილრებ პაერის სინთეზის შენობაში და გასაგრებულად საჭირო ხეველით ცენტრის რაოდენობას. ასეთი სისტემები პაერის გამაგრებულთან კომბინაციაში ზღუდავენ ტენის წარმოქმნას და ახელს უშლის ნესტიანი გარემოში სწრაფად ზრდადი მიკროორგანიზმების გამრავლებას.

გაზით გაგრილების ახალი ტექნოლოგია GAX იმით განსხვავდება ნეკლებრივი ელექტრული ტექნოლოგიებისაგან, რომ მასში თერმული კომპრესორით, რომელიც შედგება თბური გენერატორისა და აბსორბერისაგან, ჩანაცვლებულია ნეკლებრივი მიტორიანი კომპრესორი. ეს ტექნოლოგია სამუშაო სითხედ იყენებს წყალსა და ამიაკს. თბური გენერატორი იყენებს ქიმიურ აბსორბციას (და არა ძრავით მომუშავე ორთქლის კომპრესორს). რათა სიცივის ან სითბოს გამოსამუშაველად, და შესაბამისად მეტად მაღალი ენერგოეფექტურობით გამოირჩევა.

ტენიანობის რეგულირება კომპორტული და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად შენობების კონდიციონირების დროს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ტემპერატურის რეგულირება. ტენშანმოქმი ნივთიერებების გამოყენება გაზით გათბობასთან ერთად უსურველყოფენ გარემო პირობების კონტროლის პაერის ნეკლებრივი ელექტრულ კონდიციონერებისაგან შედარებით ნაკლები დანახარჯებით. ტენშანმოქმი ნივთიერება (დესიკანტი) წარმოადგენს მყარ ან თხევადი მასალას, რომელიც შეიწოვს პაერის ორთქლს. ასეთი მასალის გარეცხვადი ნიმუშია კრისტალური, დაწეხილი მასალა, რომელიც იწოვს ტენის მოწოდული სავენტილაციო პაერიდან ვენტილაციით, ხოლო შემდეგ კვლავ აღდგება (რეგენერირდება) გაზის მაღალი ტემპერატურით იმისათვის, რომ განმეორებით იქნეს გამოყენებული პროცესში.

შემე დადასტურებულია ბუნებრივი გაზის ინოვაციური HVAC-ის (პაერის გაცხელება, ვენტილაცია და კონდიციონერება) ტექნოლოგიური სისტემის მაღალი ეფექტურობა პაერის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის გადასაჭრელად. HVAC-ის სისტემა აერთიანებს სამ თანამედროვე ტექნოლოგიას:

⇒ ენერჯის აღდგენის კვანძი, რომელიც შენობას აწვდის სუფთა პაერს. ის ურთიერთანაცვლებს სითბოსა და ნესტს იმგვარად, რომ კონდიციონერის ღირებულება მინიმალური ხდება;

⇒ შთანმოქმელ-გამაგრებელი კვანძი, რომელიც აშრობს თბილ პაერს ვიდრე ის გაივლიდეს გამაგრებულ ხეივებს. ამ ტექნოლოგიის უპირატესობები მდგომარეობს იმაში, რომ მკვეთრად შესწავლულია მიკრობების ზრდა მაცივარში, რომლებიც ნეკლებრივი გამაგრებულ ხეივებზე სწრაფად მრავლდებიან ტენიან გარემოში. ამის

გამო მინიშნულოვნად მცირდება დემიდრაციის ღირებულება და უმჯობესდება პაერის ხარისხის;

⇒ ბუნებრივი გაზზე მომუშავე ამძრავიანი მაცივარი, რაც მიშენლოვნად ამცირებს ენერჯის გადაცემასა და მრავალჯერად გარდაქმნასთან დაკავშირებულ დანაკარგებს. ასეთ სისტემაში, დანადგარის კორპუსიდან და გამოზარბოლქვის მაცუშიდან ართმეული სითბო უკან ბრუნდება და საშრობის რეგერენაციის პროცესისათვის გამოიყენება.

HVAC-ის სისტემის გამოყენებით აშშ-ის ერთ-ერთ სკოლაში მიღწეულ იქნა მინიშნულოვანი ეკონომიკური ეფექტი, რაც დაკავშირებულია გათბობისა თუ გაგრილების მოთხოვნების რაციონალურ დაკმაყოფილებასთან და მოსწავლეებსა და მასწავლებლებსათვის ჯანსაღი გარემო პირობების შექმნასთან, რითაც უზრუნველყოფილი იქნა მათი დასწრების მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა⁹⁹.

4. ტექნოლოგიები სატრანსპორტო სექტორისათვის

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ციკლი შეიცავს: სეპარაცია/პირველადი დამუშავებას პროცესებს ჭაბურღილის პირზე, წნევით დაჭირხენას (კომპრესიას), და მილსადენებით ტრანსპორტირებას საბოლოო მომხმარებელამდე ან შესანახ საშუალებებამდე (ნახაზი 4.14).

გაზის ტრანსპორტირების უსაფრთხო და საიმედო ტრანსპორტირების ხელშემწყობი თანამედროვე ტექნოლოგიები შემდეგია:

- ⇒ მაღალ ეფექტური კომპრესორები;
- ⇒ გაზსადენის ინსპექტირების თანამედროვე საშუალებები (რობოტები, ჩამონტაჟებული სენსორები, ხმოვანი სიგნალები (ტალღები), ელექტრომაგნიტური პულსატორები, მიკროტალღური რადარები და თერმული ვისუაღისატორები);
- ⇒ მილების იზოლაციის, შეფუთვის, სედლების და კათოდური დაცვის თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ⇒ გაზგამანაწილებელი ქსელების ოპტიმიზაციის სისტემები;
- ⇒ გაზის გაუონვის მობილური დეტექტორები და სხვა.

მილსადენის ურღვევობის კონტროლი

საერთაშორისო პრაქტიკაში, ფართოდ არის დანერგილი მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისი მილსადენის ურღვევობის შემოწმების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები^{100,101,102}, როგორცაა: წნევით გამოცდა, მილის-შიგა ინსპექტირება და ა.შ. თითოეული ეს ტექნოლოგია განსაკუთრებული დანიშნულებისაა და ამავე დროს აქვს შესულებული გამოყენების არე¹⁰³.

მოქმედი მილსადენების ურღვევობის კონტროლის ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდი, მდგომარეობის პირველადი შეფასებისათვის იყენებს მაგნიტური ნაკადის გაუონვის ტექნოლოგიას (MFL). დამატებით, მილსადენის მდგომარეობის სრული სურათის მისაღებად, სატიროების შემთხვევაში დამატებით ტარდება მილის-შიგა ინსპექცია (ILI), სწორად

⁹⁹ Fueling the Future. Natural gas and new technologies for a cleaner 21st Century, Technical report prepared by Washington Policy and Analysis, Inc., February 2000, Washington, DC

¹⁰⁰ ASME B31.8 – Managing System Integrity in Gas Pipelines, American Society of Mechanical Engineers, B31.8S, 2001

¹⁰¹ API 1160 – Managing Pipeline System Integrity, American Petroleum Institute, Product No. D11601

¹⁰² Code of Federal Regulations, 49 CFR Parts 186 - 199

¹⁰³ H. Vietz, A. Beavera, Integrity-verification methods support US efforts in pipeline safety, O&G Journal, Dec.16, 2002

მიიწვევს ხაზის შემოწმების (ILI), ინერციული და ულტრაბგერითი ინსტრუმენტებისა და სხვა ტექნოლოგიურ სიახლეებს გამოიყენებით.

ცხრილი 4.1 მოცემულია მილსადენის ურღვევობის კონტროლის ექველასე გაერკველებული და ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები¹⁰⁴, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებიან. MFL ტექნოლოგიის საშუალებით, მაგალითად, ყასდებდა ფოლადის დანაკარგი მილის კედლის მიერ, მისი თვისებების ცვლილება და სტანდარტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. განივი ველების შემოწმების (TFI) ინსტრუმენტი ისეთ ანომალიებს აღმოაჩენს, როგორცაა განივი შენადუნის ბზარი და კოროზია¹⁰⁵. ILI და SCC-ის (დამაბული კოროზიული ბზარის დეტექტორი) ტექნოლოგიები გამოიყენება მილსადენის სისქის შემოწმების მარტივი მეთოდების ნაცვლად და აფუქსირებენ არა მარტა კედლის სისქე, არამედ კოროზიის კერებსა და ბზარებსაც¹⁰⁶.

თითოეული ეს ტექნოლოგია მაშინ იქნება მაქსიმალური სარგებლით გამოიყენებელი, როცა სწორად იქნება შეჩვენული დახინების სახისა და ხარისხისაგან დამოკიდებულებით. კერძოდ, ILI-ის და SCC-ის ინსტრუმენტები რეკომენდირებულა უპირატესად ლითონის დანაკარგის, კედლის სისქის გასომების, გაბზარების, გეომეტრული სომების, მრუდახაზოვანი უბნის მოღუნვის რადიუსის, მილის წანაცვლებისა და პროფილის შესამოწმებლად¹⁰⁷. ეს ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენებს ე.წ. "ინტელექტუალურ (ან ჰეკიან) გოჭს" (ნახაზი 4.15), რომელიც მილსადენის შიგნით მოძრაე რთულ ტექნოლოგიურ მოწყობილობას წარმოადგენს და მრავალფეროვანი შემოწმებისა და გასომების, აგრეთვე შიდა გაწმენდის, პარაფინის მოცილების, ორმხრივი პიდროსტატიკური ტესტირების სამუშაოთა ჩატარების საშუალებას იძლევა¹⁰⁸.

ცხრილი 4.1. მილსადენის ურღვევობის შეფასების ტექნოლოგიები

ტექნოლოგია	მეთოდები, ინსტრუმენტი, ტექნიკა	
1	ვიზუალური შემოწმება	
2	დანაფარის ხიდრმის კვლევა	
3	გარეგანი ურღვევი გამოცდა (NDT)	- რადიოლოგია - მაგნეტური ნაწილაკებით - გამჭოლი - ულტრაბგერითი
	კათოდური დაცვის შემოწმება	
5	დანაფარის ურღვევობის და დახინების ხარისხის შეფასება	
6	პიდროსტატიკური გამოცდა	
7	გეომეტრიულ სომების მილის-შიდა ინსპექცია (ILI)	- კედლის სისქის მსომი გოჭი - x,y,z კოორდინატების მსომი ინსტრუმენტი
8	ლითონის დანაკარგის შეფასება (ILI)	- მვეულბრთვი მაგნიტური ნაკადი - მაღალი სიმკვევრის გამჭოლი მაგნიტური ნაკადი (MFL) - განივი ველების შემოწმება (TFI) - ულტრაბგერითი კონტროლი
9	კოროზიული ბზარების კვლევა (SCC)	

¹⁰⁴ M. Mohitpour, M. McManus, B. Trefancko. Pipeline rehab responding to regulatory pressures, technological advances. O&G Journal, Jan. 20, 2003
¹⁰⁵ Ed. Vasinko, H. Patrick, D. Dean, G. Phil, D. Troy. "Platte TFL Program: Innovative Solutions to Hydrostatic Testing". ASME IPC 2000 Conference Calgary, Oct 1-5, 2002
¹⁰⁶ E. Holdea. The changing role of inspection, PII Publication: http://www.pii.org.uk/reference_library/papers, 1997
¹⁰⁷ N. Uzelac, In-Li. "Inspection Tool to Achieve Pipeline Integrity", Ist Internat Conference on Pipeline Reliability, PIcon Publication, Mar. 13, 2000. <http://www.nrcan.gc.ca/mms/picon-e.htm>
¹⁰⁸ catalogue of pigs manufactured by GD Engineering

შეკეთება/ადგენის ტექნოლოგიები¹⁰⁹

მილსადენის შეკეთება და რეაბილიტაცია ტრადიციულად ტარდებოდა დასიანებულ უბნის დროებით შემოშვებით ხაზის ან მექანიკური მანქანის მონტაჟით ან დაფარვით, ან სისტემის გამოთვლა. შეთანხმებულ პერიოდში შეიქმნა მილსადენების რეაბილიტაციის ახალი, უფრო თანამედროვე ტექნოლოგიები და მასალები. მაგალითად, ეპოქსიდის ნარკვით ადგენებით დასიანებული უბნები ფართოდ გამოიყენება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ხოლო 90-იანი წლები არის უფრო სრულყოფილი საფარებისა და რემონტის მეთოდების განვითარების ხანა. ისეთი უპირატესობები, როგორებიცაა ეკონომიკური მიზანშეწონილობა, უსაფრთხოება, ანტიკოროზიული თვისებები და ადგილზე რემონტის ჩატარების შესაძლებლობა მათი პოპულარობის მიზეზი გახდა.

მუდმივი რემონტების საჭიროება სოგიერთი კოროზიული და მექანიკური დეფექტებისათვის ახლა უკვე ტარდება შედუღებისა და მილსადენის დასიანებული სეგმენტის ამოჭრის გარეშე. ეს ზრდის უსაფრთხოებასა და მნიშვნელოვნად ამცირებს ეკოლოგიურ რისკს. ამ ტექნოლოგიების დეტალური გაცნობა შესაძლებელია სპეციალურ ტექნიკურ ლიტერატურაში¹¹⁰.

დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფართოდ გამოიყენება მიწისქვეშა მილსადენების შეკეთების სხვადასხვა არათხრადი (No-Dig) ტექნოლოგია^{111,112,113,114}. ასეთი ტექნოლოგიები მოქნილია (გამოიყენებს მობილურ მოწყობილობას ადგილზეზე სამუშაოდ), სწრაფი ადგენის შესაძლებლობას იძლევა და ზომიერი ფასებით გამოირჩევა, განსაკუთრებით დასახლებულ ადგილებში განლაგებული მილსადენი სისტემების ადგენის დროს. ტიპური არათხრადი ტექნოლოგია ითვალისწინებს: არსებული მილების 2 ბოლოს გაშიშვლებას, თხრილის მომზადებას სარემონტო პიდრაველიკური მოწყობილობის განთავსებისათვის, ამონაგის (სხვადასხვა, ძირითადად პოლიმერული მასალისაგან დამზადებული) ძალისმიერ შეყვანას ფოლადის შტანგების მეშვეობით მილსადენის დასიანებულ უბანში, წვეთით დაჭიმვას და შეერთებას არსებულ ან უკვე ადგენილი მილსადენის მიმდებარე სეგმენტებთან.

დასიანებული მილსადენების შეკეთების სოგიერთი ტრადიციული და თანამედროვე შეკეთების შედარებით იაფი, უსაფრთხო, სწრაფი და ეკოლოგიურად მისაღები მეთოდი, აღწერილია ქვემოთ:

- ზედაპირის დამუშავება აბრაზივით კოროზიის პირველადი წარმონაქმნების, საწყისი ბზარებისა და დანაშრეგების, სხვა მცირე დასიანების წერტილების მოცილების და გლუვი სუდაპირის მიღების საშუალებას იძლევა. ეს მეთოდი არ მოითხოვს რთული მოწყობილობის გამოყენებას, მაგრამ უზრუნველყოფს დაძაბულობის საწყისი კერების ეფექტურ ამოფხვრას.
- მიღების გადალაგება ანუ ჩაჭრა ითვალისწინებს მილსადენის დასიანებული უბნების ახლით შეცვლას. ეს მილსადენის ადგენის მარტივი, მაგრამ ყველაზე ძვირადღირებული მეთოდი, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში იქნება მიღებული გარემოსე მიყენებული სიანი, გასის დანაკარგი და მიწოდების დროებითი შეწყვეტა მომხმარებლისათვის.
- დასიანებული მილის სეგმენტის გადაჭრა, ბოლოების დახშობა და შემომღებები უბნის (ლუპინგის) დამონტაჟება საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვნად შემცირდეს ადგენითი სამუშაოების ხანგრძლივობა და დანახარჯები. თუმცა, ეს ტექნოლოგია მაინც საკმაოდ ძვირადღირებულია, რადგან მოითხოვს დიდი მოცულობის სამონტაჟო სამუშაოს შესრულებას საველე პირობებში.

¹⁰⁹ M. Mohipltour, M.McManus, B.Trefanenko. Pipeline rehab responding to regulatory pressures, technological advances. O&G Journal, Jan-20, 2003


¹¹⁰ J.Keffner, W.Bruce, D.Stephens, Pipeline Repair Manual, PRCI Catalog L-51716, 1994

¹¹¹ No-dig Pipeline Rehabilitation, Per Aarstef A/S Pipe Technologies, www.aarstef.com


¹¹² Hydraulic Pipebursters, Scandinavian No-dig Centre, www.no-dig.dk

¹¹³ Tight-Fitting liners for pressure pipelines, Swage Lining, www.Swagelining.com


¹¹⁴ Uponor-en steerk partner inden for opgravingsfri rørreovering, Uponor A/S, www.uponor.dk




ნახ. 4.9. გაზის ტურბინა
 Figure 4.9. Gas turbine




ნახ. 4.10. კომბინირებული ციკლის გაზტურბინული სისტემის ბლოკ-სქემა
 Figure 4.10. Combined-Cycle Gas Turbine system flow diagram




ნახ. 4.11. ნახშირ-კონვერსიის ტექნოლოგიები
 Figure 4.11. Natural Gas Conversions




ნახ. 4.12. სინთეზური გაზის უკონვერსიის სადგომის რეაქციო ბლოკ-სქემა
 Figure 4.12. Indicative synthesis gas utilization flowchart



பெரிய அளவுகளில் மீத்தனால் தயாரிக்கப்பட்டுள்ள பல்வேறு பொருள்களின் உற்பத்தி
Figure 4.13. Production of various products based on methanol.



பெரிய அளவுகளில் மீத்தனால் தயாரிக்கப்பட்டுள்ள பல்வேறு பொருள்களின் உற்பத்தி
Figure 4.14. NG transportation chain



ნახ. 4.15. მობილური მონაცემების (ქვეყანი გოჭი) მილსადენის გამოცდისთვის
Figure 4.15. A Typical Pipeline Intelligent Pig

- ებოქსიდის ნარევის გამოყენება მილსადენის შეკეთებისათვის შედარებით ახალი მეთოდია. ტექნოლოგია ითვალისწინებს ორსექციიანი, გადასახსნელი ქუროების მეშვეობით დაზიანებული მილის სეგმენტის გარე ზედაიორზე ფოლადის პურანგის დამაგრებას, რომლის სიციარიელე შეივსება მაღალი სიმტკიცის ებოქსიდის კომპოზიტით. ეს ტექნოლოგია უსრუნველყოფს დაზიანებული ადგილების საიმედო იზოლირებას, მათ შორის მნიშვნელოვანი შიგა წნევებისა და ციკლური დატვირთვის პირობებში.
- ნავთობ-ქურთყობით (the Petro-Sleeve) შეკეთების ტექნოლოგია უსრუნველყოფს ანომალური (პოტენციური დაზიანების) უბნების, როგორცაა კრეკინგ-კოროზიის უბნები, მიკროდრამულები, ქარხნული დამუშავების დეფექტების წერტილები, უწყვეტ აღდგენას მილსადენის ფუნქციონირების შეწყვეტის გარეშე. ტექნოლოგია უსრუნველყოფს დაძაბულობის შემცირებას ფოლადში დაზიანებული უბნის მიმდებარე ზონებში და ხელს უშლის დეფექტის შემდგომ განვითარებას, რაც საბოლოოდ გამოირიცხავს მილსადენის გამჭოლი დაზიანების შესაძლებლობას.
- ძლიერი უკუხეხვის სისტემა შედგება საკუთრივ დატვირთვის მიმღები და დამცავი სახეევი მასალისაგან, რომელიც დამზადებულია უნიკალური ებოქსიდური პოლიმერის და მზიდი შემადგენელის ბაზაზე. ეს ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სველი ზედაპირის, მათ შორის წყალქვეშა მილსადენების შესაკეთებლადაც, თუმცა იგი ეფექტურია მხოლოდ მცირე კოროზიული და მექანიკური დაზიანების ზონების აღდგენისათვის.
- მილის შეკეთების “შეჯავნული ფიფიტი” სახეევი სისტემა გამოიყენებს ბოჭკოვანი მინისა (fibreglass) და ებოქსიდის მრავალმიზნობრივი შუშის ებოქსიდის ნარევით დამზადებულ სახეეებს და დამჭურ (სამაგრ) აგენტს. ეს ტექნოლოგია აგრეთვე გათვალისწინებულია შედარებით უმნიშვნელო კოროზიული ან მექანიკური დაზიანების აღმოსაფხვრელად.

5. პარტნიორი ქვეყნების ბუნებრივი აირის სექტორის მოკლე მიმოხილვა და შესაძლო განვითარება

5. 1. სომხეთი

5. 1. 1. ბუნებრივი აირის სექტორის მოკლე მიმოხილვა

ბუნებრივი გაზის მიწოდება სომხეთში გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. დასაწყისში სომხეთი გაზს ახერბაიჯანიდან იღებდა, 1972 წლიდან კი – ირანიდანაც. გაზის ახალი საბადოების აღმოჩენისა და მილსადენების ქსელის განვითარების შემდეგ სომხეთმა გაზის მიღება დაიწყო საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდანაც.

გაზის იმპორტი ახერბაიჯანიდან ხორციელდებოდა ძირითადად სამი მილსადენით: ყაზახი (ასერბაიჯანი) – იჯუვან-ურევანი (მილსადენის დიამეტრით 1000 მმ), წითელი ხიდი (საქართველო) – ალავერდი-ვანაძორი-გიუმრი (700 მმ), ევლახი (ასერბაიჯანი) სტეფანაკერტი-გორისი-სისიანი-ჩახტუვანი-არარატი (700 მმ).

1993 წელს დასრულდა ტრანსკავკასიური გაზსადენი მაგისტრალის მშენებლობა (1000-1400 მმ), რის შემდეგ სომხეთი გაზს მხოლოდ რუსეთიდან იღებს.

სომხეთის გაზის მიწოდების სისტემა შედგება მაგისტრალური და გამანაწილებელი მილსადენების წარული ქსელებისაგან, რომლებშიც ჩართულია გაზის შენახვის, გასომვის, კონტროლისა და რეგულირების სხვადასხვა საშუალებები.

სომხეთის მაღალწნევიანი (12-55 ბარი) სატრანსპორტი მაგისტრალური მილსადენები (დიამეტრი 273-1200 მმ) დაახლოებით 2000 კმ სიგრძისაა. მილსადენი შეიცავს 67 გამანაწილებელ პუნქტს და 139 კოროზიისაგან დამცვე სადგურს. სისტემა ქმნის ორ წრიულ ქსელს: ჩრდილოეთით – აირუმი-ბერდი-სევანი-ვანაძორი-ალავერდი-აირუმი და დასავლეთით – სევანი-პრადანი-ურევანი-ოქტომბერიანი-გიუმრი-ვანაძორი-დიდივანი-სევანი. სისტემას შეუძლია უზრუნველყოს წლიურად 10 მლრდ მ³ გაზის მიღება და განაწილება.

გაზის განაწილება სომხეთში წარმოებს:

⇒ მაღალ წნევის გამანაწილებელი ქსელით (სიგრძე 558 კმ, დიამეტრი 50-500 მმ, ნომინალური წნევა - 6-12 ბარი);

⇒ საშუალო-წნევის გამანაწილებელი ქსელით (სიგრძე 2656 კმ, დიამეტრი 50-500 მმ, ნომინალური წნევა - 0,05-6,0 ბარი);

⇒ დაბალწნევიანი გამანაწილებელი ქსელით რომელიც მილსადენების (მთლიანი სიგრძე 6041 კმ) გარდა შეიცავს 1797 გამანაწილებელ პუნქტს და 854 კოროზიისაგან დამცვე სადგურს.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სომხეთს აქონდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი გაზიფიკაციის დონე (83%). გაზი 1991 წლამდე მიწოდებოდა 42 ქალაქის 280 ათას მომხმარებელს, 2000-ზე მეტ საწარმოო და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების ობიექტსა და 500 საკვებებს. 2000 წლისათვის აღდგენილია გამანაწილებელი სისტემის 45% და გაზი მიწოდება მოსახლეობის 20%-ზე მეტს.

1997 წლამდე გაზის მიწოდება/განაწილების საქმიანობას სომხეთში სახელმწიფო საწარმო – არმგაზპროში ხელმძღვანელობდა

1997 წელს სომხეთის რესპუბლიკის ენერჯეტიკის სამინისტრომ (45% წილი), რუსეთის გაზპრომმა (45%) და ობერამ (10%) დააარსეს ერთობლივი საწარმო "არმრუსგაზი". სომხეთის მხარემ ინვესტიციების საკუთარი წილის სანაცვლოდ ერთობლივ საწარმოში გააერთიანა გაზმომარაგების სისტემა მთლიანად მილსადენების, გამანაწილებელი სადგურების და მიწისქვეშა გაზსაცავების ჩათვლით. არმრუსგაზი ამჟამად სომხეთის ბაზარზე აწარმოებს გაზის მონოპოლურ იმპორტს, გადაცემას, განაწილებასა და კომერციულიზაციას.

სომხეთის ენერგეტიკის კანონის თანახმად, ენერჯის მარეგულირებელი კომისიას მიიჭებუდა აქვს უფლება, დაადგინოს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ბიზნეს-ურთიერთობების რეგულირების რეგლამენტი და ინსტრუქციები.

ურითიერთობები გაზის სექტორის ობიექტებს შორის განსაზღვრულია ლიცენზირების სათანადო ინსტრუქციების მიხედვით, ენერგეტიკის კანონის 23-ე და 32-ე მუხლების შესაბამისად.

დამოკიდებულებები გაზის კომპანიებსა და სხვადასხვა მომხმარებელს შორის რეგულირდება „ბუნებრივი გაზის გამოყენების წესებით“ (მოთაგობის დადგენილება № 529, 2001 წლის 25 ივნისი). გაზის სექტორის მომხმარებლები ფიზიკური და იურიდიული პირები არიან, რომლებიც დებენ კონტრაქტებს კომპანიებიდან გაზის მიწოდების შესახებ და აქვთ შესაბამისი აღჭურვილობა, რომლებიც უზრუნველყოფენ გაზის მიღებას მოქმედი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმწიფო სატარიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ასევე განსაზღვრულია ენერგეტიკის კანონით. ენერჯის მარეგულირებელი კომისიის მე-17 მუხლის მიხედვით იგი ადგენს მაქსიმალურ (ხელშეწყობილი) ტარიფებს მიწოდებასა და განაწილებაზე, ელექტრობაზე, სითბოსა და ბუნებრივ გაზზე, ბუნებრივი გაზის იმპორტზე, ასევე ენერგეტიკული ინსტრუქციების მომსახურების სხვადასხვა სახეობებზე.

5. 1. 2 ბუნებრივი აირის სექტორის განვითარება

დღესდღეობით სომხეთი ტრანსკავკასიური მაგისტრალური მილსადენით გასითრუსეთიდან მარაგდება საქართველოს გავლით. ეს ერთადერთი მოქმედი ხაზია სომხეთში გაზის იმპორტისათვის. 2003 წელს სომხეთი სასაზღვრო ზოლზე გაზს ყიდულობდა \$53/1000მ³ ფასად, რაც უფრო ნაკლებია ვიდრე სხვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიწოდების ფასი, მაგრამ დაახლოებით ექვივალენტურია რუსეთის მიერ ევროპის ქვეყნებში გაზის მიწოდების ღირებულებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით (ტრანსპორტირების მანძილისა და სავალდებულო გადასახადების გათვალისწინებით სატრანსპორტო ქვეყნების ტერიტორიების გავლისას).

გაზის გაზომვის შემდეგ ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე კოლში იგი 1020 მმ-იანი ხაზით მიემართება ბენტონიტისაკენ, შემდეგ კი სევანის გავლით მიწოდება რასდანის რეგიონს. რასდანიდან ქსელი 720 მმ მილსადენებით გრძელდება ერევის რეგიონამდე აბოვიანის მიწისქვეშა გაზსაცავის მიმართულებით, რომელიც მდებარეობს ერევიდან 20 კმ-ის დაშორებით.

მაგისტრალური გაზსადენიდან გაზი მიწოდება სომხეთის ცენტრალურ და დასავლეთ, და ჩრდილოეთ რეგიონებს წრიული ქსელებით, აგრეთვე ცალკეულ ქალაქებსა და ნახსენებულ პუნქტებს მცირე ზომის განშტოებებით.

სამხედრო კონფლიქტებამდე სომხეთის სამხრეთი ნაწილი გასითრუსეთიდან მარაგდებოდა, ყარაბაღის გავლით და, თავის მხრივ, მიწოდებდა გაზს აზერბაიჯანიდან ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას. დღეისათვის ეს გაზსადენები შეწყობრიდან არის გამოსული და სამხრეთ სომხეთის გასომარაგებისათვის დამონტაჟებულია ახალი, ჯერმეისისა და ვარდენისის დამაკავშირებელი 500 მმ-იანი გაზსადენი.

2004 წელს სომხეთსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება ახალი მილსადენის მშენებლობასა და ირანიდან გაზის ექსპორტის დაწყების შესახებ 2006 წლიდან.

მშენებლობის პირველი ეტაპი ითვალისწინებს 100 კმ სიგრძის მაგისტრალის ირანის ტერიტორიაზე და 41 კმ სიგრძის მაგისტრალის სომხეთის ტერიტორიაზე აშენებას. მშენებლობის ღირებულება ირანის ტერიტორიაზე დაახლოებით 120 მლნ აშშ დოლარია, ხოლო სომხეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 90 მლნ აშშ დოლარი. ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე ეს მილსადენი ირანიდან წლიურად 1.1 მლრდ მ³ გაზს მიაწვდის, სომხეთიდან ელექტროენერჯის მიღების სანაცვლოდ (გაზის მიწოდების წინასწარ შეთანხმებული ფასი

84 \$/1000 მპ შეადგენდა. შემდგომში დაგეგმილია გაზის მიწოდების მოცულობის სრულად წელიწადში 2 მლრდ მპ-მდე.

მილსადენის მშენებლობის პარალელურად, მიწისქვეშა გასაცავის სიმძლავრეთა დაგეგმილი აღდგენა მნიშვნელოვანწილად აამართლებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას. მას შეუძლია ასევე შეზღუდოს გაზის ზოგიერთი მიმწოდებლის მონაპოვია სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ბაზარზე.

ამ მილსადენით გაზის მიწოდება მესამე ქვეყნებისათვის ჯერ-ჯერობით არ არის ოფიციალურად გაცხადებული. თუმცა, იგი შეიძლება დაგრძელდეს საქართველომდე. ამ შემთხვევაში მისი სიგრძე 550 კმ-მდე გაიზრდება და შესაძლებლობა ექნება წელიწადში 4.5 მლრდ მპ გაზი გაატაროს. ასეთი მაგისტრალის მშენებლობის ღირებულება დაახლოებით 306 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

შესაძლოა, რომ მილსადენი დაგრძელდეს აგრეთვე შავი ზღვის გავლით უკრაინამდე. 2002 წელს, კიევის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა “ენიპტრანსგას” მოამზადა გაზსადენის მშენებლობის ბიზნეს-გეგმა მარშრუტით ირანი-სომხეთი-საქართველო-უკრაინა-ევროპა 550 კილომეტრიანი ხაზით შავი ზღვის ფსკერზე საქართველოს პორტ სუფსადან ყირიმის ქალაქ ფეოდოსიამდე. პროექტი შეფასებულია 5 მილიარდ აშშ დოლარად. მილსადენის მაქსიმალურ მწარმოებლობად განისაზღვრა 60 მლრდმპ წელიწადში, მათ შორის უკრაინისათვის წელიწადში 10 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდებით.

5. 1. 3. ბუნებრივი აირის მოხმარება

საბჭოთა პერიოდში გაზის მოხმარების დონე სომხეთში შედარებით მაღალი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. მოხმარებამ პიკს მიაღწია 1989 წელს (6.3 მლრდ მპ). 1991-1993 წლებიდან დაიწყო გაზის იმპორტის შემცირება. 2001 წელს გაზის იმპორტმა 1.4 მლრდ მპ შეადგინა.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია გაზის მოხმარების ყველა სფეროში, რაც განპირობებულია მიწოდების ფასების ზრდითა და გაზის იმპორტის 4-ჯერ შემცირებით. გაზის მოხმარება შემცირდა 1.8-ჯერ ელექტროენერგეტიკის სფეროში და 13-ჯერ კომუნალურ (კომერციულ) სექტორში 1990 წლის დონესთან შედარებით.

გაზი სომხეთში ენერჯის ერთ-ერთ ძირითად პირველ წყაროდ არის მიჩნეული. სათბობის ჯამურ სტრუქტურაში (მსუბუქი ნაეთობპროდუქტების გაუთვალისწინებლად) გაზის ხვედრითი წილი ამჟამად დაახლოებით 90%-ს შეადგენს.

ამჟამად, გაზის ძირითადი მოხმარებლები სომხეთში არიან: ელექტროსექტორი – 65-70%; კომუნალური სექტორი – 10-12%; ინდუსტრიული (ძირითადად სამთო წარმოება და მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა და საამაშენებლო მასალების წარმოება) სექტორი – 3-3.2%; გაზის გასართობი სადგურები სატრანსპორტო საშუალებებისათვის – 1.8-2%.

ელექტრული სექტორის განვითარება სომხეთში ძირითადად დამოკიდებულია გაზის მოხმარებაზე. ბოლო წლების განმავლობაში გაზის საშუალებით გენერირებული ელექტროენერჯის წილმა დაახლოებით 45-50 % შეადგინა. სომხეთის ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების გეგმით, ატომური ენერგეტიკის გარეშე, თბოელექტროსადგურებში გაზის წილი წარმოებული ელექტროენერჯის წილი მთლიანი მოხმარების 75-80%-ის დონეზეა დაგეგმილი.

სტაბილური და რეგულარული გაზის მიწოდება სომხეთის ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტიაა, რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს:

- გაზის მოწოდების წყაროების გამრავალფეროვნებით – ევროდ, ირან-სომხეთის გაზის მილსადენის მშენებლობით;
- აბოვიანის მიწისქვეშა გასაცავის რეაბილიტაციითა და აქტიური მოცულობების გაზრდით 220-240 მლნ მპ-მდე;

- ელექტროენერჯის წარმოების ხერხების გამრავალფეროვნებით (ატომური, თბური და ჰიდროენერგეტიკული სექტორების განვითარება, ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენების გაფართოება).

(ცხრილი 5.1. გაზის მოხმარების პროგნოზი, მლნ მ³/წ

	2000	2005	2010	2015	2020
სომხეთი	1373	1880	2270	2450/2720*	2600/3250*

* მნიშვნელში ენერჯის სექტორის განვითარების გეგმა ატომური ენერჯეტიკის გარეშე, მრიცხველში – ატომური ენერჯის განვითარებასთან ერთად.

5. 1. 4. ბუნებრივი აირის საცავი

18 რესერვუარისაგან შედგენილი აბოვიანის მიწისქვეშა გაზსაცავი შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით ხასიათდება:

- ⇒ გეომეტრიული მოცულობა 1,735 მლნ მ³;
- ⇒ მაქსიმალური წნევა 125 ბარი, ბუფერული წნევა 25 ბარი;
- ⇒ შესანახი გაზის ნომინალური მოცულობა 220 მლნ მ³;
- ⇒ გაზის დატვირთვითი სასარგებლო (აქტიური) მოცულობა 180 მლნ მ³.

ამჟამად აბოვიანის მიწისქვეშა გაზსაცავის აქტიური მოცულობა დაახლოებით 90-100 მლნ მ³ –ს შეადგენს.



5. 1. 5. ბუნებრივი აირის მოხმარების ზოგიერთი პერსპექტიული ტექნოლოგია

დაბალწნევიანის ნაცვლად საშუალო წნევის გამანაწილებელი ქსელების გამოყენება ერთ-ერთ ეფექტურ ტექნიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტაა, რომელიც დანერგულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზგამანაწილებელ სისტემებში. ექსპლუატაციის საიმედოობა, შედარებით მცირე ღირებულების მიღსადენები და გაზის საჭირო წნევითა და რაოდენობით მიწოდების პირობების გაუმჯობესება, ის ფაქტორებია, რომლებიც ამ ტექნოლოგიის ფართო განვითარების პერსპექტივებს სახავს სომხეთსა და მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ეს ტექნოლოგია განსაკუთრებით ეფექტურია დიდი ქალაქებისათვის, სადაც დიდი რაოდენობის საშუალო და დაბალი წნევის მიღსადენები და წნევის დამწვეი სადგურებია განლაგებული გაზის მომხმარებელთა მისაწოდებლად.

დღეისათვის პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება პლასტიკური მილგები, რომელთაც აქვთ მრავალი უპირატესობა ლითონის მილგებთან შედარებით:

- ⇒ მათი ექსპლუატაციის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 50 წელიწადს, მაშინ როდესაც ლითონის მილსადენების ხანმედგობა მაქსიმუმ 40 წელს შეადგენს (კოროზიული დაცვის სისტემის მუშაობის დროს);
- ⇒ დაბალი სამონტაჟო დანახარჯები, რადგან არ საჭიროებენ იზოლაციას, დიდი ენერჯის მომხმარებელ შედარებებს, ელექტრო-ქიმიური კოროზიისაგან დაცვას;
- ⇒ დაბალი საოპერაციო ღირებულება;
- ⇒ დიდი გამტარუნარიანობა მიღსადენების კედლების დაბალი სიმკისის გამო;
- ⇒ უფრო მაღალი კოროზიული ცვეთამდგობა და სხვადასხვა მოხვედრის რადიუსით დამონტაჟების შესაძლებლობა;
- ⇒ შედუღების შესაძლებლობა დაბალ ტემპერატურაზე.

გარდა ამისა, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ტექნოლოგიებს, როგორცაა: გაზის დანაკარგების შემცირება გამანაწილებელ ქსელში, მართვის ავტომატური სისტემის (ACS) ამოქმედება და ენერჯის დაზოგვის ღონისძიებების დანერგვა, როგორცაა შენობების თბური იზოლაცია, გაზის აღრიცხვიანობის მოწესრიგება და ა.შ.

გაზის ემისია არის გარემოზე მანევრული შემოქმედების ძირითადი ფაქტორი. კლიმატის შეცვლას განსაკუთრებით აქტიურად უწყობს ხელს მეთანი, რომლის როლი თბური ენერჯის ინდუსტრიაში 21-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ნახშირბადის ორჟანგის. 2001 წელს მეთანის ემისია სომხეთის გაზსადენებიდან გაუტოლდა 67000000 მ³-ს (48.24 ათასი ტონა), რაც დაახლოებით 1013 ათასი ტონა CO₂-ს ეკვივალენტია. 2020 წელს მეთანის ემისიამ სომხეთში შეიძლება მიაღწიოს 112 ათას ტონას (2352 ათასი ტონა CO₂-ს ეკვივალენტით). ქვეყანა გეგმავს სპეციალურ ღონისძიებებს მეთანის ემისიის შესამცირებლად, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ენერჯის დაზოგვასა და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებაში.

5. 2. აზერბაიჯანი

5. 2. 1 ბუნებრივი აირის სექტორის მოკლე მიმოხილვა

აზერბაიჯანის გაზის სექტორი შედარებით ხანგრძლივ ისტორიას ითვლის. გაზს აყვურაინის ნახევარკუნძულის საწარმოებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში იყენებდნენ.

შემდგომში გაზის მოხმარება სწრაფად გაიზარდა საყოფაცხოვრებო სექტორშიც, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ვითარდებოდა აგრეთვე მაგისტრალური მილსადენების ქსელიც, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც აზერბაიჯანის, ისე მეზობელი საქართველოსა და სომხეთის მომარაგებას ირანიდან და რუსეთიდან ექსპორტირებული გაზით.

90-იანი წლების დასაწყისში, აზერბაიჯანის სოფლებისა და ქალაქების 85% მარაგდებოდა ბუნებრივი გაზით. 1991 წელს გაზის საერთო მოხმარებამ ქვეყანაში შეადგინა დაახლოებით 17 მლრდ მ³, რომელიც ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

- ⇒ ელექტროენერჯის წარმოება - 5.5. მლრდ მ³;
- ⇒ სამრეწველო მომხმარებლები - 6.0 მლრდ მ³;
- ⇒ კომუნალური მომხმარებლები, ცენტრალური გათბობის სისტემების ჩათვლით - 3.1 მლრდ მ³;
- ⇒ საყოფაცხოვრებო სექტორი - 2.4 მლრდ მ³.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში რეგიონული კონფლიქტების გამო გაზის იმპორტი შექერდა, ადგილობრივი წარმოება კი მკვეთრად შემცირდა და აღარ იყო ხელმისაწვდომი საქმარისი რაოდენობის გასი, რათა დაკმაყოფილებულიყო ყველა მომხმარებლის მოთხოვნა.

ამჟამად გაზი აზერბაიჯანში რუსეთიდან ექსპორტირდება (დაახლოებით 4-6 მლრდ მ³ წელიწადში), რომელიც ძირითადად გამოიყენება ალი ბაირამლის და მინგეჩაურის თბოელექტროსადგურებში.

გაზის ბაზარი ბაქოსა და აფშერონის რეგიონში, აგრეთვე მიწისქვეშა გაზსაცავის მოცულობები ყარაღაღში და კალმასში (ზაფხულობით), მარაგდება ადგილობრივი წარმოების გაზით (დაახლოებით 4.5-5.5 მლრდ მ³/წ). 2005-2006 წლებში ქვეყანა მიიღეს გაზის დამატებით რაოდენობას შაჰ-დენიზის გაზისა და ასერი-ჩირაღ-გიუნეშლის ნაეთობ-შემცველი ველებიდან.

აზერბაიჯანი მომდევნო წლებში გეგმავეს გაზის წლიური წარმოების 24-30 მლრდ მ³-მდე გაზრდას. უკვე ექსპლუატაციაში შესული ნავთობისა და გაზის საბადოების და გაზის უკვე მოძიებულის საბადოების საერთო პოტენციალი (იხ. ნაწილი 1), უსრუნველყოფის დაახლოებით 16-20 მლრდ მ³ გაზის პოტენციურ ექსპორტს ახლო მომავალში.

2002 წლის ბოლოს გაზის მოხმარება აზერბაიჯანში შეადგენდა დაახლოებით 29.3 მლნ მ³-ს, მათ შორის ბაქოს საყოფაცხოვრებო სექტორში – 19.3 მლრდ მ³, ელექტროენერგეტიკის სექტორში – 14.0 მლრდ მ³, სამრეწველო სექტორში – 2.0 მლრდ მ³ და რეგიონული გაზის მომხმარებლის მიერ – 4.0 მლრდ მ³.

5. 2. 2. მალაღწნეიანი სატრანსპორტო მილსადენები

აზერბაიჯანის ძირითადი მაგისტრალური გაზსადენები ნაჩვენებია ნახაზზე 5.2. გაზსადენები რუსეთის საზღვრიდან კასი მაომედამდე, კასი მაომედიდან საქართველოს საზღვრებამდე და ალთი აგაიმიდან აქსუმდე აშენებული იყო 1982-1986 წლებში.

„იქეკლი“ 1000 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენები კასი მაომედიდან საქართველოს საზღვრამდე, რომელთანაც დაკავშირებულია მილსადენის ყველა რეგიონული განშტოება, ახლა მხოლოდ რეგიონული გაზმომარაგების ფუნქციის შესასრულებლად არის გამოყენებული.

მაგისტრალურ სისტემებში ჩართულია 5 საკომპრესორო სადგური: შირვანოეკაში, სიაზანში, კასი მაომედში, აგდაში და ყახახში. ეს სადგურები არ ფუნქციონირებს 1994 წლის შემდეგ, როდესაც შეწყდა გაზის მიწოდება რუსეთიდან.

მოგვიანებით გაზი მიეწოდება არსებულ და მშენებარე თბოელექტროსადგურებს ახალი მილსადენით ყარადაღის რეგიონიდან. ამ მილსადენის აშენებით მნიშვნელოვნად გამოსწორდება აგრეთვე მომარაგების შესაძლებლობები და გაზის ტრანსპორტირების ეფექტურობა ყარადაღიდან ბაქომდე და, სამომავლოდ, სამრეწველო საწარმოებისა და პოტენციური ელექტროსადგურისათვის სუმგაითში. წინასწარი შეფასებით ახალი მილსადენის მშენებლობაზე 118 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯება.

5. 2. 3. ბუნებრივი აირის საცაგები

აზერბაიჯანში მრავალი ნავთობისა და გაზის ჩამქრალი (გამოფიტული) საბადოა, რომელთა რეზერვუარები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწისქვეშა გაზსაცავების მოსაწყობად. ასეთ საცავთა რიცხვს მიეკუთვნებიან ყარადაღისა და კალმისის მიწისქვეშა გაზსაცავები, თუმცა სრული დატვირთვით ამოქმედებისათვის, დღეისათვის ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან ინვესტიციებს(272 მლნ აშშ დოლარი) მოითხოვს.

კონტრაქტის თანახმად აზერო-ჩირაღ-გიუნეშლის ნავთობის და შაბ დენიზის გაზის საბადოების ათვისების შემდეგ, აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია (SOCAR) პასუხისმგებელია მიღებული გაზის მართვასა და აზერბაიჯანის ბაზარზე გატანაზე. შესაბამისად SOCAR დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაზსაცავების აღდგენა-მოწოდების სამუშაოების ჩატარებას, რათა ქვეყანას გაზის დამარაგების და პიკური დატვირთვების დროს ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა მიეცეს.

5. 3. საქართველო

5. 3. 1. ენერგომოხმარება: ისტორია და პერსპექტივები

საქართველოს პირველადი ენერგეტიკული რესურსების მოხმარების სტრუქტურა ეკონომიკის სტაბილურობის პერიოდში (გასული საუკუნის 80-იან წლებში) ასახავს ენერჯის გლობალური განვითარების ტენდენციას. ამ პერიოდში დაიწყო მყარი და თხევადი წიაღისეული სათბობის მოხმარების შემცირება და გაზისა და არატრადიციული ენერჯის წყაროების მოხმარების ინტენსიური ზრდა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ სულ მოსახლეზე ენერჯის პირველადი რესურსების მოხმარება ევროპულ დონეს უტოლდებოდა და მნიშვნელოვნად აღარბეჭდა საშუალო მსოფლიო დონეს. საქართველოში 80-იანი წლების ბოლოს ერთი სული მოსახლე დაახლოებით 2-2.3 ტნე პირველად ენერჯიას მოიხმარდა (იხ. ნახაზი 5.3), რაც დაახლოებით შეესაბამება მსგავსი კლიმატური ზონის ევროპის ქვეყნების ნორმას (პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი და თურქეთი).

პირველადი ენერგეტიკული რესურსების მოხმარება საქართველოში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა. თანახმად ოფიციალური სტატისტიკისა, მოხმარების ხვედრითი დონე დღეისათვის ერთი ტნე-ზე ნაკლებია, რაც დაახლოებით ისეთივეა როგორც საშუალო მსოფლიო ინდექსი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური სტატისტიკური მონაცემები არ ითვალისწინებენ ენერჯიაშემცველების არალეგალურ იმპორტ/ექსპორტს. ექსპერტების შეფასების თანახმად იმპორტირებული ბენზინის მხოლოდ 30-40% იყო რეგისტრირებული საქართველოს საბაჟოში 2002 წელს. ასევე საეჭვოა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ხეტყის წარმოებისა და მოხმარების შესახებ. სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, რომელიც ჩატარდა EC TACIS-ის ენერგეტიკული პროექტის ფარგლებში¹⁵, საქართველოში ხეტყის მოხმარება შეადგენს 450-550 ათას ტნე-ს წელიწადში. შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე პირველადი ენერგეტიკული რესურსების რეალური მოხმარება 25-30%-ით მეტია, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკით არის ნაჩვენები¹⁶.

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა მოხმარებული ენერგეტიკული რესურსების სტრუქტურა. ძვირი იმპორტული რესურსების (ნატომპროდუქტები, ბუნებრივი გაზი და კოქსი) მოხმარება შემცირდა მნიშვნელოვნად, სამაგიეროდ კი გაიზარდა ადგილობრივი პირობების რესურსების და ხეტყის წილი. წინასწარ დაჯგუფების საპირისპიროდ, მკვეთრად შემცირდა ატრთვე ადგილობრივი ნახშირის მოხმარებაც. ეკონომიკის სტაგნაციისა და შემოსავლების მკვეთრი შემცირების პირობებში შეუძლებელი გახდა ძვირადღირებული იმპორტული საწვავის სრული ჩანაცვლება, რაც ღრმა და ხანგრძლივი ენერგეტიკული კრიზისისა და ქვეყნის ეკონომიკის დანგრევის ერთ-ერთი ძირითადი ხელისშემწეობი ფაქტორი გახდა.

ეკონომიკის გარდნის შემერება საქართველოში 1995 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდთან ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი წლიურად საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა (იხ. ნახაზი 5.4). თუ შემოსავლების ზრდის ტენდენცია ასევე გაგრძელდა, საეარაულოა, რომ ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ხვედრითი ენერჯის დონე 2015-2020 წელს დაუბრუნდება 80-ანი წლების მაჩვენებელს.

საქართველოში 2010 წლისათვის ენერჯის მოხმარება 4.5 ტნე-ით არის შეფასებული, რომლის დაახლოებით 75-80% წიაღისეული საწვავის ხარჯზე, დანარჩენი 20-25 % კი განახლებული ენერჯის წყაროებით იქნება დაფარული. იმავდროულად დაჯგუფილი მოთხოვნა პირველად ენერჯის წყაროებზე შეადგენს 6-7 ტნე-ს, 10-12 ტტრა ეტსო

¹⁵ Technical Assistance on the Production and Consumption Level, Component 4, Wood Resources, Report, EU TACIS Project GEE/95/92, Tbilisi, 1999

¹⁶ Capacity Building to Assess Technology Needs... Report, National Agency on Climate Change, Tbilisi, Georgia, 2002

ელექტროენერჯის ჩათვლით¹¹⁷. ენერჯის სტრუქტურა დაბალანსდება დაახლოებით 55%-ით ბუნებრივი გაზის მეშვეობით (იხ. ნახაზი 5.5, 2005-2020 წარმოდგენები ადგიუღია ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა სცენარების გათვალისწინებით).

5. 3. 2. ბუნებრივი აირის მოწოდების წყაროები

5. 3. 2. 1. ადგილობრივი რესურსები და წარმოების პერსპექტივა

ამჟამად, საქართველოში მუშაობა თქვენს ნავთობ- და გაზის ევლსე მიმდინარეობს. რამდენიმე უცხოურ და ადგილობრივ კომპანიაზე გაეცემულია ლიცენსები სტრუქტურების გამოიკვლივა და ღან ნავთობისა და გაზის წარმოებაზე. სუთი კომპანია დღეისათვის უკვე მოიპოვებს ნავთობსა და გაზს საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ეოცენისა და ცარცული სტრუქტურების გაზის რესურსები შეფასებულია 269 მლრდ მ³-ით. ეოცენის სტრუქტურებში განლაგებული გაზის დამტკიცებული მარაგი ე.წ. „თბილისის ახლო რეგიონის“ სამგორის, რუსთაეისა და ნინოწმინდის რაიონებში (აღმოსავლეთ საქართველო) დახლოებით 3.5 მლრდ მ³-ს შეადგენს. აღმოსავლეთ საქართველოს სოიგერთი გაზის სტრუქტურის საეარაულო წლიური პროდუქცია 2005 წლისათვის შეიძლება 0.2-0.5 მლრდ მ³-მდე გაისარდოს (იხ. ნახაზი 5.6. – ადგილობრივი წარმოების დონე შეფასებულია საქართველოს სახელმწიფო ნავთობკომპანიის პროგნოზის მიხედვით).

სამწუხაროდ, ჯერ არ არის გამოქვეყნებული მონაცემები საეარაულო გაზის რესურსების შესახებ, რომელიც მიღებულია თანამედროვე სამგანსომილებიანი სეისმური დასვერვის საფუძველზე საქართველოს შავი ზღვის ოფშორულ სტრუქტურებში, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, იქ გაზის მნიშვნელოვანი მარაგის არსებობა არის საეარაულო.

5. 3. 2. 2. გაზის ტრანზიტის საფასურად დაგეგმილი შემოსავლები

ქვეყნის გაზით გარანტირებული უზრუნველყოფის საკითხში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კასპიისა და რუსეთის გაზის ტრანზიტისათვის ნატურით გადახდილ საფასურს.

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის სისტემა, როგორც დგეგმილია, 2006 წელს დასრულდება. მასპინძელი ქვეყნის ხელშეკრულების (HGA) თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მილსადენზე გაზის მიღები პუნქტები იქნება დამონტაჟებული, ადგილობრივი მომხმარებლისათვის გაზის მიწოდებისათვის. სისტემის წარმადობა თანდათანობით გაისრდება გაზის საბადოს განვითარებასთან ერთად ასურბაიჯანსა, და მოგვიანებით კი კასპიის სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის რაოდენობა, რომელიც შეთანხმების თანახმად გატარებული გაზის პრომოციულია, შეიძლება მნიშვნელოვანად იცულებოდეს სესონურად და ასევე წლიდან წლამდე. თუმცა მილსადენმა შეიძლება მიაქსიმუმ 30 მლრდ მ³ გაზი გაატაროს წელიწადში, მაგრამ ნაკლებად საეარაულოა რომ 2010 წლისათვის ამ ციფრმა 6-10 მლრდ მ³-ს გადააჭარბოს, ძირითადად თურქეთის გაზის ბაზრის გააქვრების გამო.

შეთანხმების თანახმად საქართველო ტრანზიტის საფასურად მიიღებს ფაქტიურად ტრანსპორტირებული გაზის მოცულობის 5%-ს, ანუ დაახლოებით 0.3-0.5 მლრდ მ³-ს 2010 წლისათვის (SCP(O)-ნახაზზე). ყველაზე ოპტიმისტურ პირობებში სატრანზიტო შემოსავალი 1 მლრდ მ³-ს გაუტოვდება 2020 წლისათვის, როდესაც მილსადენის წარმადობა 22 მლრდ მ³ იქნება (თურქეთსა და ევროპაში 20 მლრდ მ³ ტრანზიტის მოცულობის ჩათვლით). ამას გარდა, საქართველოს უფლება აქვს, ყოველწლიურად დამატებით 0.5 მლრდ მ³-მდე გაზი

¹¹⁷ Georgian Ministry of Economy, Black Sea Energy Centre Review, TACIS EEC, 1998

შეიძინოს შედგავითანი ფასებში (55 აშშ დოლარი 1000 კუბურ მეტრზე დასაწყისში, 1.5%-
წლიური ესკალაციით შემდეგი 20 წლის განმავლობაში).

საქართველო აგრეთვე მიიღებს 10%-იან სატრანსიტო შემოსავალს გაზისათვის,
რომელიც სომხეთს მიეწოდება ჩვენი ქვეყნის კუთვნილი ტრანსკავკასიური მაგისტრალური
გაზსადენით (NSC). თუ სომხეთი 2005-2010 წლებში 1.9-2.3 მლრდ მ³ და 2020 წლისათვის კი
3.2 მლრდ მ³ გაზს მიიღებს, მაშინ საქართველოს ყოველწლიური შემოსავალი სათანადოდ
0.18, 0.23 და 0.32 მლრდ მ³-ს გაუტოლდება.

შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე SCP და NSC მილსადენებით გაზის
ტრანსპორტირებისათვის მიღებული კომპენსაცია შეადგენს 0.19 მლრდ მ³-ს 2005 წლისათვის,
0.73 მლრდ მ³-ს 2010 წლისათვის და 1.32 მლრდ მ³-ს 2020 წლისათვის. სატრანსიტო
გადასახადის საფასურად მიღებული გაზის მოცულობა დამატებით ადგილობრივი
მომოვებდნ და ასურბაიჯანიდან შედგავითანი ფაქტში შექმნილი გაზის მოცულობებთან
ერთად, საქართველოს მთლიანი მოთხოვნილების დაახლოებით 60%-ს დააკმაყოფილებს.

5. 3. 3. ენერგოსაფრთხოება

5. 3. 3. 1. ძირითადი სატრანსპორტო მილსადენები და მოწოდების უსაფრთხოება

შუფასების თანახმად, საქართველოს ადგილობრივმა ენერგორესურსებმა შეიძლება
ქვეყნის საერთო შიდა მოთხოვნის მხოლოდ 20% დააკმაყოფილოს. ამიტომაც საქართველო
ძირითადად იმპორტულ ენერგორესურსებზე დამოკიდებული ქვეყანაა.

სოიურიო ევროპული ქვეყნის (შვეიცია, ფინეთი და პორტუგალია), მსგავსად,
რომელთაც გაზის მიწოდების მსგავსი ტექნიკური პირობები გააჩნიათ (მხოლოდ ერთი
მილსადენით და სამარაგო საცავის გარეშე), საქართველოში გაზის მიწოდების
უსაფრთხოების დონე ძალიან დაბალია. RAMBOOL-ის მიერ შემუშავებული შეფასების
მოდელის თანახმად, გაზის მიწოდების უსაფრთხოების დონე ამ ქვეყნებისათვის
დაახლოებით 1-დან 2-მდე იცვლება (ნახაზი 5.7)¹¹⁸.


როგორც იმპორტზე დამოკიდებულ სხვა ქვეყნების უმრავლესობა, საქართველოს
ეკონომიკის განვითარებაც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ენერგეტიკული
რესურსების საიმედო მომარაგებაზე. ამიტომ, არსებული და ახალი სატრანსიტო
მილსადენების (SCP და NSC), აგრეთვე სტრატეგიული საცავების პოტენციალის ეფექტურ
ათვისებას ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და პოლიტიკური პრობლემის
რანგში განიხილება.

ნახაზზე 5.8 წარმოდგენილია საქართველოს ძირითადი მაგისტრალური გაზსადენების
გეგმა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 1940 კმ-ს აღწევს. 5.2 ცხრილში კი
მოცემულია არსებული მაგისტრალური მილსადენების ძირითადი ტექნიკური
მახასიათებლები.

დღეისათვის გაზი საქართველოს მხოლოდ რუსეთიდან მიეწოდება ტრანს-კავკასიური
მაგისტრალური მილსადენის საშუალებით. ასეთი „ცალმხრივი“ დამოკიდებულება რუსეთზე
ფაქტურად მონოპოლიურ სიტუაციას ქმნის, რაც პარტიზორს ქვეყანაზე პოლიტიკური
ზეწოდის განხორციელების საშუალებას უტოვებს (ასეთი მცდელობა რამდენჯერმე
განმეორდა უკრაინის ათი წლის განმავლობაში).

ამავე დროს, ასურბაიჯან-საქართველოს დამაკავშირებელი მილსადენის ყაზახი-
საგურამოს მონაკვეთის, შედარებით მოკლე დასიანებული უბნის აღდგენით, შეიძლება
ხელმისაწვდომი გახდეს გაზის სხვა ალტერნატიული წყაროებიც ირანიდან, ასურბაიჯანიდან
და შუა აზიიდან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ენერგეტიკული უსაფრთხოების
დონეს.

¹¹⁸ M.Christensen, Underground gas storage in Georgia, Proceedings of NATO ARW "Security of Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, May, 2003




5.1. კავკასიის მაგისტრალური გაზსადენები
 Figure 5.1. Gas-mains in South Caucasus Region




Picture 1. Azerbaijan Gas Transmission System


6სხ. 5.2. აზერბაიჯანის მაგისტრალური გაზსადენები
 Figure 5.2. NG Transmission Lines in Azerbaijan




ნახ. 5.3. ენერჯორესურსების ფაქტიური და საპროგნოზო მოხმარება
Figure 5.3. Energy resources historical and planned consumption




ნახ. 5.4. შიდა პროდუქტის ცვლილება საქართველოში, % (1996-2003 წლები სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები, 2004 წელი საპროგნოზო)
Figure 5.4. GDP Growth Rate in Georgia, % (1996-2003. Source: Georgian State Department of Statistics, 2004 - planned)



ნახ. 5.5. გაზის ევალუირი და აპროგნოზის მოხმარება საქართველოში
 Figure 5.5. Historical Consumption and Expected Demand of NG In Georgia



ნახ. 5.6. სხვადასხვა წყაროებიდან გაზის მოწოდების პერსპექტივები საქართველოში
 NSC – სატრანზიტო გადასახადი ტრანსპორტირებული გაზის ფასიდან; SCP(O) – სატრანზიტო გადასახადი სამხრეთ აფხაზეთში გაზის ფასიდან; SCP(Ad) – დამატებითი გაზი შუღვათიანი ფასით სამხრეთ აფხაზეთში გაზის ფასიდან; LOCAL – გაზის ადგილობრივი წარმოება
 Figure 5.6. NG Supply Prospects in Georgia from Various Sources
 NSC – Transit fee from NSCP; SCP(O) – Transit fee (Optional Gas) from SCP; SCP(Ad) – Additional gas from BCP for Special price; LOCAL – Local production



ნახ. 5.7. გაზმომარაგების უსაფრთხოება (RAMBOOL-ის შეფასება);
Figure 5.7. Security of NG Supply (RAMBOOL's Estimation)



ნახ. 5.8. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები
Figure 5.8. Georgian Gas Transmission Pipelines

ცხრილი 5.2. საქართველოს გაზის მაგისტრალური მიწისძვლები

N	დასახელება	D, მმ	L, კმ	მშენებლობის წელი
1	ჩრდილოეთ კავკასია - სამხრეთ კავკასია (NSC)	1200	135	1988-1994
2	ყაზახი - საგურამო	1000	112	1980
3	ყარაღალი - თბილისი	500, 700, 800	110	1959-1968
4	ვლადიკავკასია - თბილისი	700	266	1963-1966
5	საგურამო ქუთაისი	500-700	370	1967-1975
6	ქუთაისი - სოხუმი	500-700	338	1986-1989
7	რუსთავე - თელავი - ვინეაღი	200, 300, 500	370	1969-1975
8	წითელი ხიდი - ალასტანი	300-500	180	1978-1990
9	გომი - ხაშუკი - ბაკურციანი	300-500	59	1972-1989

კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა საქართველოში გაზის დისტრიბუციის სექტორში. გამანაწილებელი კომპანიების უმეტესობა ძირითადი მოწოდებლების საკუთრებაშია, ან კონტროლდება მათ მიერ (იხ. ნახაზი 5.9), რაც წარმოშობს მათი მონოპოლისტური ქმედების საშიშროებას საბოლოო მომხმარებელთან ურთიერთობაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „თბილგაზი“, სახელმწიფოს კუთვნილი ყველაზე დიდი გაზის სადისტრიბუციო კომპანია გაზს დამოუკიდებელი მიწოდებლისაგან მიიღებს, ძირითადი იმპორტიორების წილი (რუსეთის „გაზპრომი“ და „იტერა“) განაწილებების სექტორში მაინც ქვეყნის მთლიანი ბაზრის 65%-იან სექტორს მოიცავს, ისე რომ, თავისუფალი ადგილი „საკუთარი“ (ადგილზე წარმოებული ან ტრანზიტის საფასურად მიღებული) ბუნებრივი გაზის კომერციული საცილსათვის, პრაქტიკულად ძალიან შესუღწეული იქნება.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის სწორ მართვასთან. როგორც ცნობილია გაზის პრაქტიკულად თანაბარი მოწოდება არ შეუძლებელია გაზის ცვალებად მოხმარებას სესხების მიხედვით (იხ. ნახაზი 5.10)¹¹⁹. აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს მჭიდრო სტრატეგია და შექმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის რაციონალური გამოყენებისათვის.

5. 3. 3. ბუნებრივი აირის გამოყენების პერსპექტივა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში

სტრატეგიული მოსაზრებებით, პირველ რიგში უნდა დაემაყოფილდეს ელექტროენერგეტიკული და საყოფაცხოვრებო სექტორების მოთხოვნები გაზზე, რაც, ერთი მხრივ, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების, მეორე მხრივ კი სოციალური მდგომარების გაუმჯობესების საყვარელი გახდება.

გაზის ელექტროენერგეტიკის სექტორში გამოყენების ძირითადი ხელშემწყობი პირობები შემდეგია: 1) ემისიის მინიშნელოვანი შემცირება საწვავად ნავთობის და/ან ნახშირის ნაცვლად გაზის გამოყენების დროს და 2) მაღალ ეფექტური გაზის ტურბინის კომბინირებული ციკლის ტექნოლოგიის (CCGT) გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული ფაქტორების კომბინაცია მინიშნელოვნად ამცირებს გამოიშუშებული ელექტროენერჯის ღირებულებას და მავნე ეკოლოგიური ზემოქმედების ეფექტს.

აღნიშნულის საიდუსტრაციოდ ნახაზზე 5.11 ნაჩვენებია ელექტროენერჯის გამოიშუშების შედარებითი ღირებულებები ყველაზე იაფი ადგილობრივი სათობის, ტყბულის საბადოს ნახშირისა და გაზის გამოყენების შემთხვევებისათვის. ანგარიშის დროს

¹¹⁹ Gochilashvili T. Transit Perspectives and Utilization Problems of Caspian Gas in Georgian Energy Sector, Proceedings of GIOGIE 2002

გათვალისწინებულია ნახშირის მძლავრე შრეში წივის ტექნოლოგიის გამოყენება, ნახშირის მოპოვების 20, 25, 30 ან 35 \$/ტ ღირებულების დროს. გაზისათვის გათვალისწინებულია CCGT ტექნოლოგიის გამოყენება, ხოლო გაზის მიწოდების ღირებულება აღებულია 50, 70, 90 ან \$100/1000 მ³, შესაბამისად.

5. 3. 3. 3. ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული რეზერვები

სტრატეგიული რეზერვების შექმნა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რაც მოითხოვს შესაბამისი საშუალებების, კერძოდ მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობას, მოთხოვნასა და შემოთავაზებას შორის დაბალანსის პერიოდში ჭარბი გაზის დასაწყობებისათვის. გაზზე საპროგნოზო მოთხოვნისა და სტრატეგიული მარაგების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მოცულობების გათვალისწინებით, 2020 წლისათვის საქართველოში მისაწვდომი უნდა ჩათვალოს 1 მლრდ მ³ მოცულობის მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა. ასეთი გაზსაცავი მნიშვნელოვნად ააბალანსებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, გაამარტოებს გაზის ნაკადების მართვას მინიმალური და პიკური დატვირთვების პერიოდებში და დადებითი კომერციული ეფექტის მიღებასაც შეუწყობს ხელს.¹²⁰

დადგენილია მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობისათვის შესაფერისი, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ზოგიერთი გეოლოგიური სტრუქტურა¹²¹. წინაწარმ შეფასებებით განსაზღვრულია, რომ ამ სტრუქტურების პოტენციური სიმძლავრე დაახლოებით 5-6 მლრდ მ³-ს შეადგენს. მათ შორის ნათობისა და გაზის გამოფიტული რესერვუარების პოტენციური აქტიური მოცულობა 3.4 მლრდ მ³-ს უტოლდება¹²².

გარდა ამისა, გაზი შეიძლება აგრეთვე შენახულ იქნეს მაღალწნევიან რესერვუარებში, ან გათხვეადვებს და დამარაგდეს თხევადი გაზის (LNG), ან კომპრესირებული გაზის (CNG) სახით. ამ ფორმით გაზის მიწოდება შესაძლებელი იქნება ქვეყნის იმ რეგიონებშიც, სადაც არ არის განვითარებული ბუნებრივი გაზის განაწილების შესაბამისი ინფრასტრუქტურა^{123,124}. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიის 40% არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი გაზის განაწილების ინფრასტრუქტურით. LNG-სა და CNG-ს წარმოება და შორეული, მაღალ მთიანი რაიონების მომარაგება გაცილებით იაფი ალტერნატივაა, ვიდრე მილსადენების სისტემის მშენებლობა ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის.

საქართველოს გაზის სექტორის მოკლე მიმოხილვა შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა: ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესდეს ბუნებრივი გაზით მომარაგება და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება. ამ მიზნით ინტენსიურ პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს უნერჯის ადგილობრივი წარმოების გამოყენების, იმპორტირებული საწვავის მოწოდების დივერსიფიკაციის, თანამედროვე ენერგეტიკული ტექნოლოგიების დანერგვისა და სტრატეგიული მარაგების შექმნისა და რაციონალური გამოყენების საშუალების ხელშეწყობა, კერძოდ:

⇒ ეფექტური პოლიტიკის და საკანონმდებლო ინიციატივების საშუალებით გაზის იმპორტორთა და მოწოდებელთა მონოპოლისტური ქმედების შესაძლებლობის შესწლვა,

¹²⁰ Graham Weale, The 2002 European Gas Storage Study, Prepared by The DRI-WEFA Global Energy Practice

¹²¹ David Rogava, Proceedings of NATO ARW "Security of Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

¹²² Kristensen M., Underground gas storage in Georgia geologic, economic and commercial aspects, Proceedings of NATO ARW "Security of Natural Gas Supply through Transit Countries", Tbilisi, 2003

¹²³ Heland J., Advantages of Natural Gas Over Other Fossil Fuels, Natural Gas Technologies, Opportunities and Development Aspects, OPET-International Workshop Papers, Vaasa, Finland, May, 2002

¹²⁴ A. Beroshvili, Perspectives of introduction of compressed gas production technologies, Materials of OPET Clean Fossil Fuel Project Workshop "Development Perspectives of Clean Fossil Fuel Technologies", Tbilisi, March, 2004

დამოუკიდებელი დისტრიბუტორებისა და ბაზრის ლიბერალიზაციის აქტიური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფალი საბაზრო სექტორის სამართლიანი გადანაწილება;

- ⇒ ენერგეტიკულ სექტორში მოკლე და საშუალო პერიოდების ძირითადი პრიორიტეტების, მათ შორის ბუნებრივი გაზის მოწოდების დივერსიფიკაციის მხარდაჭერა;
- ⇒ გრძელვადიანი პერიოდის პოლიტიკის დომინირებული ელემენტების, ადგილობრივი პირობებზე ენერგეტიკული რესურსებისა და მალაქაეკონომიკური გაზის კომბინირებული (ციკლის გაზის ტურბინების დანერგვაზე დაფუძნებული ელექტრო გენერაციის ობიექტების განვითარების მხარდაჭერა;
- ⇒ გაზის მომარაგების სავარაუდო შეფერხებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შეზღუდვის საშუალებების: მიწისქვეშა გაზსაცავების და თხევადი და დაჭირხილი გაზის თანამედროვე მცირემასშტაბიანი ტექნოლოგიების, აგრეთვე გაზის წვის ეფექტური ტექნოლოგიების (დეცენტრალიზებული კო- და ტრიგენერაციის სისტემები, მიკროტურბინები, თბური ელემენტები) მხარდაჭერა.

5. 4. საბერძნეთი

5. 4. 1. ბუნებრივი აირის ბაზრის სტრუქტურა და რეგულირება

ქვეყნის გაზის სექტორის მართვა ძირითადად ხორციელდება გაზის სახელმწიფო კორპორაციის (DEPA), მეშვეობით, რომელიც საბერძნეთის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის ფილიალია. DEPA დაარსებულია 1988 წელს. მას აქვს უფლება დააფუძნოს რეგულირებადი ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიები (EPA) ანონიმური სასოფალოების ფორმით (SA), რომელთა აქტივობის გეოგრაფიული არეალი წინასწარ არის განსაზღვრული.

გაზის გამანაწილებელი კომპანიების დანიშნულებაა: ბუნებრივი გაზის განაწილების სისტემის დაგეგმვა, შესწავლა, დაპროექტება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და ბუნებრივი გაზის მიყიდვა მომხმარებლისათვის, რომელთა მოთხოვნა გასზე 100 გიგა ვტ-ს ექვივალენტს არ აღემატება.

ამჟამად უკვე დაფუძნებულია სამი რეგიონული EPA:

- ატიკის, რომელშიც სინერჯი-შელი მონაწილეობს 49%-იანი წილით. მოიცავს ათენსა და მიმდებარე ტერიტორიებს;
- თესალიის, რომელშიც იტალგაზი მონაწილეობს 49%-იანი წილით. მოიცავს ცენტრალურ საბერძნეთის ქალაქებს ელოსსა და ლარისსას შორის;
- თესალონიკის, რომელშიც აგრეთვე იტალგაზი მონაწილეობს 49%-იანი წილით. მოიცავს თესალონიკს გარეუბნებიანად და მიმდებარე ტერიტორიებს.

საბერძნეთის განვითარების სამინისტროს მოთხოვნაა დაარსდეს სამი ახალი EPA (ცენტრალური საბერძნეთის, ცენტრალური მაკედონიისა და აღმოსავლეთ მაკედონიისა და თრაკიის რეგიონებისათვის).

გაზის ბაზარი ჩამოყალიბდა და გაზის კანონი მომსადადა შემდეგი ძირითადი პრინციპების მიხედვით:

- EC-ის დირექტივების უპირობო დაცვა;
- გაზის მიმწოდებელთა სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა;
- საბერძნეთის მოქმედ კანონმდებლობასთან შეთავსებადობა მარეგულირებელი ორგანოების უფლება-მოვალეობების გამოყენების საკითხში.

ახალი კანონის სოფიერით სავალდებულო პირობებია: ანგარიშსწორებაში "მიმღებ-ან-გადაიხადე"-ს პრინციპი, გრძელვადიანი კონტრაქტები, LNG-ს მოწოდებლობათა მართვისა და რეგულირების შესაძლებლობები, დომინანტი კომპანიების შეზღუდვა ბაზარზე და სხვა.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო (RAE) არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული. მისი მოვალეობაა რჩევის მიცემა, წინადადებების შეთავაზება და ენერგეტიკის მიხედვით სექტორის ზედამხედველობა. მან უნდა უზრუნველყოს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია ენერგეტიკულ ბაზარზე, მომხმარებლების უფრო უკეთესი და ეკონომიური მომსახურების მხარდაჭერით. ის აგრეთვე პასუხისმგებელია ენერგეტიკულ სავარშოთა ჯანსაღ განვითარებაზე და მოსამსახურეთა შრომითი მოწყობის საკითხებზე. RAE აკონტროლებს და სთავაზობს საბაზრო ოპერაციების ფასებს, გასცემს ლიცენზიებს და ა.შ.

RAE-ს ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა გრძელვადიანი ენერგეტიკული დავაგეგმვისა და საბაზრო პროცესების მართვინისაცია.

RAE აგრეთვე ჩართულია საერთაშორისო თანამშრომლობის სქემებში როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ასევე ევრასიისა და ევროკავშირის ქვეყნებთანაც, სადაც კარიონთ დადგენილ მთავარი დღეულობების ფარგლებში იგეგმება შექმნას ერთიანი, კონკურენტუნარიანი შიდა ელექტრო- და გაზის ბაზრები. RAE-ს მოქმედებების არეული მოიცავს აგრეთვე ევროკომისიის მიერ ხელშეწყობილი ევროპის ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას სამხრეთ ევროპის რეგიონული ელექტროენერგეტიკული და გაზის ბაზრებისათვის.

5. 4. 2. ბუნებრივი აირის მოწოდება

საბერძნეთი საკუთარ ბუნებრივ გაზს არ აწარმოებს. გაზი ქვეყანაში რუსეთიდან და ალჟირიდან იმპორტირდება. DEPA-ს სათანადო კონტრაქტებს გაზექსპორტთან (გაზპრომის ფილიალი) და სონატრაქთან ხელი მოუწერა 1988 წელს და ძალაშია 2016 და 2020 წლებამდე. გაზექსპორტთან კონტრაქტი ითვალისწინებს მაქსიმუმ 2.8 მილრდმ³/წ გაზის მიწოდებას (2.4 მილრდმ³/წ ძირითადი, დამატებით 0.4 მილრდმ³/წ კი შეთანხმებით). ბუნებრივი გაზის იმპორტი რუსეთიდან 1996 წლის სექტემბერში დაიწყო.

სონატრაქთან კონტრაქტი ითვალისწინებს მაქსიმუმ 0.51-0.68 მილრდმ³/წ მიწოდებას. თხევადი გაზი ალჟირიდან 2000 წლის თებერვალიდან მიეწოდება კუნძულ რევიტუსასა აშენებულ ტერმინალს.

ოფიციალური ფასები ბუნებრივი გაზის იმპორტზე არ ქვეყნდება. საშუალო სავარაუდო ფასი კი დაახლოებით \$3/MBtu (დაახლოებით \$100/1000მ³) შეადგენდა ბოლო 3 წლის მანძილზე.

ალჟირიდან მიწოდებული გაზი უფრო ძვირია. თუმცა, მისი იმპორტი გამართლებულია სისტემის სამხედროობისა და პიკური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, აგრეთვე საბერძნეთის სტრატეგიული მარაგის შექმნის მიზნით.

5. 4. 3. ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისა და განაწილების სისტემები

რუსეთის გაზი საბერძნეთს მიეწოდება მილსადენით ბულგარეთის სასდგარზე, ხოლო ალჟირული თხევადი გაზი ტრანსპორტირდება ტანკერებით სანაპირო ტერმინალამდე.

ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის პროექტი, დაახლოებით 2 მილიარდი ევროს ტოლი ბიუჯეტით, არის ქვეყნის ელექტროფიკაციის პროექტის შემდეგ ყველაზე დიდი ენერგეტიკული პროექტი. ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები ქსელის გაზრდა) დაიწყო 1992 წელს და დამთავრდა 2000 წლის აგვისტოში.

რევიტუსას კუნძულზე განლაგებული ტერმინალი ალჟირული LNG-ს მისაღებად, ექსპლუატაციაში შევიდა 2000 წლის თებერვლიდან.

საბერძნეთის ბუნებრივი გაზის სისტემა შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან შედგება:

- მილალწვევიანი (70 ბარი) მაგისტრალური გაზსადენი საბერძნეთ-ბულგარეთის სახელრიდან ატიკამდე, საერთო სიგრძით 512 კმ (ნახასი 5.12). მილსადენის დიამეტრია 36" დაახლოებით პირველ 100 კმ-ზე ჩრდილოეთიდან, და 30" დანარჩენი მონაკვეთისათვის;
- მილალწვევიანი განშტოებები აღმოსავლეთ მაკედონიის და თრაკიის, თესალონიკის, ვოლოსის, ინოფიტასა და ათენის რეგიონისაკენ, ჯამური სიგრძით 450 კმ;
- გამოსომარეველირებული სადგურები;
- დისტანციური მართვის ტელეკომუნიკაციური სისტემა, ბუნებრივი გაზის გადაცემის სისტემის კონტროლის და ფუნქციონირების რეგულირებისათვის;
- ოპერატიული და მომსახურების კონტროლის ცენტრები ატიკაში (პატიმა, ვლუფსინა), თესალონიკში (ნეა მისიმერია) და თესალიაში (ამბელია, ფარსალა), და ქსანთის რეგიონში;
- შეწყვილებული ოფშორული მილსადენი კუნძულ რევიტუსადან აგია ტრიაფისაკენ;
- თხევადი გაზის ტერმინალი (შენახვა და რეგასიფიკაცია) კუნძულ რევიტუსაზე;
- კომოტინის განშტოება - ალექსანდროპოლისი-თურქეთის (დიამეტრით 36") და იტალიასთან დამაკავშირებელი (დიამეტრით 28") ხაზებით (შესწავლის სტადია).

მაგისტრალური მილსადენების სისტემის ჯამური გამტარუნარიანობა შეადგენს დაახლოებით 7 მლრდ მ³ .

გაზის განაწილების სისტემა შედგება შემდეგი საბაზისო ელემენტებისაგან:

- ფოლადის საშუალო წნევიანი (19 ბარი) მილსადენების ქსელი ატიკაში, თესალონიკში, ლარისისაში, ვოლოსში, ინოპიტაში და პლატი იმატიასში;
- პოლიეთილენის დაბალი წნევის (4 ბარი) მილსადენების ქსელები ათენში, პირაეუსში, თესალონიკში, ლარისისასა და ვოლოსში.

DEPA-ს მიერ დადგენილია საშუალო-წნევის განაწილების ქსელების მშენებლობის აუცილებლობა ატიკის (ათენი, პირეუსი), თესალონიკის, თესალიის (ლარისსა და ვოლოსი) რეგიონებში, და ინდუსტრიულ ზონებში: ინოფიტა, პლატი იმათიასი, ქსანთი, დრამა, კომოტინი და კავადა.

დაბალი წნევის განაწილების ქსელებისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 6500 კმ მილსადენების მშენებლობა, რათა დამკვიფილდეს ატიკის, სალონიკის, ლარისისასა და ვოლოსის მოთხოვნები.

ამას გარდა, ათენის ოლქში, 550 კმ-იანი ქსელი ფუნქციონირებს, რომელიც ბუნებრივი გაზით ამარაგებს დაახლოებით 8000 მომხმარებელს.

განიხილება ახალი სატრანსპორტო ხაზის მშენებლობა კასიის გაზის მიწოდებისათვის ბალკანეთსა და სამხრეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე გამოყვანილი სამხრეთკავკასიური გაზსადენის სისტემის მეშვეობით. ამ სატრანსპორტო მარშრუტს მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტის მოხდენა შეუძლია რეგიონულ და მთლიანად ევროპის ბუნებრივი გაზის ბაზრებზე.

5. 4. 4. თხევადი გაზის ტერმინალი

თხევადი გაზის მიმღები ტერმინალი რევიტუსას კუნძულზე შედგენილია შემდეგი ელემენტებისაგან:

- 130000 მ³ ტექადობის LNG-ს ტანკერების ნაემისადგომი;
- ორი LNG-ს შესანახი მოცულობა, თითოეული 65 000 მ³ ტექადობით;
- ორი განმტვირთავი მკლავი;
- ორი ღია ტიპის სღვის წყლის ასაორთქლებელი სისტემა LNG-ს რეგაზიფიკაციისათვის;
- შეწყვილებული წყალქვეშა მილსადენები რევიტუსას ტერმინალის დასაკავშირებლად აგია ტრიაფის მოპირდაპირე სანაპიროსთან;
- LNG-ს სატრემბი სადგურები;

- ორი კომპრესორი არაკონდენსირებადი გაზის გათხევადებისათვის;
- დამატებითი გაზის გაქრევის სისტემა;
- ხანძრის დეტექტორები და ჩაქრობის სისტემა;
- კონტროლისა და მართვის პულტი;
- ადმინისტრაციული შენობები ექსპლუატაციის, მომსახურების, სახანძრო დეპოს, პირველადი დახმარების სადგურის მუშაკებისათვის, პერსონალის წვრონისათვის;
- ელექტრომომარაგების ქვესადგური;
- წყალსაქანი სადგური;
